კ.ს. ლუისი

ჯადოქრის დისწული

ქართული თარგმანი

მალხაზ სონღულაშვილისა

გამომცემლობა
"მოდესტა"
თბილისი
2001

ნარნიის ქრონიკები



Modesta

ქართული თარგმანის რედაქტორი

ელგუჯა გიუნაშვილი

მხატვარი

პაულინ ბაენი

გამომცემელი

ავთანდილ გურული

© ქართული თარგმანი **მალხაზ სონღულაშვილისა**

ნარნიის ქრონიკები

ჯადოქრის დისწული

ლომი, ჯადოქარი და ტანსაცმლის კარადა

ბედაური და მისი ბიჭი

უფლისწული კასპიანი

მოგზაურობა

ვერცხლის ტახტი

უკანასკნელი ბრძოლა


WILD
NORTH
NARNIA
ARCHENLAND
NARNIA

– სალამი, – უთხრა პოლიმ.

– სალამი, – თქვა ბიჭმა. – რა გქვია?

– პოლი, – მიუგო პოლიმ. – შენ რა გქვია?

– დიგორი, – თქვა ბიჭმა.

– რა სასაცილო სახელი გრქმევია?! – თქვა პოლიმ.

– „პოლიზე“ სასაცილო მაინც არ არის! – თქვა დიგორიმ.

– დიახაც, არის! – თქვა პოლიმ.

– არ არის! – თქვა დიგორიმ.

– ყოველ შემთხვევაში, მე პირის დაბანა მაინც ვიცი, – თქვა პოლიმ, – შენ კი პირი უნდა დაიბანო, განსაკუთრებით... – ესა თქვა გოგონამ და გაჩერდა. მას უნდოდა ეთქვა: „განსაკუთრებით ღრიალის შემდეგო“, მაგრამ იფიქრა, უზრდელობა არ გამომივიდესო და თავი შეიკავა.

– დიახაც, ვიღრიალე! – ხმამაღლა წამოიძახა დიგორიმ, იმ განაწყენებული ბავშვივით, რომელიც აღარავის უმალავს, რომ იტირა. – შენც იღრიალებდი, – განაგრძო მან, – მთელი შენი სიცოცხლე რომ სოფელში გაგეტარებინა, პონი გყოლოდა, ბაღის ბოლოში მდინარე გქონოდა და მერე საცხოვრებლად ამისთანა სოროში გადმოეყვანეთ.

– ლონდონი სორო არ არის! – აღშფოთდა პოლი. მაგრამ ბიჭი ისე იყო გაწიწმატებული, რომ მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ის განაგრძობდა: – მამაშენი რომ ინდოეთში იყოს, შენ კი იძულებული იყო, იცხოვრო დეიდასთან და ძიასთან, რომელიც შეშლილია, მოგეწონებოდა?.. და ეს იმის გამო, რომ ისინი დედაშენს უვლიან; დედაშენი რომ ავად ყოფილიყო და სასიცვდილოდ გადადებული? – მერე მას სახე დაეღრიჯა, როგორც მაშინ იცის ხოლმე, როცა ცრემლების შეკავებას ცდილობენ.

– მე არ ვიცოდი, მაპატიე, – მშვიდად თქვა პოლიმ.

მერე, რაკი მან არ იცოდა, რა ეთქვა, და ისიც უნდოდა, დიგორი კარგ გუნებაზე დაეყენებინა, ჭკითხა:

– მისტერ კეტერლი მართლა შეშლილია?

– ის ან მართლა შეშლილია, – თქვა დიგორიმ, – ან სხვა რაღაც საიდუმლოებაა მის თავს. მას ოთახი აქვს ზემო სარ-

თულზე და დეიდა ლეტი იქ ასვლას მიშლის. დავიწყოთ იმით, რომ ეს საეჭვოდ გამოიყურება. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი რამ: ჭამის დროს, როცა კი ის დააპირებს მე რამე მითხრას, დეიდას არც ეკითხება, ისე, დეიდა მაშინვე აჩუმებს: „ენდრიუ, ნუ აწუხებ ბავშვს!“ ან: „მე დარწმუნებული ვარ, დიგორის ეს არ სჭირდება“ ანდა: „დიგორი, არ გინდა გახვიდე და ბაღში ითამაშო?“

– რისი თქმა უნდა ძიაშენს?

– არ ვიცი, ის ბევრის თქმას ვერ ახერხებს. მაგრამ, ეს კიდევ არაფერი, ერთ ღამეს (ეს იყო წუხელ), დასაძინებლად რომ მივდიოდი, ზემო სართულის კიბის ძირას (მე არ მეშინია იქ გავლის) ნამდვილად ჩამომესმა კივილის ხმა.

– ალბათ, მას იქ თავისი შეშლილი ცოლი ჰყავს გამოკეტილი!

– მეც ეგ ვიფიქრე.

– ან იქნებ ყალბ ფულსა ჭრის იქ?

– სულაც, იქნებ ის მეკობრეა, „განძეულის კუნძულის“ დასაწყისში რომ კაცია, იმასავით, და ერთთავად თავის ძველ მეგობრებს ემალება?

– რა საოცარია! – თქვა პოლიმ, – მე არ ვიცოდი თუ თქვენი სახლი ასე საინტერესო იყო.

– შენ საინტერესოდ გეჩვენება ის, – თქვა დიგორიმ, – მაგრამ იქ ძილს არ ინდომებდი; როგორია, ფხიზლად იწვე ლოგინში და ყურს უგდებდე, როგორ მოდის დერეფანში ფეხაკრეფით ძია ენდრიუ შენი ოთახისკენ? მას ისეთი საშინელი თვალები აქვს!

ასე გაიცნეს პოლიმ და დიგორიმ ერთმანეთი, ზაფხულის არდადეგები ახალი დაწყებული რომ იყო. იმ წელს არც პოლი და, არც დიგორი ბღვაზე წასვლას არ აპირებდნენ. ისინი ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მათი თავგადასავლები უმთავრესად იმიტომ დაიწყო, რომ იმ წლებში ის ზაფხული ყველაზე წვიმიანი და ცივი იყო. ამან აიძულა ისინი შინ შეექციათ თავი: შეიძლება ითქვას – გამოეკვლიათ სახლი. საოცარია, რამდენი რამის გამოკვლევა შეიძლება სანთლით ერთ დიდ სახლში, ან ჩამწკრივებული სახლების რიგში! პოლის დიდი ხნით ადრე ჰქონდა აღმოჩენილი, რომ თუ გააღებდი მისი სახლის სხვენში ერთ პატარა კარს, წააწყდებოდი ცისტერნას და ერთ ჩაბნელებულ ადგილს ცისტერნის უკან. საკმარისი იყო სულ ცოტათი ზემოთ ასულიყავით ფრთხილად, რომ იმ ადგილას აღმოჩნდებოდით. ის ბნელი ადგილი გრძელ გვირაბსა ჰგავდა, რომლის ერთ მხარეს აგურის კედელი იყო, ხოლო მეორე მხარეს – დამრეცი სახუ-

რავი. სხვენში კრამიტებს შორის დარჩენილ ღრიჭოებში მკრთალი შუქი გამოსჭვიოდა. ამ გვირაბში იატაკი არ ეგო: წინ კოჭიდან კოჭზე უნდა დაგედგათ ფეხი. კოჭებს შორის მხოლოდ ბათქაში იყო. მასზე თუ დადგამდით ფეხს იგრძნობდით, რომ ქვემო ოთახში ვარდებოდით. ცისტერნის გვერდით გვირაბის პატარა კუთხეს პოლი იყენებდა, როგორც კონტრაბანდისტის გამოქვაბულს. მას აქ მოეგიდა ძველი ყუთები, დამტ-



ვრეული სამმარეულოს სკამების საჯდომები, ასევე სხვა მსგავსი ნივთები და გაეშალა კოჭებზე, რათა პატარა იატაკი გამოსცლოდა. აქ ის ინახავდა სკიერს, რომელშიც მოთავსებული იყო ნაირ-ნაირი განძეულობა, მოთხრობა, რომელსაც ის წერდა და, ჩვეულებრივ, ცოტაოდენი ვაშლი. ის სშირად სვამდა ხოლმე ელის ლიმონათს: ცარიელი ბოთლები იქაურობას უფრო მეტად ამსგავსებდა კონტრაბანდისტის გამოქვაბულს.

დიგორის მოეწონა გამოქვაბული (პოლის არ უჩვენებია მისთვის მოთხრობა), მაგრამ მას ის უფრო აინტერესებდა, რომ გამოეკვლია იქაურობა.

– აბა, დაინახე, – თქვა მან, – რამსიშორეზე მიდის ეს გვირაბი! სადაც შენი სახლი თავდება ნეტა გვირაბიც იქ წყდება?

– არა, – თქვა პოლიმ, – სხვენით არ მთავრდება კედელი, ის იქით გრძელდება. მე არ ვიცი სადამდე.

– მაშინ ჩვენ შეგვიძლია სახლების რიგის მთელ სიგრძეზე გავიდეთ.

– კი შეგვიძლია, – თქვა პოლიმ, – მაგრამ... ვაიმე!

– რა?

– ჩვენ შეგვიძლია გადავძვრეთ სახლებში.

– დიახ, და ჩვენ შეიძლება დაგვიჭირონ, როგორც ქურდები. არა, დიდი მადლობელი!

– ნამეტანი ჭკვიანად ნუ გამოიდებ ახლა თავს! მე ვგულისხმობ ჩვენს მეზობლად მდებარე სახლს.

– ის რა სახლია?!

– რა უშავს? ცარიელი სახლია. მამა ამბობს: რაც ჩვენ აქ გადმოვედით, ცარიელიაო.

– მაშინ ჩვენ უნდა დავათვალიეროთ ის, – თქვა დიგორიმ. მას ხმაზე ეტყობოდა, რომ გაცილებით მეტად ღელავდა, ვიდრე ამას თქვენ წარმოიდგენთ, რადგან ის, რაღა თქმა უნდა, ისევე ფიქრობდა, როგორც თქვენ იფიქრებდით ყველა იმ მიზეზზე, რომლის გამოც შეიძლებოდა ის სახლი ცარიელი ყოფილიყო. ასეთივე ფიქრები უტრიალებდა თავში პოლისაც. არც ერთს არ უხსენებია სიტყვა „მოჩვენება“. ორივე გრძნობდა, რომ, რაკი ერთხელ მოითათბირეს, უკანდახევა უკვე სისუსტე იქნებოდა.

– ახლავე წავიდეთ და ვცადოთ? – თქვა დიგორიმ.

– კარგი, წავიდეთ, – თქვა პოლიმ.

– თუ არ გინდა, ნუ წამოხვალ, – თქვა დიგორიმ.

– შენ თუ მამაცი ხარ, არც მე ვარ ნაკლები! – თქვა მან.

– როგორ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ იმ უკანასკნელის წინა სახლში ვართ?

მათ გადაწყვიტეს გასულიყვნენ ბოქს-რუმში და იმხელა ნაბიჯებით გადაეზომათ ის, რამხელა ნაბიჯიც გამოდის კოჭი-

დან კოჭამდე. ამით გაიგებდნენ ისინი რამდენი კოჭი მოდის თითო ოთახზე. ოთხ კოჭს გადაიანგარიშებენ პოლის სახლის ორთავე სხვენს შორის მოქცეული დერეფნისათვის და მერე იმდენივე რიცხვს დაიანგარიშებენ მოსამსახურის საწოლ ოთახზე, რამდენიც ბოქს-რუმშია. აქედან გამოიყვანდნენ სახლის სიგრძეს. როდესაც ისინი ორჯერ გაივლიდნენ მიღებულ მანძილს, უკვე დიგორის სახლში იქნებოდნენ. ის კარი, რომელსაც ისინი ამის შემდეგ მიადგებოდნენ, მათ იმ ცარიელ სახლში შეუშვებდა.

– მაგრამ, მე არა მგონია, ის სახლი სრულიად ცარიელი დაგვიხვდეს, – თქვა დიგორიმ.

– რა უნდა იყოს იქ?

– მე მგონია, იქ ვიღაც აფარებს თავს და ღამით შედის და გადის, მოფარებული ფანრით. ჩვენ ალბათ აღმოვაჩენთ საშინელ ბოროტმოქმედთა ხროვას, და სამაგიეროსაც მოგვიზღავენ. შეუძლებელია, ტყუილია, სისულელეა სახლი ცარიელი იყოს მთელი ამ წლების მანძილზე, თუ აქ რამე საიდუმლო არ არის.

– მამა ფიქრობს, წყალგაყვანილობის სისტემის მოშლის ბრალიაო, – თქვა პოლიმ.

– ოო! ამ უფროსებს ყოველთვის უინტერესო აზრები უტრიალებთ თავში. – თქვა დიგორიმ.

ახლა რაკი ისინი უკვე დღის შუქზე ლაპარაკობდნენ სხვენში და არა სანთლით განათებულ კონტრაბანდისტთა გამოქვაბულში, უფრო ნაკლებად ეჭვობდნენ, რომ ცარიელ სახლში მოჩვენებები იქნებოდნენ.

სხვენის გადაზომვის შემდეგ მათ უნდა აეღოთ ფანქრები და ეანგარიშათ. თავიდან ერთმაცა და მეორემაც განსხვავებული პასუხები მიიღეს, მერე კი შეაჯერეს პასუხები, მაგრამ, მე არა მგონია, რომ სწორი პასუხი გამოუვიდათ. ისინი ჩქარობდნენ გამოკვლევის დაწყებას.

– ჩვენ არ უნდა ვიხმაუროთ, – თქვა პოლიმ, როდესაც ისინი ცისტერნის უკან გადადიოდნენ. რაკი ეს ასეთი მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო, მათ სათითაო სანთელი დაიჭირეს

(პოლის კარგი მარაგი ჰქონდა სანთლებისა თავის გამოქვაბულში).

სავალი ძალიან ბნელი, მტვრიანი და ცივი აღმოჩნდა. ისინი უხმოდ გადადიოდნენ კოჭიდან კოჭზე, მხოლოდ ხანდახან უჩურჩულებდნენ ერთმანეთს: „ჩვენი სახლის შუაგე უნდა ვიყოთ ახლა მისული“. არც ერთს არ წაუბორძიკია, სანთელიც არ ჩაქრობიათ. ბოლოს მათ მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც

მარჯვნივ აგურის კედელში კარი იყო დატანებული. ამ მხრიდან არც ურდული იყო და, არც სახელური, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ კარი ჩასმული იყო შიგნით შესასვლელად და არა გარეთ გამოსასვლელად. მაგრამ კარს ჰქონდა საკეტი (ისეთი კარადის კარებს რომ აქვს ხოლმე შიგნიდან). დარწმუნებული იყვნენ, რომ მის გაღებას შეძლებდნენ.

– ვცადო? – თქვა დიგორიმ.

– შენ თუ მამაცი ხარ, არც მე ვარ ნაკლები! – თქვა პოლიმ უწინდებურად. ორივემ იგრძნო მოახლოებული საფრთხე, მაგრამ არც ერთი არ აპირებდა უკან დახევას. დიგორიმ მცირე გაჭირვებით გადაატრიალა საკეტი. კარი გაიღო და ანაზდეულმა მზის შუქმა თვალი მოსჭრათ. მერე გაოცებულებმა დაინახეს, რომ ისინი იყურებოდნენ არა მიტოვებულ სხვენში, არამედ ავეჯით მოწყობილ ოთახში. მაგრამ ის ოთახი მაინც საკმაოდ ცარიელი ჩანდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. პოლის ცნობისმოყვარეობამ წასძლია. მან სულის შებერვით ჩააქრო სანთელი და თაგვივით უხმაუროდ შეაბიჯა ოთახში. ის თავიდან სხვენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა მისაღები ოთახივით იყო მოწყობილი. მთელ კედლებზე თაროები ეკიდა და ყველა თარო წიგნებით იყო სავსე. ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა (თქვენ გახსოვთ, იმ წელიწადს ძალიან ცივი ზაფხული იყო), ბუხრის წინ, მათგან ზურგშექცევით, მაღალსაზურგიანი სავარძელი იდგა. სავარძელსა და პოლის შორის თითქმის მთელ შუაოთახს დიდი მაგიდა ავსებდა, რომელზედაც დაზვინული იყო ნაირ-ნაირი ნივთები: ნაბეჭდი წიგნები, რვეულები, სამელნეები, კალმები, ლუქი და მიკროსკოპი. მაგრამ პირველი, რასაც პოლიმ მოჰკრა თვალი, ალისფერი ხის ხონჩა იყო, რომელზედაც უამრავი ბეჭდები ეყარა. ბეჭდები დაწყვილებული იყო – ყვითელი და მწვანე ერთად ეწყო, მერე, ოდნავ მოშორებით, მომდევნო ყვითელი და მწვანე წყვილი იდო. ის ბეჭდები ჩვეულებრივ ბეჭდებზე დიდი არ იყო, მაგრამ ისე ბრჭყვიალებდა, რომ თვალს ვერ გაუსწორებდით. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმათზე უფრო ბრჭყვიალა ნივთებს. პოლი რომ ძალიან პატარა ყოფილიყო, ბეჭდების პირში ჩადება

მოუნდებოდა. ოთახში ისეთი სიწყნარე სუფევდა, რომ საათის წიკწიკს გაიგონებდით. და მაინც, პოლი მიხვდა, რომ არც მთლად ისეთი სიწყნარე იყო. რაღაცას ძალზე ყრუ ზრიალი გაჰქონდა. იმ დროს რომ უკვე გამოგონილი ყოფილიყო მტვერსასრუტი, პოლი იფიქრებდა, რამოდენიმე ოთახისა და სართულის იქით მტვერსასრუტი მუშაობსო. მაგრამ ეს ხმა მტვერსასრუტისას სჯობდა, ის უფრო მუსიკალურ ჩქამს წაგავდა, ოღონდ ისეთი სუსტი იყო, რომ ძლივას თუ გაიგონებდით.

– მოდი, აქ არავინაა, – ზურგსუკან გადასძახა პოლიმ დიგორს. ის ახლა აღარ ჩურჩულებდა. მეტისმეტად ამოთხუპნული დიგორი თვალების ხამხამით გამოვიდა გასასვლელიდან. (პოლიც, რაღა თქმა უნდა, ამოთხუპნული იყო).

– ეს კარგი ამბავი არ არის, – თქვა დიგორიმ. – ეს სახლი სრულებითაც არ არის ცარიელი. ჩვენ ის გვირჩევნია, აქედან გავასწროთ, სანამ ვინმე არ მოსულა.

– რას იტყვი, ეგ რეები უნდა იყოს? – თქვა პოლიმ და ფერადი ბეჭდებისკენ გაიშვირა ხელი.

– კარგი ერთი, – უთხრა დიგორიმ. – რაც მალე...

დიგორიმ ვეღარ მოასწრო სათქმელის დამთავრება, რადგან იმ დროს რაღაც მოხდა. ბუხრის წინ მდგარი მაღალსაზურგიანი სავარძელი უცებ გაიწია და იქიდან, პანტომიმაში ჯინი რომ ამოძერება ხოლმე ბოთლიდან, ისე წამოიმართა ძია ენდრიუს თავგარდამცემი ფიგურა. თურმე ისინი სულაც არ იყვნენ იმ ცარიელ სახლში. ისინი დიგორის სახლში და იმ აკრძალულ სამუშაო ოთახში იყვნენ.

– ვაი! – შესძახეს ბავშვებმა, რომლებიც მიხვდნენ თავიანთ საბედისწერო შეცდომას. ახლაღა გაიგეს, რომ მათ იმდენი გზა არა ჰქონდათ გამოვლილი, რომ ცარიელ სახლში მოხვედრილიყვნენ.

ძია ენდრიუ იყო მაღალი და ძალიან გამხდარი კაცი. მას ჰქონდა სუფთად ნაპარსი გრძელი სახე, წვეტიანი ცხვირი, მოელვარე თვალები და დიდი გაბურძგვნილი ჭაღარა თმა.

დიგორის პირში ენა ჩაუვარდა, რადგან ძია ენდრიუ ახლა ათასჯერ უფრო თავგარდამცემად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდეს-

მე. პოლის ჯერ არ შეეშინდა, მაგრამ მალე ისიც ძრწოლამ აიტანა, რადგან პირველი, რაც ძია ენდრიუმ გააკეთა, ის იყო, რომ მივიდა კართან, მიხურა და კლიტე გადაკეტა. მერე შემობრუნდა, ბავშვებს მოელვარე თვალებით მიაჩერდა და ისე გაიღიმა, რომ ყველა კბილი გამოაჩინა.

– ესეც ასე! – თქვა მან. – ახლა ჩემი სულელი დაიკო თქვენამდე ვერ მოაღწევს!

სრულებით წარმოუდგენელი იყო დიდი ადამიანისგან ასეთი საქციელი. პოლის გული ყელში მოებჯინა. ბავშვებმა უკან-უკან დაისიეს იმ პატარა კარისკენ, რომლითაც შემოვიდნენ. ძია ენდრიუმ დაასწრო, ის მათ უკან მოექცა და ის კარიც დახურა. თვითონ კი კარწინ დადგა. მერე ხელები მოიფშვნიტა და თითები დაიტკაცუნა. მას ჰქონდა ძალიან გრძელი, ქათქათა თითები.

– ძალიან მახარებს თქვენი ხილვა, – თქვა მან. – მე სწორედ ორი ბავშვი მჭირდებოდა.

– მისტერ კეტერლი, – თქვა პოლიმ, – ჩემი სადილის დრო მოვიდა და შინ უნდა წავიდე. თუ შეიძლება, გაგვიშვით!

– ჯერ ვერ გაგიშვებთ, – თქვა ძია ენდრიუმ. – ეს ისეთი მარჯვე შემთხვევაა, რომ ამის ხელიდან გაშვება არ იქნება. მე მჭირდება ორი ბავშვი. იცით, მე დიდ ცდას ვატარებ. მე უკვე ვცადე ის ზღვის გოჭზე და აღმოჩნდა, რომ გაამართლა. მაგრამ ზღვის გოჭს არაფრის თქმა არ შეუძლია. შეუძლებელია მას ასწაელო, როგორ დაბრუნდეს უკან.

– იცით, ძია ენდრიუ, – თქვა დიგორიმ, – მართლა სადილის დროა და სადაცაა ძებნას დაგვიწყებენ. უნდა გაგვიშვათ!

– უნდა გაგიშვათ? – თქვა ძია ენდრიუმ.

დიგორიმ და პოლიმ ერთმანეთს გადასედეს. თქმა ვერაფრისა გაბედეს, მაგრამ მათი გადახედვა ნიშნავდა: „ეს რა საშინელებაა!“ და: „უნდა დავუთმოთ მას?“

– თუ თქვენ ახლა სადილზე გაგვიშვებთ, – უთხრა პოლიმ, – შეგვიძლია სადილის შემდეგ დავბრუნდეთ.

– აბა, რა ვიცი, დაბრუნდებით? – თქვა ძია ენდრიუმ ეშმაკური ღიმილით. მერე თითქოს აზრი შეიცვალა.

– კარგი, კარგი, – თქვა მან, – თუ თქვენ აუცილებლად წასასვლელები ხართ, უნდა წახვიდეთ. მე არა მგონია თქვენისთანა პატარებს ეხალისებოდეთ ჩემისთანა ბერიკაცთან საუბარი, – ამოიხვნეშა მან და განაგრძო: – თქვენ ვერ წარმოიდგენთ ზოგჯერ როგორ სიმარტოვეში ვარ. მაგრამ ეგ არაფერი, წადით სასადილოდ. მაგრამ ვიდრე წახვიდოდეთ, უნდა დაგასაჩუქროთ. ჩემს უღიმღამო სამუშაო ოთახში ყოველდღე როდი ვხედავ პატარა გოგონას, თანაც იმისთანა ლამაზ ყმაწვილქალს, როგორიც თქვენა ხართ.

პოლიმ იფიქრა, რომ ძია ენდრიუ არც ისეთი შეშლილი იყო.

– გინდა ბეჭედი, ჩემო კარგო? – უთხრა ძია ენდრიუმ პოლის.

– ყვითელი, თუ მწვანე? – თქვა პოლიმ. – რა მშვენიერებია!

– არა, მწვანე არა, – თქვა ძია ენდრიუმ. – სამწუხაროდ, მე არ შემიძლია მწვანე ბეჭდის მოცემა. მაგრამ მე სიამოვნებით მოგცემდი ნებისმიერ ყვითელ ბეჭედს: მშვიდობაში მოგახმაროს! მოდი და გაისინჯე.

ახლა კი დასძლია პოლიმ შიში და დარწმუნდა, რომ მოხუცი კაცი არ იყო შეშლილი. ნამდვილად რაღაც უცნაური მიმზიდველობა ჰქონდა იმ ბრჭყვიალა ბეჭდებს. პოლიმ ხონჩისაკენ გაიწია.

– ეს რა არის? – თქვა მან. – ზრიალის ხმა აქ უფრო ძლიერდება, თითქოს ზარები რეკავენო.

– ეს რა სასაცილო მოჩვენებაა, ჩემო კარგო, – თქვა ძია ენდრიუმ სიცილით. ეს გულიანი სიცილი კი იყო, მაგრამ დიგორიმ ქინიანი და თითქმის ხარბი გამომეტყველება შენიშნა ძიამისის სახეზე.

– პოლი! არ გასულელდე! – იყვირა მან. – ხელი არ ახლო!

მაგრამ უკვე გვიან იყო. მას ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პოლიმ ხელი შეახო ბეჭდებს და მაშინვე, ყოველგვარი ხმაურისა და გაფრთხილების გარეშე, გაქრა. ოთახში მარტო დიგორი და ძიამისი დარჩნენ.

თავი მეორე

დიგორი და ძიამისი

ეს ისე მოულოდნელად მოხდა და ისე განსხვავდებოდა ყოველივე იმისგან, რაც დიგორის საშინელ სიზმრებში გადახდენია ხოლმე, რომ ბიჭმა ყვირილი მორთო. მაშინვე ძია ენდრიუს ხელმა აუკრა პირი. „აბა, აბა!"– ჩასჩურჩულა მან ყურში დიგორის. „თუ იხმაურებ, დედაშენი გაიგონებს. ხომ იცი, თავზარი დაეცემა!"

როგორც დიგორი ამბობდა მერე, ამისთანა უნამუსო ფანდმა ლამის გული აურია. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ აღარ უყვირია.

– აი, ასე! – თქვა ძია ენდრიუმ. – ალბათ, თავი ვერ შეიკავე. პირველად რომ ხედავ ვინმეს გაქრობას, ეს თავზარდამცემია. გუშინღამ რომ ზღვის გოჭი გაქრა მეც ეგრე მომივიდა.

– ამიტომ ყვიროდით? – ჰკითხა დიგორიმ.

– ა, შენც გაიგონე? შენ რა, ხომ არ მითვალთვალებდი?

– არა! – წყრომით თქვა დიგორიმ. თქვენ ეს მითხარით, რა დაემართა პოლის?

– მომილოცე, ჩემო ბიჭუნა, – თქვა ძია ენდრიუმ ხელების ფშვნეტით. – ჩემმა ცდამ გაამართლა. პატარა გოგონა გაუჩინარდა... გაქრა... ამ სამყაროდან.

– რა უქენით მას?

– გავგზავნე...ე... სხვა ადგილას.

– ვერ გავიგე, რას ამბობთ? – იკითხა დიგორიმ.

ძია ენდრიუ ჩამოჯდა და თქვა:

– კარგი, მე ყველაფერს გეტყვი. მის ლეფეის სახელი თუ გსმენია?

– ჩვენი პაპიდა არ იყო?

– არა, – თქვა ძია ენდრიუმ. – ის ჩემი ნათლია იყო. აგერ ის, კედელზე.

დიგორიმ გაიხედა და დაინახა გახუნებული ფოტოსურათი. მასზე აღბეჭდილი იყო თავდახურული მოხუცი ქალი. დიგორიმ ახლა გაიხსენა, რომ ასეთივე ფოტოსურათი ნანახი ჰქონდა

ძველ კომოდში, შინ, სოფელში. მან იკითხა კიდეც, ვინ იყო ის ქალი, მაგრამ დედამ არ ისურვა ამაზე ლაპარაკი. ქალის სახე სრულებით არ იყო მიმზიდველი, თუმცა, რა თქმა უნდა, ძველი ფოტოთი დანამდვილებით ვერაფერს გაიგებ.

– თითქოს... თითქოს... ცუდი ქალი იყო, არა, ძია ენდრიუ? – იკითხა მან.

– იცი, – ჩაისითხითა ძია ენდრიუმ, – ეს იმაზეა დამოკიდებული, რას უწოდებ ცუდს. ხალხი ძალიან გონებაშეზღუდულია. თავისი ცხოვრების ბოლო წლებში მართლაც დასჩემდა უცნაურობა. ძალიან სულელურ რაღაცეებს სჩადიოდა. ამიტომაც გამოამწყვდიეს ის.

– სადა? საგიჟეთში?

– ო, არა, არა, არა! – თქვა ძია ენდრიუმ შემკრთალი ხმით.

– მსგავსი არაფერი! ის მხოლოდ ციხეში გამოამწყვდიეს.

– უჰ! – თქვა დიგორიმ, – ისეთი რა ჩაიდინა?

– საბრალო ქალი, – თქვა ძია ენდრიუმ. – ძალიან უგუნურად იქცეოდა. ძალიან ბევრი სხვა ამბებიც ხდებოდა. რა საჭიროა ყოველივე ამის გახსენება. ის ძალიან კეთილი იყო ჩემს მიმართ.

– მოიცათ, ყოველივე ამას რა საერთო აქვს პოლისთან? ახლავე მითხარით...

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჩემო ბიჭუნა, – თქვა ძია ენდრიუმ. – მის ლეფეი სიცვდილის წინ ციხიდან გამოუშვეს. უკანასკნელი ავადმყოფობის ჟამს, მე იმ რამოდენიმე კაცთაგანი ვიყავი, რომელთაც ის მისი მონახულების ნებას აძლევდა. იცი, მას არ უყვარდა უბირი და უმეცარი ხალხი. არც მე მიყვარან ასეთები. გარდა ამისა, ჩვენ საერთო ინტერესები გვქონდა. სიკვდილამდე სულ რამოდენიმე დღით ადრე მან დამავალა, გამეღო მის სახლში მოთავსებული კარადის საიდუმლო უჯრა და მასთან მიმეტანა ის პატარა ყუთი, რომელიც მასში აღმოჩნდებოდა. როდესაც ის ყუთი ამოვიღე, თითების ჩხვლეტამ მაგრძნობინა, რომ ხელში რაღაც დიდი საიდუმლო მეკავა. მის ლეფეიმ გადმომცა ის ყუთი და პირო-

ბა დამადებინა, რომ, როგორც კი ის მოკვდებოდა, იმ ყუთს გაუხსნელად, გარკვეული ცერემონიალის ჩატარების შემდეგ, დავწვავდი. ის პირობა მე არ შევასრულე.

– ძალიან უსინდისოდ მოქცეულხართ! – თქვა დიგორიმ.

– უსინდისოდ? – თქვა შეცბუნებულმა ძია ენდრიუმ.



– ხომ, გასაგებია, შენ იმის თქმა გინდა, რომ პატარა ბიჭუნებმა უნდა შეასრულონ პირობა. სრული ჭეშმარიტებაა. ყოველად სწორი და ჯეროვანი; მე მჯერა და მისარია, რომ შენ ასე სარ გაზრდილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, შენ უნდა გესმოდეს, რომ ასეთი წესები, რაოდენ კარგიც არ უნდა იყოს პატარა ბიჭებისთვის, მსახურებისთვის, ქალებისთვის, და, საერთოდ, ხალხისთვის, არ გამოდგება ღრმააზროვანი სტუდენტებისთვის, დიდი მოაზროვნეებისთვის და ბრძენკაცთათვის. არა, დიგორი. ჩემისთანა კაცები, რომელნიც ფარულ სიბრძნეს ფლობენ, თავისუფალი არიან საყოველთაო წესებისაგან, რაკი ჩვენ მოწყვეტილნი ვართ საყოველთაო სიამტკბილობას. ჩვენი ბედ-იღბალი, ჩემო ბიჭუნა, ამაღლებული და განკერძოებულია.

ამ სიტყვებზე მან ამოიოხრა. ის ისე სევდიანი, დარბაისელი და იდუმალებით მოცული გამოიყურებოდა, რომ წამით დიგორიმ იფიქრა, რაღაც მშვენიერს ამბობსო. მაგრამ მერე გაახსენდა ის საძაგელი გამომეტყველება, რომელიც მან ძია-

მისის სახეზე შენიშნა, ვიდრე პოლი გაქრებოდა. ის მაშინვე მიხვდა ძია ენდრიუს დიდებული სიტყვების არსს. „ეს ყოველივე იმას ნიშნავს“, – გაიფიქრა დიგორიმ, – „რომ თავისი მიზნის მისაღწევად ის ყველაფერს გააკეთებს.“

– რა თქმა უნდა, – თქვა ძია ენდრიუმ, – მე კარგახანს ვერ ვბედავდი ყუთის გახსნას, რადგან ვიცოდი, მასში საშინლად სახიფათო რამ შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩემი ნათლია ძალიან ღირსეული ქალი იყო. საქმე ის არის, რომ ამ ქვეყანაში ის იმ უკანასკნელ მოკვდავთაგანი იყო, რომელთაც ფეას სისხლი ედგათ (თავის დროზე ის მოსწრებოდა ორ სხვა ფეასაც: ერთი ჰერცოგის ქალი იყო, ხოლო მეორე – დამლაგებელი ქალი). ასე რომ, დიგორი, შენ, ალბათ, იმ უკანასკნელ კაცს ელაპარაკები ახლა, რომლის ნათლია ფეა იყო. აი, ეს მოსაგონებლად გექნება, როდესაც დაბერდები.

– „ნიძლავსა ვარ, ბოროტი ფეა ყოფილა“, – გაიფიქრა დიგორიმ და ხმამაღლა დასძინა:

– პოლის რა დაემართა?

– რა მოუთმენლობა გჭირს! – თქვა ძია ენდრიუმ. – თითქოს ეს იყოს საქმე! რა თქმა უნდა, ჩემი პირველი მიზანი იყო, შემესწავლა თავად ის ყუთი. ის ძალიან ძველი იყო. მაშინ უკვე ვიცოდი იმდენი იმის გამოსაცნობად, რომ ის ყუთი არც ბერძნული იყო, არც ძველეგვიპტური, არც ბაბილონური, არც ხეთური და არც ჩინური. ის იმ ხალხებზე გაცილებით ძველი იყო. ო, ის იყო დიადი დღე, როდესაც მე ჭეშმარიტებას მივაგენი. ყუთი იყო ატლანტიდური. ის ატლანტიდის დალუპული კუნძულიდან იყო წამოღებული. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყუთი ევროპაში განათხარი ქვის ხანის ნივთებზე საუკუნეებით ძველი იყო; ამასთან, ის არ იყო ქვის ხანის ნივთებივით უხეში და უშნო საგანი, რადგან შორეულ დროში ატლანტიდა იყო დიდებული ქალაქი, თავისი სასახლეებით, ტაძრებით და სწავლული ადამიანებით.

ის ერთხანს შეჩერდა, თითქოს ელოდა, რომ დიგორი რამეს იტყოდა. მაგრამ დიგორი თანდათან უფრო ღიზიანდებოდა თავის ძიაზე, ამიტომ არაფერი უთქვამს.

– ამასობაში, – გააგრძელა ძია ენდრიუმ, – საერთოდ, მე ბევრს ვსწავლობდი ყველაფერს მაგიაზე (ამის ახსნა ბავშვისათვის საჭირო არ არის). ამის წყალობით მე სწორედ გამოვიცანი, თუ როგორი ნივთები უნდა ყოფილიყო იმ ყუთში. მრავალი შემოწმების მეოხებით მე შევამცირე შესაძლებლობათა რიცხვი. დამჭირდა საოცრად უცნაური ხალხის გაცნობა და ძალიან უამური ცდების გამოვლა. ამან გამიჭაღარავა თავი. კაცი იოლად ვერ გახდება ჯადოქარი. ბოლოს ჯანმრთელობაც შემერყა. ახლა უკეთა ვარ. ბოლოს და ბოლოს, მე გავიგე... თუმცა იქ სულ მცირე შანსიც არ იყო, რომ ვინმეს დაეგდო მათთვის ყური, ის მაინც წინ წამოიხარა და თითქმის ჩურჩულით თქვა:

– ატლანტიდური ყუთი შეიცავდა ისეთ რამეს, რაც მოტანილი იყო სხვა სამყაროდან მაშინ, როცა ჩვენი სამყაროს დასაბამი იწყებოდა.

– რა იყო? – იკითხა დიგორიმ, რომელიც ახლა თავისდაუნებურად დაინტერესდა ნათქვამით.

– მხოლოდ მტვერი, – თქვა ძია ენდრიუმ. – მშრალი მტვერი. სანახავად ბევრი არაფერი. მთელი ცხოვრების შრომა-გარჯის შემდეგ, ეს ბევრი ვერაფერი შედეგიაო – იტყვი. მაგრამ, როდესაც მე იმ მტვერს დავხედე (ძლივს შევიკავე თავი, რომ ხელით არ შევხებოდი); გავიაზრე, რომ იმ მტვრის თითოეული ნაწილაკი ერთი დროის იყო სხვა სამყაროში – მე სხვა პლანეტას არ ვგულისხმობ ახლა. პლანეტები ხომ ჩვენი სამყაროს ნაწილია და შეგიძლიათ მიაღწიოთ მათ, თუ თქვენ საკმაოდ შორ მანძილს გაივლით, მაგრამ ის მტვერი ეკუთნოდა რამდვილად სხვა სამყაროს, სხვა ბუნებას, სხვა დუნიას, საიდან ვერ მოხვდები კაცი ამ სამყაროს სივრცის გავლით, უკუნითი უკუნისამდე რომ იმოგზაურო. ეს არის სამყარო, რომელიც მხოლოდ მაგიის მეშვეობით მიიღწევა! – აქ ძია ენდრიუმ ისე მაგრად მოიფშვნიტა ხელები, რომ თითებმა ფეიერვერკივით დაუწყეს ტკაცუნი.

– მე ვხვდებოდი, – გააგრძელა მან, – საკმარისი იყო მისგან ის გამოგეგზილათ, რაც საჭირო იყო, რომ მტვერი იქ

გადაგიყვანდათ, საიდანაც ის წამოიღეს. ჩემმა ადრინდელმა ცდებმა ვერ გაამართლეს. მე ცდებს ზღვის ეოჭებზე ვატარებდი. ზოგი მოკვდა, ზოგიც პატარა ბომბებივით დაცდა.

– ეს რა სისასტიცეა! – თქვა დიგორიმ, რომელსაც ერთხელ საკუთარი ზღვის ეოჭი ჰყავდა.

– ეგ რამ გათქმევინა, – მიუგო ძია ენდრიუმ. – ის ცხოველები სწორედ ამ მიზნით არიან შექმნილნი. მე მათ ჩემი ფულით ვყიდულობდი. დამაცა, გავიხსენო, სად ვიყავი? ხო, გამახსენდა. ბოლოს მე შევძელი იმ მტვრისგან ბეჭდების გაკეთება, ყვითელი ბეჭდებისა, მაგრამ ახლა სხვა დაბრკოლება გაჩნდა. მე სრულებით დარწმუნებული ვიყავი, რომ ყვითელი ბეჭედი ნებისმიერ ცხოველს, რომელიც კი მას შეეხებოდა, სხვა ალაგას გადაიყვანდა. მაგრამ რა აზრი ექნებოდა ამას, თუკი მათ უკან ვეღარ დამიბრუნებდნენ იმის საუწყებლად, რაც იქ ნახეს?

– რა დღეში ჩაცვივდებოდნენ ისინი, თუ აქეთ ვეღარ გამოიგნებდნენ გზას! – თქვა დიგორიმ.

– შენ ყველაფერს უკუღმართი თვალით უყურებ! – მოთმინებადაკარგული სახით მიუგო ძია ენდრიუმ.

– ნუთუ ვერ მიმხვდარხარ, რომ ეს უდიდესი ცდა არის? იმ სხვა ალაგას იმიტომ ვაგზავნი, რომ მინდა აღმოვაჩინო, როგორ გამოიყურება იქაურობა.

– მაშ, შენ თვითონ რატომ არ წახვალ? – ჰკითხა დიგორიმ.

დიგორის ძნელად თუ ენახა ოდესმე კაცი ასე გაეოცებინოს და გაენაწყენებინოს რაიმეს, როგორც ძიამისი გააოცა და გაანაწყენა იმ უბრალო კითხვამ.

– მე? მე? – წამოიძახა ძიამ. – შენ გიჟი ხომ არა ხარ?! ჩემს ასაკში ამ ჯანმრთელობის პატრონმა, როგორ უნდა ჩავიგდო თავი იმ შოკსა და საფრთხეში, რომელიც სხვა სამყაროში გადასვლას ახლავს? ცხოვრებაში არ მსმენია ამისთანა სისულელე! გესმის კი, რას ამბობ? წარმოიდგინე რას ნიშნავს სხვა სამყარო! იქ შეიძლება ნებისმიერ რამეს გადაეწყდე, ნებისმიერს!

– მამ, შენ არ იყავი, პოლი რომ გაგზავნე იქ? – უთხრა დიგორიმ. ბრაზისაგან ბიჭს ლოყები წამოენთო. – მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, – დასძინა მან, – რომ, თუმცა შენ ძიაჩემი ხარ... შენ მხდალი კაცივით მოიქეცი, რაკი გოგონა გაგზავნე იმ ადგილას, სადაც შენ თვითონ ვერ გაგიბედია წასვლა.

– წყნარად, სერ! – თქვა ძია ენდრიუმ მაგიდაზე ხელის ბრახუნით. – მე არ მოგცემ ჩემზე ასე ლაპარაკის უფლებას პატარა, თხუპნია სკოლის მოწაფეს. შენ არ გესმის, რომ მე ვარ დიდი მეცნიერი, ჯადოქარი, რომელიც ექსპერიმენტებს ატარებს. რაღა თქმა უნდა, მე მჭირდება საცდელი არსებები, რომლებზედაც ცდას ჩავატარებ, ღმერთო ჩემო, ალბათ შენ იმასაც მეტყვი, რომ, ვიდრე ბღვის გოჭებს გამოვიყენებდი, მათთვის ნებართვა უნდა ჩამომერთმია! არანაირი დიადი სიბრძნე არ მიიღწევა მსხვერპლის გარეშე. ის აზრი, რომ მე თვითონ წავიდე იქ, სასაცილოა. ეს იგივეა, რომ გენერალს მოსთხოვო, რიგითი ჯარისკაცივით იბრძოლოს. დავუშვათ მომკლეს, ხომ წყალში ჩაიყრება მთელი ჩემი ცხოვრების ნაშრომი?

– ოჰ, გეყოფათ, მოსაწყენი საუბარია, – თქვა დიგორიმ. – არ აპირებთ პოლის დაბრუნებას?

– შენ რომ ასე უბრდელად შემაწყვეტინე სიტყვა, სწორედ მაშინ მე იმის თქმას ვაპირებდი, – უთხრა ძია ენდრიუმ, – რომ ბოლოს და ბოლოს, მე მივაგენი იქიდან უკან დასაბრუნებელ საშუალებას. მწვანე ბეჭდები დაგაბრუნებენ თქვენ უკან.

– კი, მაგრამ პოლის ხომ თან არა აქვს მწვანე ბეჭედი.

– არა, – თქვა ძია ენდრიუმ და გესლიანად გაიღიმა.

– აბა, პოლი ვეღარ დაბრუნდება უკან, – იღრიალა დიგორიმ. გინდა გაგიქვრიათ ის და გინდა მოგიცლავთ, იგივეა.

– შეიძლება მისი უკან დაბრუნება, – თქვა ძია ენდრიუმ, – თუკი სხვა ვინმე გაედევნება მას. წამსვლელმა ერთი ყვითელი ბეჭედი თვითონ უნდა გაიცეთოს, ორი მწვანე ბეჭედი კი თან წაიღოს: ერთი იმისთვის, რომ თვითონ დაბრუნდეს უკან, მეორე იმისთვის, რომ პოლი დააბრუნოს.

ახლაღა მიხვდა დიგორი, რომ მახეში იყო გაბმული. ის პირდაბჩენილი მიაჩერდა ძია ენდრიუს უხმოდ. ბავშვს სახეზე მკვდრის ფერი ედო.

– მე იმედი მაქვს, – ცოტახნის შემდეგ, მაღალი და ძლიერი ხმით წამოიწყო ძია ენდრიუმ, თითქოს ის ისეთი უნაკლო ძია ყოფილიყო, რომელმაც გვარიანი ფეხის ქირა და კარგი რჩევა მისცა ვინმეს, – მე იმედი მაქვს, დიგორი, შენ სიმხდალეს არ გამოიჩენ. ჩემთვის ძალიან საწყენი იქნებოდა, თუ ჩვენს ოჯახში აღმოჩნდებოდა ისეთი ვინმე, ვისაც საიმისოდ არ ეყოფოდა კეთილშობილება და რაინდობა, რომ განსაცდელში ჩავარდნილი გოგონას დასახმარებლად წასულიყო.

– ხმა მეთქი! – თქვა დიგორიმ. – თქვენ რომ ერთი ბეწო ღირსება გქონდეთ, თავად წახვიდოდით. მაგრამ ვიცი, თქვენ წამსვლელი არა ხართ. კარგი. ვხედავ, მე უნდა წავიდე. თქვენ კი, თქვენ მხეცი ხართ. ეს ყველაფერი თქვენ დაგეგმეთ, რათა პოლი მოულოდნელად წასულიყო და მერე მე გავმხდარიყავი იძულებული, რომ მას გავდევნებოდი.

– რა თქმა უნდა! – თქვა საძაგლად მომღიმარმა ძია ენდრიუმ.

– კეთილი და პატიოსანი! მე წავალ, მაგრამ წასვლის წინ ძალიან მინდა ერთი რამ გითხრათ: მე არა მჯეროდა დღემდე მაგიისა. ახლა მჯერა. თუ ეს ასეა, მაშინ ყველა ის ძველი ჯადოსნური ზღაპრები მეტნაკლებად მართალი ყოფილა. და თქვენა ხართ, უბრალოდ, ბოროტი და საშინელი ჯადოქარი. ისეთი, იმ ზღაპრებში რომაა აღწერილი. მე არასდროს წამი-

კითხავს ისეთი ზღაპარი, რომელშიც ამისთანა ხალხს ბოლოს სამაგიერო არ მიზღეოდეს და, ნიძლავსა ვარ, თქვენც იგივე მოგივათ, მოგებღვებათ დამსახურებისამებრ.

ახლაღა გასჭრა დიგორის ნათქვამმა. დაფრთხა ძია ენდრიუ და სახეზე ისეთი შიში აღებეჭდა, რომ, თუმცა მსეცი კი იყო, მაგრამ მაინც შეგებრალებოდათ. ძია ენდრიუმ მაინც წამში მოიშორა შიში და ნაძალადევი სიცილით თქვა:

— ვგონებ ბუნებრივია, რომ შენისთანა, ქალებში გაზრდილი, ბავშვი ასე ფიქრობდეს. დედაბრული ზღაპრები, არა? შენ ჩემს განსაცდელზე ნუ ფიქრობ, დიგორი. იქნებ სჯობდეს შენი პატარა მეგობრის განსაცდელზე იფიქრო? მას შემდეგ, რაც ის წავიდა, დროა გასული. თუ იქ რამე განსაცდელია, სანანებელი გახდებოდა დაგვიანება.

— ძალიან განაღვლებთ ახლა თქვენ მისი ბედი! — მრისხანედ თქვა დიგორიმ. — გულს მირევს ეს თქვენი მოსაწყენი საუბარი. რა უნდა გავაკეთო?

— შენ აუცილებლად უნდა ისწავლო თავშეკავება, ჩემო ბიჭუნა, — ცივად თქვა ძია ენდრიუმ, — თორემ დეიდა ლეტისთანა გაიზდრები. ახლა კი ყური მიგდე.

ის ადგა, ხელთათმანები გაიცეთა და წავიდა იმ ხონჩისკენ, რომელზედაც ბეჭდები ეწყო.

— მათ ძალა მაშინ მიაქვთ, — თქვა მან, — თუ უშუალოდ კანზე გეხებიან. ხელთათმანებით მე შემიძლია ხელში ავიღო ისინი. ასე, და არაფერი მომდის. თუ თქვენ ბეჭედს ჯიბეში ჩაიდებთ არაფერი მოხდება: მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენ უნდა იფრთხილოთ, რომ შემთხვევით არ ჩაიყოთ ჯიბეში ხელი. როგორც კი ხელს ყვითელ ბეჭედს შეახებთ, მაშინვე გაქრებით ამ სამყაროდან. როდესაც თქვენ სხვა ადგილას იქნებით, მე ვიმედოვნებ, რაღა თქმა უნდა, ეს ჯერ არავის შეუმოწმებია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ, როგორც კი ხელს მწვანე ბეჭედს შეახებთ, გაქრებით იმ სამყაროდან და, მე ვიმედოვნებ, კვლავ ამ სამყაროში აღმოჩნდებით. ახლა კი, მე ავიღებ ამ ორ მწვანე ბეჭედს და მარჯვენა ჯიბეში ჩაგიყრი. გახსოვდეს, ფრთხილად! გაიხსენე რომელ ჯიბეში გაქვს მწვა-

ნეები. ერთი შენთვის არის, მეორე – გოგონასთვის. ახლა კი, აიღე ყვითელი ბეჭედი შენთვის. შენს ადგილას მე მას თითზე წამოვიცვამდი. ასე თუ იზამ, ნაკლებად შესაძლებელი იქნება, რომ დაგივარდეს.

ის-ის იყო დიგორი ყვითელ ბეჭედს უნდა დასწდომოდა, რომ უცებ იკითხა:

– მოიცა, მერე დედამ რომ მიკითხოს?

– რაც ადრე წახვალ, მით უფრო ადრე დაბრუნდები, – მიუგო ძია ენდრიუმ ხალისიანად.

– მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, მე თუ დავბრუნდები?

ძია ენდრიუმ მხრები აიჩეჩა, მივიდა კართან, გასაღები გადაატრიალა, გამოაღო და თქვა:

– ძალიან კარგი, მაშინ როგორც გენებოს. ჩადი დაბლა და ისადილე. დატოვე პატარა გოგონა მხეცების ლუკმად ან გასაგუდად, ან სამიმშილოდ გაწირე სხვა სამყაროში, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, დასაკარგად, თუ ასე გირჩევნია. ჩემთვის სულერთია. იქნებ, ვიდრე ჩაის დრო მოაღწევდეს, შეუარო მის პლამერს და აუხსნა, რომ ის ვეღარასოდეს იხილავს თავის გოგონას, ვინაიდან შენ შეგეშინდა ბეჭედი გაგეკეთებინა თითზე.

– ღმერთო ჩემო, – თქვა დიგორიმ, – ნეტა იმხელა მაინც ვიყო, რომ თქვენთვის თავ-პირის დალეწვა შემეძლოს!

მერე დიგორიმ ქურთუკის ღილები შეიკრა, ღრმად ჩაისუნთქა და ბეჭედს დასწვდა. მერე კი გაიფიქრა, როგორც სჩვეოდა ხოლმე რაიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა.

თავი მესამე

სამყაროთა შორის მოქცეული ტყე

ძია ენდრიუ და მისი სამუშაო ოთახი თვალის დახამსამებაში გაქრა. მერე წამით ყველაფერი აირია. ამის მერე დიგორიმ შეიმეცნა, რომ ზემოდან რბილი მწვანე ნათელი ეფინებოდა, ქვემოდან კი წყვდიადი. ის არაფერზე არ იდგა, არც იჯდა, არც იწვა. მას არაფერი ეხებოდა: „ვგონებ წყალში უნდა ვიყო", – თქვა დიგორიმ. – „ან წყლის ქვეშ." ამ აზრმა წამით შეაკრთო, მაგრამ თითქმის ერთბაშად იგრძნო, რომ ის ზემოთ მიექანებოდა. მერე უცებ ჰაერიდში ამოყო თავი და მიხვდა, რომ გუბის კიდესთან, ნაპირზე, რბილსა და ბალახოვან მოლზე ფართხალებდა.

როგორც კი ფეხზე წამოდგა, შენიშნა, რომ არც წუნწკლები სცვიოდა და არც სუნთქვა ეკვროდა, როგორც ეს წყალქვეშ ნამყოფ კაცს უნდა მოსვლოდა. ტანსაცმელი მთლად მშრალი ჰქონდა. ის იდგა ტყეში პატარა გუბის პირას, რომლის სიგრძე-სიგანე ათ ფუტს არ აღემატებოდა. ხეები ისე ახლოახლო იდგა და ისე იყო დაბურული ფოთლებით, რომ მან ცის ნაგლეჯსაც ვერ მოჰკრა თვალი. მთელი ნათელი, რომელიც ფოთლებიდან ატანდა, მწვანე შუქი იყო: მაგრამ მაღლა ძალიან ძლიერი მზე უნდა ყოფილიყო, რადგან ეს მწვანე შუქი ძალიან კაშკაშა და თბილი იყო. იმაზე წყნარ ტყეს თქვენ ვერ წარმოიდგენდით. ჩიტების, მწერებისა და ცხოველების ჭაჭანება არ იყო. ქარიც კი არ უბერავდა. შეგეძლოთ გეგრძნოთ, როგორ იზრდებოდნენ ხეები. გუბე, რომლიდანაც ის-ის იყო დიგორი ამოვიდა, ერთადერთი არ იყო. იმის გარდა კიდევ დუქინობით სხვა იყო – სადამდეც დიგორის თვალი მისწვდებოდა, ყოველი რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმაზე გუბე იყო. გეგონებოდათ ეს ხეები თავიანთი ფესვებით წყალსა ხვრეპენო. ეს ტყე საკმაოდ ცოცხალი იყო. როდესაც დიგორი მოგვიანობით ცდილობდა იქაურობა აეწერა, ის იტყოდა ხოლმე: „ის მსუყე ალაგი იყო, ქლიავის ტორტივით მსუყე." ყველაზე უცნაური ის იყო, რომ სანამ მიიხედ-მოიხედავდა, დიგორის

უკვე სანახევროდ დავიწყებული ჰქონდა, როგორ აღმოჩნდა აქ. ასეა თუ ისე, არა თუ პოლისა თუ ძია ენდრიუზე, არამედ თავის დედაზეც კი აღარ ფიქრობდა. მას სრულებითაც არ ეშინოდა, არც აღტაცებაში მოსულა, არც ცნობისმოყვარეობის გრძნობა აწუხებდა. ვინმეს რომ ეკითხა, საიდან მოსულხარო, ალბათ უპასუხებდა: „მე სულ აქა ვარო.“ ეს ისეთი გრძნობა იყო – თითქოს კაცი ყოველთვის იმ ადგილას ყოფილიყავ და იქაურობა არასდროს მოგბეზრებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ არაფერი ხდებოდა. როგორც დიგორი იტყოდა ხოლმე კარგა ხნის შემდეგ: „ეს ის ადგილი არ არის, სადაც რაიმე ხდება. მხოლოდ ხეები იზრდება. ეს არის და ეს.“

მას შემდეგ, რაც დიგორიმ კარგა ხანი ათვალიერა ტყე, შენიშნა, რომ მის უკან, რამოდენიმე მეტრის მოშორებით,



ხის ძირას ვიღაც გოგონა იწვა. გოგონას თვალები თითქმის დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ბოლომდე არა, გეგონებოდათ ძილ-ღვიძილში არისო. დიგორიმ დიდხანს უყურა გოგონას, მაგრამ არაფერი თქვა. ბოლოს გოგონამაც გაახილა თვალი, დიდხანს უყურებდა დიგორს და მანაც არაფერი თქვა. მერე გოგონა ალაპარაკდა ნამძინარევი და ნასიამოვნები ხმით:

– მგონი, სადღაც მინახიხარ, – თქვა მან.

– მეც ასე მგონია, – მიუგო დიგორიმ. – დიდი ხანია აქა ხარ?

– მე სულ აქა ვარ. – მიუგო გოგონამ. – ყოველ შემთხვევაში, არ ვიცი ძალიან დიდი ხანია აქა ვარ.

– მეც ასე, – თქვა დიგორიმ.

– არა შენ აქ არ ყოფილხარ, – თქვა გოგონამ. – მე ეს-ესაა დაგინახე, როგორ ამოხვედი იმ გუბიდან.

– დიახ, ამოვედი, – თქვა გაოგნებულმა დიგორიმ, – მე დამავიწყდა.

მერე კარგა ხანი არც ერთს არ დაუძრავს კრინტი.

– ნეტა მართლა ხომ არ შევხვედრიეართ ადრე? – თქვა ცოტა ხნის შემდეგ გოგონამ, – რაღაც მახსოვს... თავში რაღაც სურათი მიტრიალებს... ისეთ ბიჭსა და გოგოზე, ჩვენ რომ ვართ... რომლებიც სადღაც საკმაოდ განსხვავებულ ალაგას ცხოვრობენ... რაღას არ აკეთებენ. ალბათ, ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

– მეც, მგონი, ასეთი სიზმარი მაქვს ნანახი, – თქვა დიგორიმ. – ბიჭზე და გოგოზე, მეზობელ სახლში რომ ცხოვრობს... კოჭებს შორის ბღოტიალზე. მე მახსოვს გოგონას მოთხუპნული სახე ჰქონდა.

– რამე ხომ არ გეშლება?! ჩემს სიზმარში ბიჭს ჰქონდა მოთხუპნული სახე.

– მე არ მახსოვს ბიჭის სახე, – თქვა დიგორიმ და მერე დასძინა, – უი, ეს რა არის?

– ზღვის გოჭი! – თქვა გოგონამ. ეს იყო ჩასუქებული ზღვის გოჭი, რომელიც ბალახში იქექებოდა. ზღვის გოჭს წელზე ზონარი ჰქონდა შემოჭერილი და იმ ზონრით ბრჭყვიალა ყვითელი ბეჭედი ჰქონდა შებმული.

– ნახე, ნახე! – იყვირა დიგორიმ, – ბეჭედი! ნახე, შენც გიცეთია ხელზე ისეთი ბეჭედი და მეც.

გოგონა ასლაღა გამოცოცხლდა და, როგორც იქნა, ნამდვილად შეფიქრიანდა. ისინი დაკინებით მიაშტერდნენ ერთმანეთს, რათა რაიმე გაეხსენებინათ. და მერე ერთდროულად, გოგონამ იყვირა: „მისტერ კეტერლი!“ და ბიჭმა იყვირა: „ძია ენდრიუ!“ ახლა მათ უკვე იცოდნენ ვინ იყვნენ და დაიწყეს ყველაფრის გახსენება. რამოდენიმე წუთის ტვინისჭყლეტის შემდეგ, ყველაფერი გაირკვა. დიგორიმ აუხსნა პოლის, თუ როგორ მსეცურად მოიქცა ძია ენდრიუ.

– ახლა რა ვქნათ? – თქვა პოლიმ. – წავიყვანოთ ზღვის გოჭი და შინ წავიდეთ?

– რა გვეჩქარება! – თქვა დიგორიმ მთქნარებით.

– მე ვფიქრობ, გვეჩქარება, – თქვა პოლიმ. – მეტისმეტად წყნარი ადგილია, მერე ისეთი... ისეთი ძილისმომგვრელია ის. შენ ლამის უკვე გძინავს. ერთი თუ დავნებდით, ჩვენ ძირს დავეყრებით და უკუნითი უკუნისამდე ძილ-ღვიძილში ვიქნებით.

– ძალიან კარგია აქ ყოფნა, – თქვა დიგორიმ.

– კარგია, – თქვა პოლიმ. – მაგრამ ჩვენ უკან უნდა დავბრუნდეთ.

პოლი ადგა და ფეხაკრეფით გასწია ზღვის გოჭისაკენ. მაგრამ მერე გადაიფიქრა.

– ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ის აქ დავტოვოთ. – თქვა მან. ის აქ ბედნიერია, და შინ რომ წავუყვანოთ, ვინ იცის, ძიაშენმა რა უბედურება დამართოს.

– ამაში ეჭვიც არ მეპარება, – მიუგო დიგორიმ. – ხომ ნახე, ჩვენ როგორ მოგვექცა! ხო, მართლა, შინ როგორ უნდა დავბრუნდეთ?

– ალბათ, იმ გუბეში უნდა ჩავყვინთოთ.

ისინი მივიდნენ ნაპირთან და ჩახედეს წყნარ წყალს. წყალი მწვანე გაფოთლილი ტოტების ანარეკლს მოეცვა. ამის გამო გეგონებოდათ ძალიან ღრმააო.

– საბანაო თან არაფერი გვაქვს, – თქვა პოლიმ.

– ჩვენ არაფერი დაგვჭირდება, სულელო, – თქვა დიგორიმ.

– ჩვენ ჩვენი სამოსით ჩავალთ. არ გახსოვს, რომ ამოსვლისას ჩვენ არ დავსველებულვართ?

– იცი ცურვა?

– ცოტა-ცოტა შენა?

– მე... ისე რა.

– მე არა მგონია, ჩვენ ცურვა დაგვჭირდეს, – თქვა დიგორიმ, – ჩვენ ხომ ძირს გვინდა ჩავიდეთ?

არც ერთს ესალისებოდა გუბეში ჩასტომა, მაგრამ ერთმანეთისათვის არაფერი უთქვამთ. მათ ხელი ხელს ჩასჭიდეს და თქვეს: „ერთი... ორი... სამი... წავედიით!“– და გადახტნენ. წყალში თქაფანი რომ გაადინეს, რაღა თქმა უნდა, ორიეემ თვალები დახუჭა. მაგრამ როდესაც თვალი გაახილეს დაინახეს, რომ ისინი ისევე ხელი-ხელ ჩეკიდებულნი დგანან მწვანე ტყეში და წყალი კოჭებამდე ძლივასა სწვდებათ. გუბე ჩანდა, მხოლოდ რამდენიმე გოჯის სიმაღლისა იყო. ისინი ისევ ამოვიდნენ ხმელზე.

– რა სჭირს დედამიწას? – იკითხა პოლიმ შეშინებული ხმით. მაგრამ ის არც ისე შეშინებული იყო, როგორც თქვენ შეიძლება გეგონოთ, რადგან იმ ტყეში ძნელია შიში იგრძნოთ ის ადგილი მეტისმეტად მშვიდია.

– მე ვიცი! – თქვა დიგორიმ, – რა თქმა უნდა არაფერი გამოგვივიდოდა. ჩვენ ისევ ყვითელი ბეჭდები გვიცეთია. იცი, ისინი გარე სამყაროში სამოგზაუროდ არის განცუთვნილი. მწვანე ბეჭდები შინ დაგაბრუნებს. ჩვენ უნდა გამოვიცვალოთ ბეჭდები. გაქვს ჯიბეები? კეთილი. ყვითელი ბეჭედი მარცხენა ჯიბეში ჩაიდე. მე ორი მწვანე ბეჭედი მაქვს.

მათ გაიცეთეს მწვანე ბეჭდები და ისევ იმ გუბეს მიუბრუნდნენ. მაგრამ ვიდრე ისინი მეორედ ჩახტებოდნენ, დიგორის ერთი გრძელი „უი“ ამოხდა.

– რა იყო? თქვა პოლიმ.

– ერთი ბრწყინვალე აზრი მომივიდა, – თქვა დიგორიმ. – რას უნდა წარმოადგენდნენ სხვა გუბეები?

– ამით რისი თქმა გინდა?

– იმისი, რომ თუ ჩვენ ამ გუბეში ჩახტომით ჩვენს სამყაროში დავბრუნდებით, ხომ შეიძლება სხვა გუბეში ჩახტომით სხვა სამყაროში აღმოვჩნდეთ? იქნებ, სამყარო იყოს თითოეული გუბის ძირას!

– მე მგონია, ჩვენ უკვე ვიყავით ძია ენდრიუსეულ სხვა სამყაროში, ანუ სხვა ალაგას, ანუ იმ ადგილას, რაღაცნაირად რომ იხსენიებდა ძია ენდრიუ. შენ ხომ თქვი...

– ნუ გამიწყალე გული ძია ენდრიუთი, – შეაწყვეტინა დიგორიმ, – მე არა მგონია ძია ენდრიუს იმისი რამე გაეგებოდეს. მას არასოდეს ჰქონია იმდენი გამბედაობა, რომ აქ თვითონ მოსულიყო. ის მარტო ლაპარაკობდა ერთ სხვა სამყაროზე. მაგრამ იქნებ მრავალი დუქინი სამყარო არსებობს?

– შენ იმის თქმა გინდა, რომ ეს ტყე ერთ-ერთი მათგანია?

– არა, მე არა მგონია, რომ ეს ტყე საერთოდ სამყარო იყოს. მე ვფიქრობ, ეს შუალედური ადგილია.

პოლი გაოგნებული გამოიყურებოდა.

– ვერ ხვდები? – ჰკითხა დიგორიმ. – არა, აბა, მომისმინე. გაიხსენე, შინ სახურავქვეშ რომ გვირაბი გადის. ის არც ერთი სახლის ოთახს არ წარმოადგენს. ის არც ერთი იმ სახლთაგანის ნაწილი არ არის. მაგრამ, როდესაც გვირაბში მოხვდები, შენ შეგიძლია წახვიდე და იქიდან იმ რიგზე მდებარე ნებისმიერ სახლში ჩახვიდე. განა არ შეიძლება, რომ ეს სამყაროც ასეთი იყოს? – ეს ადგილი არც ერთ სამყაროს არ ეკუთვნის, მაგრამ, როდესაც ამ ადგილს მიაგნებ, შენ შეგიძლია ნებისმიერ სამყაროში მოხვდე.

– რომც შეგეძლოს, – დაიწყო პოლიმ, მაგრამ, თითქოს მისი ხმა არ გაუგონიაო, დიგორიმ განაგრძო.

– და რა თქმა უნდა, ამით ყველაფერი გასაგები ხდება, – თქვა მან, – ამიტომ არის აქაურობა ასეთი წყნარი და მიძინებული. აქ არასდროს არაფერი ხდება. როგორც ჩვენს სახ-

ლშია. სახლებში ხალხი ლაპარაკობს, რაღაცას ჩალიჩობს, ჭამს, მაგრამ არაფერი ხდება შუალედურ ადგილას: კედლის მიღმა, ჭერს მაღლა, იატაკის ქვეშ, ანდა ჩვენს საკუთარ გვირაბში. მაგრამ, როცა ჩვენი გვირაბიდან გამოდიხარ, შენ შეიძლება აღმოჩნდე ნებისმიერ სახლში. მე ვფიქრობ, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გავიდეთ აქედან ყველგან! არ არის საჭირო იმ გუბეში ჩავსტეთ, საიდანაც ჩვენ ამოვედით, ჯერ-ჯერობით მაინც.

– სამყაროთა შორის მოქცეული ტყე! – ოცნებით აღმოხდა პოლის. – რა მშვენივრადა ეღერს!

– წამო, აბა, – თქვა დიგორიმ – რომელი გუბე ეცადოთ?

– მოიცა, – თქვა პოლიმ, – მე არ ვაპირებ რომელიმე გუბის გასინჯვას, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ჩვენთვის ცნობილი გუბიდან შეგვიძლია უკან დაბრუნება. ჩვენ იმაშიც კი არა ვართ დარწმუნებულნი, რომ გამოგვივა.

– ვაა, – თქვა დიგორიმ, – გინდა რომ ძია ენდრიუს ჩავუვარდეთ ხელში და ვიდრე გავერთობოდეთ ნაადრევად დაეკარგოთ ბეჭდები? არა, ბატონო, დიდი მადლობელი!

– არ შეიძლება, რომ ჩვენი გუბით მხოლოდ გზის ნაწილი ჩავიაროთ, – თქვა პოლიმ.

– მხოლოდ იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ მოქმედებს ის. მერე, თუ ის მოქმედებს, ჩვენ შევიცვლით ბეჭდებს და მანამ მისტერ კეტერლის სამუშაო ოთახამდე ჩავაღწევდეთ, უკან ამოვბრუნდეთ.

– შეიძლება ნაწილობრივ ჩავიაროთ ჩვენი გზა?

– ამოსვლას დრო დასჭირდა. ალბათ ჩასვლასაც დასჭირდება ცოტაოდენი ხანი.

დიგორიმ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, რადგან პოლიმ ცივი უარი განაცხადა სხვა სამყაროთა გამოსავლენად წაჰყოლოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ შეიძლებოდა ძველ სამყაროში დაბრუნება. ხიფათში პოლი გულადობით დიგორის არ ჩამოუვარდებოდა (მაგალითად, კრაზანებისა არ ეშინოდა), მაგრამ მას ისე არ ეხალისებოდა ისეთი რამეების აღმოჩენა, რაზეც მანამდე არავის გაეგონა. დიგორი კი ისეთი

ბუნების პიროვნება იყო, რომელსაც უნდა, რომ ყველაფერი იცოდეს, დიდობაში ის გახდა ცნობილი პროფესორი კირეე, რომელიც სხვა წიგნებში ჩანს.

დიდი დავი-დარაბის შემდეგ, შეთანხმდნენ, მწვანე ბეჭდები გაეკეთებინათ და ხელი-ხელ ჩაკიდებული ჩამხტარიყვნენ გუბეში მაგრამ როგორც კი დაატყობდნენ, რომ უახლოვდებიან ძია ენდრიუს სამუშაო ოთახს, ანუ საკუთარ სამყაროს, პოლის უნდა ეყვირა: „შეცვალე“. ამ შეძახილზე მათ უნდა წაეძროთ მწვანეები და ყვითლები გაეკეთებინათ. დიგორის კი უნდოდა მას ჰქონოდა „შეიცვალეს“ დაძახება დავალებული, მაგრამ პოლიმ არ დაანება.

მათ გაიცეთეს მწვანე ბეჭდები, ხელი-ხელს ჩასჭიდეს და კიდევ ერთხელ იყვირეს: „ერთი... ორი... სამი... წავედით!“

ამჯერად გაამართლა. ვერ გეტყვით, როგორი განცდა იყო ის, რადგან ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა: ჯერ შავ ზეცაზე კაშკაშა მნათობები აციაფდა. დიგორი ყოველთვის ფიქრობს, რომ ისინი ვარსკვლავები იყო და ფიცულობს კიდეც, საკმაოდ ახლოდანა მაქვსო ნანახი იუპიტერი – იმდენად ახლო, რომ მისი მთვარეც კი მაქვსო დანახული. მაგრამ თითქმის მოულოდნელად გამოჩნდა რიგ-რიგად ჩამწკრივებული სახურავები და მათზე წამოსკუპული ბუხრის საკვამურები. მათ თვალი მოჭრეს წმ. პავლეს კათედრალს და მიხვდნენ, რომ ლონდონს ხედავენ. თქვენ შეგეძლოთ დაგენახათ, რა ხდებოდა და რა იყო ყველა სახლის კედლების მიღმა. მერე მათ დაინახეს ძია ენდრიუც, ძალიან მკრთალად და ბუნდოვნად, მაგრამ თანდათანობით ის ნათლად და მკაფიოდ ჩნდებოდა, თითქოს ფოკუსში ასწორებენო. მაგრამ ვიდრე ის ბოლომდე რეალური გახდებოდა, პოლიმ იყვირა „შეცვალე!“ და მათ მაშინვე შეცვალეს ბეჭდები და ჩვენი სამყარო სიზმარივით გაქრა და მაღლიდან მწვანე შუქმა მანამდე იმძლავრა და იძლიერა, სანამ მათ თავები ისევ გუბიდან არ ამოყვეს და წყლის ნაპირას არ აფართხალდნენ. მათ ზემოდან ტყე იყო, როგორც ყოველივესთვის – მწვანე, კაშკაშა და მშვიდი. ყოველივე ამას ერთ წუთზე ნაკლები დრო დასჭირდა.

– ესეც ასე! – თქვა დიგორიმ. – მოქმედებს! ახლა თავგადასავლებისკენ გავწიოთ. ნებისმიერი გუბე გამოდგება. წავედით. მოდი, აგერ ის გუბე მოვსინჯოთ.

– მოიცა! – თქვა პოლიმ. – ჯერ სომ უნდა მოვნიშნოთ ეს გუბე?

ისინი ერთმანეთს მიაშტერდნენ და გაფითრდნენ, როდესაც გაიაზრეს, თუ რა საშინელი რამის გაკეთებას აპირებდა დიგორი. რადგან ტყეში უამრავი გუბე იყო, საგუბრები ერთმანეთს ჰგავდნენ და ხეებიც ერთმანეთს ჰგავდნენ, ამიტომ ისინი ჩვენს სამყაროში მომავალ გუბეს ერთსელაც რომ მოსცილებოდნენ, იმ ადგილას რაიმე ნიშნის დაუსმელად, საერთოდ მისი ხელახლა პოვნის შანსი ასიდან ერთამდე შემცირდებოდა.

დიგორიმ აკანკალებული ხელით გახსნა ჯაყვა და გუბის პირას, მწვანე კორდზე გრძელი ზოლი ამოჭრა. მიწა, რომელსაც სასიამოვნო სუნი ასდიოდა მუქი მოწითალო-მოყავისფრო იყო და ადვილად შესამჩნევი იყო მწვანეზე.

– კიდევ კარგი ჩვენგან ერთ-ერთს მაინც აქვს ჭკუა, – თქვა პოლიმ.

– ეხლა ნუ ამიცლებ ტრაბახით, – თქვა დიგორიმ. – წავედით, ერთი სული მაქვს ვნახო, რა არის რომელიმე იმ გუბეთაგანში. ამაზე პოლიმ კარგი მწარე პასუხი გასცა, არც დიგორიმ დააკლო და უფრო მკვახედ უპასუხა. ჩხუბი რამოდენიმე წუთს გაგრძელდა, მაგრამ ყოველივე ამის აღწერა თქვენთვის მოსაწყენი იქნებოდა. ამიტომ, მოდით, ახლა იმ მომენტზე გადავიდეთ, როდესაც ისინი გულისფანცქალითა და რამდენადმე შეშინებული სახეებით დადგნენ უცნობი გუბის პირას, ყვითელი ბეჭდებით და ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა კიდევ ერთხელ თქვეს: „ერთი... ორი... სამი... წავედით!“

თქაფანი! კიდევ არაფერი გამოვიდა (არ გაამართლა). აღმოჩნდა, რომ ეს გუბეც მსოლოდ წუმპეს წარმოადგენდა. იმის ნაცვლად, რომ სხვა სამყაროში მომსვდარიყვნენ, იმ დილას უკვე მეორედ დაისველეს ფეხი და ამოიწუწნენ (თუ ის დილა იყო: ისე კი, ჩანს, სამყაროთა შორის მოქცეულ ტყეში ერთი და იგივე დროა).

– ჯანდაბა და დოზანა! – აღმოხდა დიგორის. – ახლა რაღა სდება? ხომ გავიცეთეთ ყვითელი ბეჭდები. ხომ თქვა ძიამ ყვითელი გარეთ გამავალი მოგზაურობისათვის არისო.

ახლა საქმე ის იყო, რომ ძია ენდრიუმ არაფერი იცოდა სამყაროთა შორის არსებულ ტყეზე და ამიტომ ბეჭდებზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა. ყვითლები არ ყოფილა „გარეთგასასვლელი“ ბეჭდები და მწვანეები არ ყოფილა „შინმოსასვლელი“ ბეჭდები. ასე რომ, ისე არ იყო, როგორც ძია ენდრიუს ეგონა. ნივთიერება, რომლისგანაც ყვითელი და მწვანე ბეჭდები იყო დამზადებული, იმ ტყიდან იყო მოტანილი. ყვითელ ბეჭედში მოთავსებულ ნივთიერებას ტყეში მიბიდვის უნარი შესწევდა. ის ნივთიერება მიისწრაფოდა, რომ დაბრუნდებოდა თავის საკუთარ ალაგს, შუალედურ ალაგს. ხოლო მწვანე ბეჭედში მოთავსებული ნივთიერება, ისეთი ნივთიერებაა, რომელიც ცდილობს მოშორდეს საკუთარ ალაგს: ამიტომ მწვანე ბეჭედს შეეძლო ტყიდან რომელიმე სამყაროში გადაეყვანა კაცი. როგორც ხედავთ, ძია ენდრიუ ისეთ რამეზე მუშაობდა, რაც ხეირიანად არც ესმოდა. ისევე როგორც არ იცის ჯადოქართა უმრავლესობამ. რა თქმა უნდა, დიგორიც, ვერც მანამდე და ვერც მას შემდეგ, ვერ მიმსვდარიყო კარგად, სინამდვილეში რა იყო ამის მიზები. მაგრამ ხელასლა მსჯელობის შემდეგ, მათ გადაწყვიტეს ახალ გუბეზე მწვანე ბეჭდებიც მოესინჯათ. მხოლოდ იმისთვის, რომ ენახათ, რა მოხდებოდა.

– შენ თუ მამაცი ხარ, არც მე ვარ შენზე ნაკლები, – თქვა პოლიმ. სინამდვილეში მან ეს იმიტომა თქვა, რომ გულისსიღრმეში ახლა დარწმუნებული იყო, ვერანაირი ბეჭედი ვერ გასჭრიდა იმ ახალ გუბეში და ამიტომ ჩათქაფუნების გარდა, რაიმე უარესის შიში არ უნდა ჰქონოდა. მგონი, დიგორისაც მსგავსი გრძნობა ჰქონდა. ასეა თუ ისე, როდესაც მათ მწვანე ბეჭდები გაიცეთეს, წყლის პირას დაბრუნდნენ და ხელი-ხელს ჩაჭიდეს, ისინი უფრო მეტად მხიარულ და უფრო ნაკლებ საზეიმო გუნებაზე იყვნენ, ვიდრე პირველი ცდისას.

– ერთი... ორი... სამი... წავედით! – დაიძახა დიგორიმ და ორივენი გადახტნენ.

თავი მეოთხე

ზარი და ჩაქუჩი

ამჯერად გასჭრა ჯადომ. ისინი სულ ქვემოთ და ქვემოთ მიექანებოდნენ. ჯერ წყვდიადი გაიარეს, მერე ბურუსი და ბზრიალა აჩრდილები, რაც შეიძლებოდა თითქმის ნებისმიერი რამ ყოფილიყო. ინათა. მერე იგრძნეს, რომ რაღაც მყარზე იდგნენ. მერე ყველაფერი ფოკუსში გასწორდა და შეძლეს გარემოს შეთვალიერება.

– ეს რა უცნაური ადგილია! – თქვა დიგორიმ.

– არ მომწონს აქაურობა, – თქვა პოლიმ კანკალით.

პირველი, რაც მათ შენიშნეს, იყო ნათელი. ის არ ჰგავდა მზის შუქს, არც ელექტრონის სინათლეს, არც ლამფისას, სანთლისას ან სხვა რამის, რომელიც მათ ოდესმე ენახათ. ის იყო უღიმღამო, მოწითალო შუქი, რომელსაც სიხალისისა არაფერი გააჩნდა. ის უცვლელად ანათებდა და არ ციმციმებდა. ისინი ქვაფენილზე იდგნენ და გარშემო შენობებს შორის იყვნენ მომწყვდეულნი. მაღლა ჭერი არ იყო. ისინი, ერთ ძველ ეზოში იყვნენ. ცა უჩვეულოდ ბნელი იყო – ლურჯი კი იყო, მაგრამ თითქმის სიშავეში გადასული. იმ ცისთვის რომ აგეხედათ, გაგიკვირდებოდათ საერთოდ საიდან მოდიოდა შუქი.

– რა უცნაური ამინდია აქ, – თქვა დიგორიმ. – ნეტა ჭექა-ქუხილს ან დაბნელებას ხომ არ აპირებს.

– არ მომწონს აქაურობა, – თქვა პოლიმ.

ორივე რატომღაც ჩურჩულით ლაპარაკობდა. მართალია, აღარავითარი აბრი არ ჰქონდა ხელი-ხელ ჩაკიდებულ დგომას, მაგრამ მას შემდეგ, რაც გადახტნენ ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ.

იმ ეზოს ირგვლივ ძალიან მაღლა იყო ატყორცნილი კედლები. კედლებში უამრავი სარკმელი იყო ჩატანებული. სარკმელებს მინები არ ჰქონდა და მათ მიღმა მხოლოდ შავი წყვდიადი ჩანდა. სარკმლებს ქვემოთ დიდებული სვეტებიანი თაღები იყო, რომლებსაც რკინიგზის გვირაბებივით შავად ჰქონდათ დაღებული პირები. ცოტა ციოდა კიდეც.

ქვა, რომლითაც ეს შენობები იყო ნაგები, წითელი ფერისას წააგავდა, მაგრამ ეს შეიძლება იმ უცნაური შუქის ბრალი იყო. ყველაფერი აშკარად ძალზე ძველი იყო. ქვაფენილზე მრავალი ბრტყელი ქვა დაბზარულიყო. ქვები მიჯრით არ იყო მიწყობილი. წვეტიანი კუთხეები უკვე გაცვეთილი ჰქონდათ. ერთ-ერთ თაღიან კართან მისასვლელი სიპი ქვებით იყო ჩახერგილი. ბავშვები ადგილზე ტრიალებდნენ და ათვალიერებდნენ ეზოს სხვადასხვა მხარეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ შიშობდნენ ზურგით მდგომნი სარკმლიდან ვინმეს ან რამეს არ შეენიშნა.

– რას ფიქრობ, ცხოვრობს აქ ვინმე? – თქვა ბოლოს დიგორიმ ჩურჩულით.

– არა, – თქვა პოლიმ. – აქაურობა ნანგრევებშია ჩაფარული. რაც აქა ვართ ერთი ხმაც არ გაგვიგონია.

– მოდი გავყუჩდეთ და ცოტა ხანს მივაყურადოთ, – შესთავაზა დიგორიმ.

ისინი გაყუჩდნენ და სმენად იქცნენ, მაგრამ ერთადერთი, რაც მათ გაიგონეს, საკუთარი გულების ცემა იყო. ეს ადგილი ისევე მშვიდი იყო, როგორც სამყაროთა შორის არსებული ტყე. მაგრამ აქ სხვანაირი სიმშვიდე სუფევდა. იმ ტყის სიმშვიდე მსუყე და თბილი იყო (თქვენ შეგიძლიათ გაგეგონათ, როგორ იზრდებოდნენ ხეები) და სიცოცხლით აღსავსე. აქაური სიმშვიდე კი მკვდარი, ცივი და ცარიელი სიმშვიდე იყო. ვერ წარმოიდგენდით თუ აქ რაიმე შეიძლებოდა გაზრდილიყო.

– წამო, შინ წავიდეთ, – თქვა პოლიმ.

– მერე, ჯერ ხომ არაფერი გვინახავს? – თქვა დიგორიმ. – ჩვენ აქა ვართ და აქაურობა მაინც უნდა დავათვალიეროთ.

– მე დარწმუნებული ვარ აქ საინტერესოს ვერაფერს ვნახავთ.

– თუ შენ გეშინია აქაურობის დათვალიერებისა, ბევრი არაფერი უნდა იმ ჯადოსნური ბეჭდის მონახვას, რომელიც სხვა სამყაროში გადაგიყვანს.

– ვინა თქვა მეშინიაო? – თქვა პოლიმ და დიგორის ხელი გაუშვა.

– მე მხოლოდ მეგონა, შენ მაინცდამაინც არ გეხალისებოდა ამ ადგილის დათვალიერება.

– სადაც წახვალ, მეც წამოგყვები.

– აქედან, როცა მოგვინდება, მაშინ წავალთ, – თქვა დიგორიმ. – მოდი წავიძროთ მწვანე ბეჭდები და მარჯვენა ჯიბეში ჩავიწყოთ. მთავარია, გვახსოვდეს, რომ ჩვენი ყვითელი ბეჭდები მარცხენა ჯიბეშია. შეგიძლია ხელი ჯიბესთან ახლოს მიიტანო, მაგრამ შიგ არ ჩაიყო, თორემ ხელი ყვითელ ბეჭედზე თუ მოგიხვდა, მაშინვე გაქრები.

ისინი ასეც მოიქცნენ და წყნარად გაემართნენ ერთ-ერთი დიდთაღიანი კარისაკენ, რომელიც შენობაში შედიოდა. როდესაც ისინი ბლურბლზე შედგნენ და შიგნით შეიხედეს, დაინახეს, რომ შიგნით არც ისე ბნელოდა, როგორც მათ პირველად ეგონათ. იქიდან ისინი შევიდნენ უზარმაზარ დარბაზში, რომელიც ცარიელი დაუხვდათ. დარბაზის სიღრმეში, მეორე მხარეზე, ერთმანეთთან თაღებით გადაბმული სვეტები იყო ჩარიგებული. სწორედ იმ თაღებიდან შემოდიოდა იმ თვალის-მომლელი სინათლის სხივები. იატაკზე, რაიმე ორმოში ჩავარდნისა და რაიმე წაბორძიკების შიშით, ბავშვებმა ძალიან ფრთხილად გაიარეს დარბაზი. სავალი ეშორათ. როდესაც მეორე მხარეს მიაღწიეს, თაღებ ქვეშ გავიდნენ და სხვა, უფრო დიდ ეზოში ამოყვეს თავი.

– აქ ყოფნა სახიფათო უნდა იყოს, – თქვა პოლიმ და ხელი იქითკენ გაიშვირა, სადაც კედელი ისე გამობერილიყო, გეგონებოდათ, სადაცაა გადმოიქევა და ეზოს ქვეშ დაიტანსო. ერთ ადგილას ორ თაღს შორის სვეტი აკლდა და საყრდენგამოცლილი თაღები, სადაც წესით სვეტისთავი უნდა ყოფილიყო, ჰაერში იყო გამოკიდებული.

ცხადი იყო ეს ადგილი ასობით და, ვინძლო, ათასობით წლის წინათ იყო მიტოვებული.

– თუ აქამდე გაუძლია, ცოტაც გაუძლებს, – თქვა დიგორიმ. – ოღონდ ჩვენ ძალიან წყნარად უნდა მოვიქცეთ. ხომ იცი ზოგჯერ ხმაურს შეუძლია რაიმეს ჩამოშლა გამოიწვიოს – მაგალითად ზვავისა ალპებში.

მათ განაგრძეს გზა და სხვა კარით გავიდნენ ეზოდან. აიარეს დიდსაქცევიანი კიბე, ერთი-მეორის მიყოლებით გადიოდნენ უზარმაზარ ოთახებს, სანამ სასახლის საშინელი სიდიდისაგან თავბრუ არ დაეხვათ. ყოველ წუთას ეგონათ სადაცაა გარეთ აღმოვჩნდებით და ვნახავთ რანაირი ქვეყანა არისო სასახლის გარშემო. მაგრამ წამდაუწუმ უმტყუნდებოდათ იმედი, ოთახიდან ახლა სხვა ეზოში გადიოდნენ. თავის დროზე, როდესაც აქ ხალხი ცხოვრობდა, აქაურობა ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ ეზოში ოდესღაც შადრევანი ყოფი-



ლა. მასზე აღმართული იყო ქვის უზარმაზარი ურჩხული, გაშლილი ფრთებითა და დაბჩენილი პირით. ამ პირში ისევ მოჩანდა პატარა მილი, საიდანაც წყალი გადმოდიოდა ხოლმე. მის ქვეშ იყო ფართე, ქვისავე აუზი, წყლის დასაკავებლად. აუზი ძვალივით იყო გამომშრალი. ადგილ-ადგილ ჩანდა ერთგვარი მცოცავი მცენარეების გამხმარი ღეროები, რომლებიც ადრე შემოხვეოდნენ სვეტებსა და ზოგიერთი მათგანი წამოექციათ კიდეც. მაგრამ ის მცენარეები დიდი ხნის მკვდარი იყო. ყველაზე მოულოდნელი ამ ნანგრევებში ის იყო, რომ ჭიანჭველის, ობობის ან სხვა რაიმე ცოცხალი არსების ჭაჭანება არ იყო. იქაც კი, სადაც დამტვრეულ ქვის ფილებს შორის მიწა მოჩანდა, ბალახის და ხავსის ნატამალიც კი არ იყო.

ყველაფერი ისე მოსაწყენი და ერთფეროვანი იყო, რომ დიგორიმაც კი იფიქრა, უმჯობესი იყო თავიანთი ყვითელი ბეჭდები გაეკეთებინათ და შუალედური ალაგის თბილ, მწვანე და ცოცხალ ტყეს დაბრუნებოდნენ. მაგრამ უცებ ისინი წააწყდნენ ორ უზარმაზარ კარს, რომლებიც რომელიღაც ლითონისაგან თუ, ვინ იცის, იქნებ ოქროსაგანაც იყო დამზადებული. ერთი კარი სანახევროდ ღია იყო. რაღა თქმა უნდა, ორივემ კარს მიაშურა. ორივემ შიგ შეხედვისთანავე უკან დაიხია და ღრმად ამოისუნთქა: ბოლოს და ბოლოს, მიაგნეს ისეთ რამეს, რისი ნახვაცა ღირდა.

წამით ეგონათ, რომ ოთახი ხალხით იყო სავსე – ასობით ადამიანი იჯდა, ყველა წყნარად იყო. მიხვდებით ალბათ, რომ დიგორი და პოლიც კარგა ხანი ჩუმად იდგნენ და შიგნით იყურებოდნენ. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ისინი მიხვდნენ, რომ, რასაც ისინი ხედავდნენ, ნამდვილი ადამიანები არ იყვნენ. ისინი არც ხმასა სძრავდნენ და არც სუნთქავდნენ. ისინი საუკეთესოდ გაკეთებული ცვილის ქანდაკებებს ჰგავდნენ.

ამჯერად წინ პოლი წავიდა. ამ ოთახში ისეთი რამ იყო, რამაც პოლი დიგორზე მეტად დააინტერესა: ყველა ფიგურას დიდებული ტანსაცმელი ემოსა. ტანსაცმლით, თუნდაც ოდნავ დაინტერესებული ადამიანი ვერ მოითმენდა, რომ ასლოს არ მისულიყო მათ სანახავად. ტანსაცმლის ფერების ბრწყინვალე-

ბა, ხალისს ვერ ვიტყოდით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სიმდიდრესა და სიდიადეს კი ჰმატებდა ამ ოთახს, სხვა მტერიანსა და ცარიელ დარბაზებთან შედარებით. ოთახს მეტი სარკმელები ჰქონდა და ბევრად უფრო განათებული იყო.

მიჭირს სამოსის აღწერა. ყველა ფიგურას გრძელი კაბა ეცვა და თავზე გვირგვინი ედგა. მათი კაბები ზოგი :მუქიწითელი ფერისა იყო, ზოგი ვერცხლისფერისა, ზოგი მუქიძოწისფერი და ზოგიც სალათისფერი. მოქარგული იყო ნაყშებითა და ყვავილისა და უცნაური მხეცების სახეებით. გასაოცარი ზომისა და ელვარების ძვირფასი ქვები გვირგვინებზე უკიაფებდათ, ყელზე შიბებად ასხმული ეკიდათ და ყველა იმ ადგილას მოუჩანდათ, სადაც რაიმე შესაკვრელი ჰქონდათ.

– აქამდე რატომ არ გაცვეთილა ეს კარები? – იკითხა პოლიმ.

– მოჯადოებულები არიან, – წაიჩურჩულა დიგორიმ. – ნუთუ ვერა გრძნობ? ნიძლავსა ვარ, ამ ოჯახში ყველაფერი მოჯადოებულია. მე ეს შემოსვლისთანავე ვიგრძენი.

– ნებისმიერი ასეთი კაბა ასობით ფუნტი ეღირება, – თქვა პოლიმ.

დიგორი იმ ფიგურების სახეებით უფრო იყო დაინტერესებული, და ცხადია, ისინი კარგი დასათვალიერებელი იყო.

ხალხი კედლის ორივე მხარეს ქვის სავარძლებში ისხდა. შუაში იატაკი თავისუფალი იყო. ასე რომ, შეგეძლოთ ჩაგეელოთ შუაში და ერთმანეთის მიყოლებით დაგეთვალიერებინათ მათი სახეები.

– ლამაზი ხალხი ყოფილა, მგონი, – თქვა დიგორიმ.

პოლიმ კვერი დაუკრა და მართლაც ის სახეები, რომელთაც ისინი ხედავდნენ ძალიან ლამაზი იყო. კაცებსაც და ქალებსაც კეთილი და ჭკვიანი გამომეტყველება ჰქონდათ, ჩანდა, ლამაზი მოდგმის შვილები იყვნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბავშვებმა რამოდენიმე ნაბიჯი გადადგეს ოთახში, ისინი ოდნავ განსხვავებულ სახეებს წააწყდნენ. ამ სახეებზე ძლიერ საზეიმო განწყობილება იყო აღბეჭდილი.....

კიდევ ცოტა რომ გაიარეს, ისინი არასასიამოვნო სახეებს შორის აღმოჩნდნენ: ეს შუა ოთახში იყო. ძალიან ძლიერი, ამაყი და ბედნიერი სახეები მოჩანდა, მაგრამ მკაცრად გამოიყურებოდნენ. ცოტა უფრო ქვემოთ უფრო სასტიკი გამომეტყველების სახეები იყო. კიდევ იქით ისევ სასტიკი სახეები იყო, მაგრამ მათ ბედნიერი გამომეტყველება არ გააჩნდათ. ის სახეები სასოწარკვეთილებას უფრო მეტყველებდნენ: გეგონებოდათ იმ ხალხს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ, რაიმე საშინელება ჩაედინა, ან საშინელ დღეში ყოფილიყვნენ. უკანასკნელი ფიგურა ყველაზე საინტერესო გამოდგა: ეს იყო ყველაზე მდიდრულად ჩაცმული, ძალიან მაღალი ქალი (თუმცა ყველა ფიგურა იმ ოთახში უფრო მაღალი იყო ვიდრე ჩვენს სამყაროში მცხოვრები ხალხი), მას ისეთი გაშმაგებული და ამაყი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მის დანახვაზე სუნთქვა შეგეკვრებოდათ. ამასთან ის ლამაზი იყო. წლების შემდეგ, დიგორიმ თავის სიბერეში თქვა: ცხოვრებაში იმისთანა ლამაზი ქალი არ მინახავსო. ისე, უნდა დავძინოთ, რომ პოლი ყოველთვის ამბობდა: მისთვის რაიმე განსაკუთრებული სილამაზისა არაფერი შემინიშნავსო.

ეს ქალი, როგორც ვთქვით, ბოლო იყო: თუმცა მის შემდეგ უამრავი თავისუფალი სავარძელი იყო, თითქოს ეს ოთახი უფრო მეტი ფიგურებისთვის იყო განსაზღვრული.

– ნეტავი მაცოდინა ყოველივე ეს რას უნდა ნიშნავდეს! – თქვა დიგორიმ. – წამო წავიდეთ და ვნახოთ ის მაგიდის მაგვარი რაღაც, შუა ოთახში რომ დგას!

სინამდვილეში, ის მაგიდა კი არ იყო, არამედ ოთხი ფუტის სიმაღლის ოთხკუთხა სვეტი. მასზე აღმართული იყო პატარა ოქროს თაღი, რომელზეც პატარა ოქროსავე ბარი ეკიდა. გარდა ამისა იქ იდო ბარის ჩამოსაკრავი პატარა ოქროს ჩაქუჩი.

– ნეტა... ნეტა... ნეტა... – თქვა დიგორიმ.

– მგონი აქ რაღაც უნდა ეწეროს, – თქვა პოლიმ, რომელიც დახრილიყო და სვეტის გვერდს ათვალიერებდა.

– ღმერთო ჩემო, ჩვენ რა! – თქვა დიგორიმ. – ჩვენ, ცხადია, ვერ ამოვიკითხავთ მას.

– რატომაც არა? მე არა მგონია, რომ ვერ ამოვიკითხოთ, – თქვა პოლიმ.

ორივე დაჟინებით მიაშტერდა წარწერას.

ქვაზე ამოკვეთილი ასოები, მართლაც, უცნაური იყო. მაგრამ დიდი სასწაული მოხდა: ამ ყურება-ჭვრეტაში, თუმცა იმ ასოებს ფორმა არ შეცვლიათ, ბავშვებმა აღმოაჩინეს, რომ ასოები გასაგები იყო მათთვის. დიგორის არ გაახსენდა, რაც თვითონ რამოდენიმე წუთის წინ თქვა ოთახზე, თორემ მიხვდებოდა, რომ ჯადო მოქმედებდა. მაგრამ მას ცნობისმოყვარეობის გრძნობა ისე სწვავდა, რომ ამაზე საფიქრალად არა სცხელოდა. მას სურდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო, თუ რა ეწერა იმ სვეტზე. მალე ორივემ ყველაფერი გაიგო. სვეტზე ასეთი რამე ეწერა (თუმცა ლექსადაა თქმული, მაგრამ ეს არის იმ წარწერის აზრი. ისე, იქ წაკითხული უკეთ კი ჟღერდა):

გაკკეთე არჩევანი, მამაცო უცხოელო,
ან ჩამოჭარი ბარს და თავს დაითიე განსაცდელი,
ან იმის გაგების სურვილმა გაგაგიჟოს:
რომ ჩამომეკრა ნეტა რა მოხდებოდაო.

– საშიში არაფერია! – თქვა პოლიმ, – არაფერი განსაცდელი ჩვენ არ გვინდა.

– კი, მაგრამ ვერ სვდები, რომ ასე არ ივარგებს? – თქვა დიგორიმ. – ჩვენ ამას ვერ ავერიდებით. ერთთავად იმის ფიქრში ვიქნებით, ზარისთვის რომ ჩამოგვეკრა, ნეტა რა მოსდებოდაო. მე არ მინდა შინ წავიდე და ამაზე ფიქრმა ჭკუიდან გადამიყვანოს. საშიში არაფერია!

– სულელი ხომ არა ხარ, თქვა პოლიმ. – რატომ უნდა გადახვიდე ჭკუიდან! რა მნიშვნელობა აქვს იმას, რა შეიძლებოდა მომხდარიყო?

– მე მგონი, აქამდე მოსულ კაცს, იმისი გაგების სურვილი იპყრობს თუ რა მოსდებოდა და სანამ არ გააფრენინებს, არ ეშვება. ამაში მდგომარეობს იმისი ჯადო. მე ვგრძნობ, თუ უკვე როგორ მოქმედებს ის ჩემზე.

– მე არა ვგრძნობ, – მოუჭრა სიტყვა პოლიმ. – და არც ისა მჯერა, რომ შენ გრძნობდე. აბვიადებ!

– მაგის მეტი ხომ არაფერი იცი, – თქვა დიგორიმ. – რა გიყო, გოგო ხარ! გოგოებს კი არაფერი უნდათ იცოდნენ, გარდა ჭორებისა და სისულელეებისა თუ ვინ ვის უყვარს.

– ახლა შენ ძალიან ჰგავხარ შენს ძია ენდრიუს, – თქვა პოლიმ.

– რატომ არ გინდა, გაიგო? – თქვა დიგორიმ. – ჩვენ მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობთ, რომ...

– რაგორ კაცივით ლაპარაკობ! – თქვა პოლიმ დიდი ადამიანის ხმით. თავისი ნამდვილი ხმით კი სწრაფად დასძინა:

– მაიმუნი იყო თუ მითხრა: ქალივით ლაპარაკობო!

– მე აბრადაც არ მომსვლია შენისთანა ბალღისთვის ქალი მეწოდებინა, – მიუგო დიგორიმ ამპარტავნულად.

– მაშ, მე ბალღი ვარ არა? – უთხრა პოლიმ, რომელიც ახლა მართლა გაფიცხდა. – თუ ასეა, ის ბალღი თქვენს გვერდზე ყოფნით აღარ შეგაწუხებთ. მე წავედი. ყელში ამოვიდა ეს ადგილი. ყელში ამოვიდა შენი ყურადღება, შე გაუთლელო, კუდაბზიკა გოჭო!

– შეჩერდი! – ვიდრე უნდოდა იმაზე საძაგელი ხმით დაიძახა დიგორიმ, რადგან შენიშნა, რომ პოლის ხელი ჯიბისკენ მიჰქონდა ყვითელი ბეჭდის ამოსაღებად. ის, რაც დიგორიმ ამის შემდეგ გააკეთა, მე ვერ გავამართლებ. მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მოგვიანებით დიგორი ძალიან ნანობდა თავის საქციელს (ასევე ნანობდა სხვა მრავალი ხალხიც). ვიდრე პოლი ხელს ჯიბეში ჩაიყოფდა, დიგორი მაჯაში წასწვდა მას და გვერდით გულ-მკერდზე მიაწვა. დიგორიმ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მარცხენა იდაყვით პოლის გაუკავა მარჯვენა მკლავი. მერე წინ გადაიხარა, და ენერგიულად დასწვდა ჩაქუჩს და ზარს მსუბუქად ჩამოჰკრა. ამის შემდეგ დიგორიმ გაუშვა პოლი და ისინი გაშორდნენ ერთმანეთს. გოგო და ბიჭი ერთმანეთს მისჩერებოდნენ და ღრმად სუნთქავდნენ. პოლი ტირილის დაწყებას აპირებდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ ეშინოდა, არა იმიტომ, რომ დიგორიმ ძალიან ატკინა ხელი, არამედ იმიტომ, რომ ბრაზი ახრჩობდა. მაგრამ ორიოდე წამში მათ ისეთი საფიქრალი გაუჩნდათ, რომ თავიანთი ჩხუბი დაავიწყებინა.

ზარის ჩამოკვრისთანავე, როგორც მოსალოდნელი იყო, ტკბილი და დაბალი ხმა გაისმა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ხმა მალევე ჩაჩუმებულიყო, ის გაგრძელდა. ხმა თანდათანობით ძლიერდებოდა. წუთიც არ იქნებოდა გასული, ხმა თავდაპირველთან შედარებით, ორჯერ გაძლიერდა. მალე ის ისე გაძლიერდა, ბავშვებს რომც დაელაპარაკათ (თუნმცა ახლა მათ დალაპარაკება აზრადაც არ მოსვლიათ – ისინი პირდაბჩენილები იდგნენ), ერთმანეთს ვერც გააგონებდნენ. მალე ხმა ისე გაძლიერდა, რომ ახლა ყვირილითაც ვერ გააგონებდნენ ერთმანეთს. ხმა ისევ ძლიერდებოდა: თითო-თითო ნოტით ძლიერდებოდა ის გაგრძელებული ტკბილი ხმა, (თუმცა იმ ტკბილ ხმაში რაღაც საშინელებაც შეიგრძნობოდა), ვიდრე მან არ გააყრუა მთელი ოთახი. ბავშვებმა იგრძნეს, რომ მათს ფეხქვეშ ქვის იატაკი ზანზარებდა. მერე, ბოლოს, იმ ხმას შეუერთდა მეორე ბუნდოვანი ხმა, ავის მომასწავებელი, რომელიც ჯერ შორეული მატარებლის კივილს ჰგავდა, მერე კი

გადაქცეული ხის ღრჭიალს დაემსგავსა. ბავშვებმა გაიგონეს, რომ რაღაც დიდი სიმძიმეები ეცემოდა ძირს. ბოლოს, წარმოუდგენელი სისწრაფით, გრუხუნითა და იმისთანა რყევით, რომელმაც ლამის ბავშვები ადგილიდან მოისროლა, ჭერის მეოთხედი ჩამოიქცა ოთახის მეორე ბოლოში. ბავშვების ირგვლივ ნაშენებიდან უმარმაზარი ლოდები ჩამოცვივდა, კედლები აძაგძაგდა. ზარის ხმა შეწყდა. მტვრის კორიანტელი გაქრა. ყოველივე ძველებურად ჩაწყნარდა.

გაუგებარი დარჩა, ჭერი ჯადოს გამო ჩამოიქცა, თუ იმის გამო, რომ ზარის აუტანლად მაღალ ხმას ვერ გაუძლო დაფახფახებულმა კედლებმა.

– ახლა ხომ დაკმაყოფილდი, – ამოიხვნეშა პოლიმ.

– ასეა თუ ისე, დამთავრდა, – თქვა დიგორიმ.

ორივეს ასე ეგონა. მაგრამ ცხოვრებაში ასე მწარედ არასოდეს მოტყუებულან.

თავი მეხუთე

სავალალო სიტყვა

ბავშვები ზარიანი სვეტის აქეთ-იქით მხარეს იდგნენ და უყურებდნენ ერთმანეთს. ზარი ისევ ირხეოდა, მაგრამ ხმას აღარ გამოსცემდა. უცებ მათ ოთახის დაუზიანებელი ბოლოდან ნაბი ხმაური შემოესმათ. ისინი ელვის სისწრაფით შემობრუნდნენ, რათა დაენახათ რა იყო. კაბიან ფიგურებს შორის ერთ-ერთი ქალი, ყველაზე მოშორებით რომ იყო, რომელზეც დიგორიმ იფიქრა: რა ლამაზიაო, თავისი სავარძლიდან დგებოდა. როდესაც ის წელში გაიმართა, ბავშვებმა დაინახეს, რომ ის გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე მათ ეგონათ. არა მარტო მისი გვირგვინი და კაბა, არამედ მისი თვალების ელვარება და მისი ბაგეების მოხაზულობა მიგახვედრებდათ, რომ ის დიდებული დედოფალი იყო. მან თვალი მოავლო ოთახს, ნანგრევებიც დაინახა და ბავშვებიც, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებით ვერც იმას გაიგებდით, რას ფიქრობდა ის და ვერც იმას – გაოცებული იყო თუ არა. ის დიდი და სწრაფი ნაბიჯით წინ გამოვიდა.

– ვინ გამაღვიძა? ვინ ახსნა ჯადო? – იკითხა მან.

– მგონი, მე, – თქვა დიგორიმ.

– შენ! – თქვა დედოფალმა და დიგორის მხარზე შემოხვია ხელი – თეთრი ლამაზი ხელი. მაგრამ დიგორიმ იგრძნო, რომ ის ფოლადის მარწუხებივით ძლიერი ხელი იყო. – შენა? მაგრამ შენ ხომ მხოლოდ ბავშვი ხარ, უბრალო ბავშვი. ერთი შეხედვიდაც ყველა შეგატყობს, რომ შენს ძარღვებში წვეთიც არ არის მეფური ან დიდებული სისხლისა, ამისთანა ბავშვმა აქ როგორ გაბედე შემოსვლა?

– ჩვენ სხვა სამყაროდანა ვართ აქ მოსულები, ჯადოქრობის მეშვეობით, – თქვა პოლიმ, რომელიც ფიქრობდა, რომ დრო იყო, დედოფალს მისთვისაც მიექცია ყურადღება.

– მართლა? – ჰკითხა დედოფალმა. ის ისევ დიგორის უყურებდა და პოლისთვის ზედაც არ შეუხედავს.

– მართლა, – თქვა დიგორიმ.

დედოფალმა მეორე ხელი ნიკაპში მოჭიდა დიგორის და თავი მაღლა ააწევინა, რათა უკეთ დაენახა მისი სახე. დიგორიმ სცადა მზერა გაესწორებინა დედოფლისათვის, მაგრამ იძულებული გახდა თვალები დაეხარა. დედოფლის თვალებში რაღაც ისეთი იყო, რამაც დაჯაბნა ბიჭი.

დედოფალმა, ერთი წუთის მანძილზე თვალიერების შემდეგ, დიგორის ნიკაპს გაუშვა ხელი და თქვა:

– შენ ჯადოქარი არა ხარ. ჯადოქრობის ნიშან-წყალი არ გატყვია. შენ მხოლოდ მსახური თუ შეიძლება იყო ჯადოქრისა. სხვისი ჯადოქრობის მეშვეობითა ხარ აქ მოხვედრილი.

– ძიაჩემი ენდრიუს მეშვეობით მოვხვდით. სწორედ იმ დროს, თავად იმ ოთახში კი არა, მაგრამ სადღაც ძალიან ახლოს, ჯერ გრუხუნი გაისმა, მერე ჭრიალი, მერე ქვის წყობის ჩამონგრევის ბათქი. ამასთან ერთად იატაკიც შეირყა.

– ძალზე სასიფათოა აქ ყოფნა, – თქვა დედოფალმა. – მთელი სასახლე ინგრევა. თუ რამოდენიმე წუთში აქედან არ გავაღწიეთ, ნანგრევებში დავიმარსებით. – მან ეს ისე მშვიდადა თქვა, გეგონებოდათ სრულიად ჩვეულებრივ ამბებზე ლაპარაკობსო, ისე, უბრალოდ. – წავედით! – დასძინა მან და ორივე ბავშვს ხელი ჩაჰკიდა. პოლი, რომელსაც არ მოეწონა დედოფალი, და თან ცუდ გუნებაზეც იყო, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ხელს არ მოაკიდებინებდა მას. დედოფალი მშვიდად კი ლაპარაკობდა, მაგრამ მისი მოძრაობები ფიქრებს მიჰყვებოდა სისწრაფეში. ვიდრე პოლი გაიგებდა რა ხდებოდა, მისი მარცხენა ხელი უკვე ჩაბლუჯული ჰქონდა ისეთ დიდსა და ძლიერ ხელს, რომ ის ვეღარაფერს გააწყობდა.

– „ეს რა საშინელი ქალია“, – ფიქრობდა პოლი. – „იმისთანა ღონე აქვს, ერთ გადატრიალებაზე ხელს მომამტვრევს. თანაც მარცხენა ხელი რომ დამიჭირა, ვეღარ მივწვდები ყვითელ ბეჭედს. რომ ვცადო და მარჯვენა ხელი მარცხენა ჯიბისკენ წავიღო, სანამ ჯიბემდე ხელს მივიტან, მკითხავს, რას აკეთებო. რაც არ უნდა მოსდეს, მან არ უნდა გაიგოს ბეჭდების ამბავი. იმედია, დიგორის ჭკუა ეყოფა, რომ ენას კბილი დააჭიროს. ნეტავი ცალკე მათქმევინა მისთვის სიტყვა.“

დედოფალმა მოჯადოებული დარბაზიდან გრძელ დერეფანში გაიყვანა ისინი, მერე დარბაზების ლაბირინთები გაატარა, კიბეები, ეზოები. წამდაუწუმ ესმოდათ, როგორ ინგრეოდა დიდებული სასახლის კედლები, ზოგჯერ ეს მათგან ძალიან ახლოს ხდებოდა. ერთსელ ისიც მოხდა, რომ ერთი უზარმაზარი თაღი, როგორც კი გასცდნენ, ერთ წუთში ჩამოინგრა. დედოფალი სწრაფად მიდიოდა (ბავშვები კი იძულებულები იყვნენ ერბინათ, რომ არ ჩამორჩენოდნენ მას), თუმცა შიშის ნატამალიც კი არ ემჩნეოდა. დიგორი ფიქრობდა: „საოცრად გულადი ქალია. მერე როგორი ძლიერია! მართლაც ნამდვილი დედოფალია! იმედია, ის ამ სასახლის ამბავს მოგვიყვება.“

გზადაგზა დედოფალი მართლაც უყვებოდა მათ რაღაცრაღაცეებს:

– ეს საპყრობილის კარია, – ამბობდა ის; ან: – ეს გასასველელი მიდის მთავარი საწამებელი ოთახებისაკენ; ან: – ეს იყო ძველი სანადიმო დარბაზი, სადაც ჩემმა პაპისპაპამ შვიდასი დიდებული მოიწვია ნადიმზე და ერთიანად ამოწყვიტა, ვიდრე შენაყრდებოდნენ; გულში ამბოსებას რომ განიზრახავდნენ იმიტომ.

ბოლოს იმ დარბაზში შევიდნენ, რომელიც მანამდე ნანახ დარბაზებთან შედარებით უფრო დიდი და მაღალჭერიანი იყო. მისი ზომებისა და შორს, ოთახის ბოლოში, ჩამობმული მაღალი კარების მისედვით დიგორიმ დაასკვნა, რომ კარები მთავარი შემოსასველელისა უნდა ყოფილიყო. დიგორი სწორე იყო. კარები მუქი შავი ფერისა იყო, ის დამზადებული იყო ან ებონიტისგან, ანდა ისეთი შავი ლითონისგან, რომელიც ჩვენს სამყაროში არ მოიპოვება. კარებს ვეებერთელა ურდულები ჰქონდა გაყრილი. მეტი წილი ურდულებისა ისეთ სიმაღლეზე იყო, რომ ძნელად მისწვდებოდა კაცი. თითოეული ურდული ასაწევადაც ძალიან მძიმე ჩანდა. „აქედან როგორ უნდა გავაღწიოთ?“ – გაიფიქრა დიგორიმ.

დედოფალმა დიგორის სელი უშვა და მკლავი მაღლა ასწია. მთელი სიმაღლით გაიჭიმა და ადგილზე გაშეშდა. მერე მან რაღაცა თქვა, რასაც ბავშვები ვერ მიხვდნენ (თუმცა ის საშინლად ეღერდა), და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს კარებს რაღაცას ესვრისო. ის მაღალი და მძიმე კარები წამით ისე აძაგძაგდა, გეგონებოდათ, აბრეშუმისაგან შეკერილი ყოფილიყოს. მერე ერთიანად დაიშალა და კარის დირეზე მტვრის გროვად ჩამოიშალა.

– ფიე! – გაუსტვინა დიგორიმ.

– შენს მოძღვარ ჯადოქარს თუ აქვს ჩემისთანა ძალა? – იკითხა დედოფალმა და კვლავ ჩააკლო დიგორის ხელი. – ამას მე მერეც გავიგებ. ახლა კი დაიხსომეთ, რაც ნახეთ. ასე ემართება ყველას და ყველაფერს, ვინც ან რაც გზაზე მეღობება.

უკვე გაღიავებული შემოსასველელიდან ბევრად უფრო მეტი სინათლე შემოდიოდა, ვიდრე ბავშვებს მანამდე ენახათ იმ ქვეყანაში. ამიტომ, როდესაც დედოფალმა ისინი იმ შემოსას-



ელელით გაიყვანა, მათ სულაც არ გაჰკვირვებიათ, რომ ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ. სახეში ცივი ქარი კი უბერავდათ, მაგრამ ჰაერი მაინც მძიმე იყო. ისინი მაღალი ტერასიდან გადაჰყურებდნენ არე-მარეს, მათ ქვემოთ დიდებული სედი მოჩანდა. ქვემოთ, ჰორიზონტის ახლოს, დიდი წითელი მზე იყო გამოკიდებული, ის ჩვენს მზეზე ბევრად უფრო დიდი იყო. დიგორიმ მაშინვე იგრძნო, რომ ამასთანავე ის ჩვენს მზეზე ძველი იყო: მზე, თავისი სიცოცხლის ბოლოს მიწევნილი და ქვეყნიერების ყურებით მოღლილ-მოქანცული. მზის მარცხნივ, უფრო მაღლა, ერთი ვარსკვლავი ეკიდა, დიდი და კაშკაშა. იმ ბნელ ზეცაზე მხოლოდ ეს ორი რამ მოჩანდა. ისინი სევდიან სანახაობას წარმოადგენდნენ. რაც შეეხება მიწას, საითკენაც

უნდა გაგესედათ, სადამდეც კაცის თვალი მისწედებოდა, გადაჭიმული იყო უზარმაზარი ქალაქი, რომელშიც ცოცხალი არსების ჭაჭანება არ ჩანდა. ტაძრები, კოშკები, სასასლეები, პირამიდები და სიდები გრძელ, შემზარავ ჩრდილებსა ჰფენდნენ გამოშრეტილი მზის შუქზე. ერთ დროს ქალაქზე დიდი მდინარე უნდა ჩამოდენილიყო. წყალი აქ დიდი ხნის წინ დამშრალიყო, და მის ადგილას ნაცრისფერი მტვრის ფართე კალაპოტიღა ჩანდა.

– კარგად დაკვირდით იმას, რასაც მეტი ვეღარავის თვალი იხილავს, – თქვა დედოფალმა. – ასეთი იყო ჩარნი, დიადი ქალაქი, სატახტო მეფეთ მეფისა, საოცრება სამყაროსი და, იქნებ, სამყაროებისაც. თუ უმართავს ძიაშენს ამისთანა დიდებული ქალაქი, ბიჭო?

– არა, – თქვა დიგორიმ. დიგორი აპირებდა, ეთქვა, რომ ძიამისს არანაირი ქალაქი არ უმართავს, მაგრამ დედოფალმა განაგრძო:

– ახლა აქ სიჩუმე სუფევს. მე ვმდგარვარ ამ ადგილას, როდესაც ზეცას სწვდებოდა ჩარნის ხმაური: ფეხის ხმა, ბორბლების ჭრიალი, მათრახის ტყლაშუნი, მონების კვნესა, ეტლების გრიალი და ტაძრებში სამსხვერპლოს დოლების ბაგაბუგი. მე ვმდგარვარ აქ (ბოლო რომ ახლოვდებოდა), როდესაც ბრძოლის ყიჟინა ისმოდა ყველა ქუჩიდან და ჩარნის მდინარე წითელი მოედინებოდა. – ის შეჩერდა და მერე დასძინა: – ყოველივე ერთ წუთში სამუდამოდ მოსპო ერთმა ქალმა.

– ვინა? – მორიდებული ხმით იკითხა დიგორიმ, თუმცა მან უკვე იცოდა პასუხი.

– მე, – თქვა დედოფალმა. – მე, ჯადისმა, უკანასკნელმა დედოფალმა, ამ სამყაროს დედოფალმა.

ბავშვები ჩუმად იდგნენ და სიცივისაგან კანკალებდნენ.

– სულ ჩემი დის ბრალი იყო, – თქვა დედოფალმა. – იმან გამაკეთებინა. წყეულიმც იყოს ის უკუნისამდე! მე მზად ვიყავი დავმავებოდი და მისი სიცოცხლეც დამეზოგა, თუკი ის ტახტს დამითმობდა, მაგრამ არა ქნა. მისმა ამპარტავნებამ დაღუპა მთელი სამყარო. მას შემდეგ, რაც ომი ატყდა, საზეიმოდ

დავდეთ აღთქმა, რომ არც ერთი მხარე ჯადოქრობას არ გამოიყენებდა. მაგრამ, როცა მან დაარღვია აღთქმა, მე რაღა დამრჩენოდა? სულელი! თითქოს არ იცოდა, რომ მე მასზე მეტი უნარი მქონდა ჯადოქრობისა! მან ისიც კი იცოდა, რომ აებედითი სიტყვის საიდუმლოს ვფლობდი. ნუთუ მას ეგონა (ის ყოველთვის ჭკუასუსტი იყო), რომ მე მას არ გამოვიყენებდი?

— რა სიტყვა იყო ის? — თქვა დიგორიმ.

— ის იყო საიდუმლოთა საიდუმლო, — თქვა ჯადის დედოფალმა. — ჩვენი მოდგმის დიდი მეფეებისათვის კარგა ხნის ცნობილი იყო, რომ არსებობდა ერთი სიტყვა, რომელიც, თუ ჯეროვანი ცერემონიების თანხლებით იქნებოდა წარმოთქმული, ყველა ცოცხალ არსებას დაღუპავდა, გარდა წარმომთქმელისა. მაგრამ ძველი მეფეები ძალიან სუსტები და გულჩვილები იყვნენ, ამიტომ თვითონაც კისრულობდნენ პირობას და თავიანთ მემკვიდრეებსაც აკისრებდნენ დიდის ფიცით, რომ არ ეცდებოდნენ იმ სიტყვის გაგებას. მაგრამ მე ის სიტყვა შევისწავლე ერთ საიდუმლო ადგილას და მისი შესწავლა საშინელი საფასური დამიჯდა. მანამ ჩემმა დამ არ მაიძულა, მე არ გამომიყენებია ის. მე ყველა სხვა ღონე ვიხმარე მის დასამარცხებლად. ჩემი ლაშქრის სისხლს წყალივით ეღვრიდი...

— მხეცი! — თავისთვის წაიბურტყუნა პოლიმ.

— უკანასკნელი დიდი ბრძოლა, — თქვა დედოფალმა, — სამი დღე მიმდინარეობდა თავად ჩარნში. სამი დღე გადავყურებდი ამ ადგილიდან ქალაქს. მე მანამ არ გამომიყენებია ჩემი ძალა, სანამ ჩემი უკანასკნელი მებრძოლი არ დაეცა. იმ წყეული დედაკაცის, ჩემი დის, მეთაურობით მეამბოხეებს უკვე სანახევროდ ამოვლილი ჰქონდათ ის კიბეები, რომელიც ქალაქიდან ტერასამდე ამოდის. მაშინ კიდევ მოვიცადე, სანამ ის ისე ახლოს ამოვიდოდა, რომ ერთმანეთის სახეებს დავინახავდით. შემომანათა მან თავისი საშინელი, ბოროტეული თვალები და მითხრა: „ეს გამარჯვებაა!“

— დიახ, გამარჯვებაა, — მე ვუთხარი, — მაგრამ არა შენი! მაშინ წარმოვთქვი ის აებედითი სიტყვა. წამის შემდეგ მე უკვე ერთადერთი ცოცხალი არსებაღა ვიყავი მზის ქვეშეთში.

– მერედა ხალხი? – გაოცებისაგან პირი დააღო დიგორიმ.

– რა ხალხი, ბიჭო? – ჰკითხა დედოფალმა.

– უბრალო ხალხი, თქვა პოლიმ, – ვისაც თქვენთვის არაფერი დაუშავებია: ქალები, ბავშვები, ცხოველები.

– როგორ ვერ მიმხვდარხარ! – თქვა დედოფალმა (ის კვლავ დიგორის ელაპარაკებოდა) – მე დედოფალი ვიყავი. ისინი ყველა ჩემი ხალხი იყო. ჩემი ნების აღსრულების გარდა, მათ სხვა რა დანიშნულება ჰქონდათ?

– მაინც, ვერ ვიტყვი, რომ ბედმა გაუღიმა მათ, – თქვა დიგორიმ.

– მე დამავიწყდა, რომ შენ მდაბიო ბიჭი ხარ. აბა, შენ როგორ უნდა გაიგო, რას ნიშნავს სახელმწიფო ინტერესები? შენ უნდა იცოდე, რომ რაც გაუმართლებელია შენთვის და შენისთანა მდაბიო ხალხისათვის, ის გამართლებულია ჩემისთანა დედოფლისათვის. მთელი სამყაროს სიმძიმე ჩვენ გვაწევს მხრებზე. ამიტომ ჩვენ თავისუფალნი უნდა ვიყოთ ყოველგვარი წესებისაგან. მარტოსულად ყოფნაა ჩვენი აღმატებულების ხვედრი.

დიგორის გაახსენდა, რომ ძია ენდრიუმაც ზუსტად ასეთი სიტყვები წარმოთქვა, თუმცა ის სიტყვები უფრო დიდებულად არ ეღერდა, დედოფლის ნათქვამზე. ალბათ, ეს იმიტომ, რომ ძია ენდრიუ არ იყო შვიდი ფუტი სიმაღლის და თვალისმომჭრელი სილამაზის კაცი.

– მერე როგორ მოიქეცით? – თქვა დიგორიმ.

– მე იმ დროს უკვე ძლიერ მოჯადოებული მქონდა ის დარბაზი, სადაც ჩემი წინაპრების ქანდაკებები იყო. იმ ჯადოს ძალა ის იყო, რომ მე უნდა მძინებოდა მათს შორის, როგორც ქანდაკებას; მე არ უნდა დამჭირებოდა არც საჭმელი და არც ცეცხლი ათასი წელიწადიც რომ გასულიყო, სანამ ვინმე არ მოვიდოდა და ზარის ჩამოკვრით არ გამაღვიძებდა.

– მზე იმ ავბედითი სიტყვის გამო გახდა ასეთი? – ჰკითხა დიგორიმ.

– როგორი ასეთი? – უთხრა ჯადისმა.

– ასეთი დიდი, წითელი და ცივი.

– ის ყოველთვის ასეთი იყო, – თქვა ჯადისმა. – სულ ცოტა, ბოლო ასობით ათასი წლის განმავლობაში. თქვენს სამყაროში რა, სხვანაირი მზე გაქვთ?

– დიახ, ჩვენი მზე უფრო პატარა და ყვითელია. თანაც უფრო მეტ სითბოს გამოსცემს.

– ა-ა-ა! – გრძლად წარმოსთქვა დედოფალმა.

დიგორიმ მას სახეზე ისეთივე მსუნაგი და ხარბი გამომეტყველება შეამჩნია, როგორიც სულ ცოტა ხნის წინ ძია ენდრიუს სახეზე ჰქონდა ნანახი.

– გამოდის, – თქვა დედოფალმა, – თქვენი სამყარო უფრო ახალგაზრდა ყოფილა. წამით დედოფალი შეჩერდა, რათა ერთხელ კიდევ გადაეხედა გაპარტახებული ქალაქისათვის. ის აშკარად არ იმჩნევდა თუ ნანობდა თავის მიერ ჩადენილ ბოროტებას, მერე კი თქვა: – ახლა წავედით. საუკუნეთა აღსასრულია და ცივა აქ.

– სად წავიდეთ? – ჰკითხეს ბავშვებმა.

– სადაო? – გაიმეორა გაოცებულმა ჯადისმა. – სადა და თქვენს სამყაროში.

თავზარდაცემულმა პოლიმ და დიგორიმ ერთმანეთს გადახედეს. პოლის თავიდანვე არ მოეწონა დედოფალი. დიგორიც, მას შემდეგ, რაც მისი ამბავი მოისმინა, გრძნობდა, რომ ყელში ამოუვიდა დედოფლის ყურება. რაღა თქმა უნდა, დედოფალი ისეთი პიროვნება არ იყო, რომლის შინ მიყვანასაც ვინმე ისურვებდა. რომ სდომოდათ კიდეც მისი შინ წაყვანა, მათ არც იცოდნენ როგორ უნდა მოეხერხებინათ ეს. ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ, როგორმე ჩამოშორებოდნენ მას. მაგრამ პოლის ბეჭდამდე ხელი ვერ მიჰქონდა, დიგორი კი პოლის გარეშე ხომ ვერ წავიდოდა. დიგორი ძალიან გაწითლდა და ენა დაება.

– ი-ი-ცით, ჩვენი სამყარო. მ-მე არ მეგონა, თუ თქვენ იქ წასვლას მოინდომებდით.

– აქ ჩემს წასაყვანად თუ არა, სხვა რისთვის გამოგაგზავნეს? – იკითხა ჯადისმა.

– მე დარწმუნებული ვარ, თქვენ სულ არ მოგეწონებათ ჩვენი სამყარო, – თქვა დიგორიმ.

– პოლი, ჩვენი სამყარო ხომ არ არის დედოფლის შესაფერისი, არა? ის ძალიან მოსაწყენია. ნამდვილად არ ღირს ნახვად.

– ის გახდება ნახვის ღირსი, როდესაც მე შევუდგები მის მართვას, – მიუგო დედოფალმა.

– თქვენ ამას ვერ შეძლებთ, – თქვა დიგორიმ. – ეს არც ისე იოლია. თქვენ ამას არავინ დაგანებებთ.

დედოფალმა ზიზღით ჩაიღიმა.

– მრავალ დიდებულ მეფეს ეგონა, – თქვა მან, – რომ წინ აღუდგებოდა ჩარნის სახლს. მაგრამ ყველა დაეცა და მათი სახელები დავიწყებას მიეცა. სულელო ბიჭო! ნუთუ გგონია, რომ მე, ჩემი სილამაზითა და ჯადოქრობით, ვერ დავაჩოქებ თქვენს სამყაროს ჩემს ფერხთით, სრულ ერთ წელიწადში? აბა, ახლავე წარმოთქვით თქვენი ჯადო-სიტყვები და წამიყვანეთ იქ.

– ეს საშინელებაა! – გადაულაპარაკა დიგორიმ პოლის.

– ალბათ, ძიაშენის ბედი გადარდებს. მას შეუძლია შეინარჩუნოს სიცოცხლე და ტახტი, თუ საჭირო პატივს მომაგებს. მე მასთან საომრად არ მივდივარ. ის ძალიან დიდი ჯადოქარი უნდა იყოს, რაკი მოახერხა თქვენი აქ გამოგზავნა. ის მთელი თქვენი სამყაროს მეფეა, თუ მხოლოდ ნაწილისა?

– ის არაფრის მეფე არ არის. – თქვა დიგორიმ.

– სტყუი, – თქვა დედოფალმა. – განა ჯადოქრობა მეფური სისხლით არ გადადის? სად გაგონილა მდაბიო კაცი და ჯადოქარი? შენ რომ არ მითხრა, ისეც გავიგებ სიმართლეს. ძიაშენი დიდი მეფე და ჯადოქარია თქვენს სამყაროში. მან თავისი ხელოვნების მეშვეობით ჩემი სახის აჩრდილი დაინახა ჯადოსნურ სარკეში, თუ მოჯადოებულ გუბეში. ჩემი სილამაზით მონუსხულმა ძლიერმოქმედი ჯადო გააკეთა, რამაც საფუძვლიანად შეძრა თქვენი სამყარო. მან სამყაროსა და სამყაროს შორის მოქცეულ უზარმაზარ უფსკრულზე გადმოგიშვათ, რათა ჩემი წყალობა გეთხოვათ და მასთან წაგეყვანეთ. გამეცით პასუხი: ხომ ასე იყო?

– იცით, მთლად ასე არ იყო, – თქვა დიგორიმ.

– მთლად ასე არა, არა! – იყვირა პოლიმ. – ეგ ყველაფერი თავიდან ბოლომდე სისულელეა.

– რაო! – იყვირა დედოფალმა და განრისხებული დააცხრა პოლის. საბრალო გოგოს თმებში წაავლო ხელი და მერე სად, კეფაზე, სადაც ყველაზე მტკივნეულია. მაგრამ ამ დროს მან ორივე ბავშვს ხელები გაუშვა.

– დროა! – იყვირა დიგორიმ.

– აბა, ჩქარა! – იყვირა პოლიმ.

ბავშვებმა ხელები ჯიბეებში იცრეს. ბეჭდების გაკეთება არც კი დასჭირებიათ, როგორც კი ხელი შეახეს ბეჭდებს, მთელი ის საშინელი სამყარო გაქრა მათი თვალიდან. ისინი მაღლა მიექანებოდნენ. თბილი მწვანე შუქი ზევით და ზევით მატულობდა.

თავი მეექვსე

ძია ენდრიუს განსაცდელთა დასაწყისი

– გამიშვი! გამიშვი! – იკივლა პოლიმ.

– მე როდის გიჭერ! – თქვა დიგორიმ.

და ორივემ გუბეში ამოყო თავი. კიდევ ერთხელ მოეგებათ მათ სამყაროთა შორის მოქცეული ტყის მზიანი სიმშვიდე. იმ შეხუთული და ნანგრევებად ქცეული ადგილის შემდეგ, რომელიც ის-ის იყო მიატოვეს, ტყე უფრო მდიდრული, უფრო თბილი და უფრო წყნარი გამოიყურებოდა. მე ეფიქრობ, მათ შესაძლებლობა რომ მისცემოდათ, ისევე დაივიწყებდნენ თავიანთ სადაურობას, ძირს დაეყრებოდნენ, ძილ-ღვიძილს მისცემდნენ თავს და ხეების ზრდას მიუგდებდნენ ყურს, მაგრამ ერთმა რამემ შეუშალა მათ ხელი, ძილს რომ მისცემოდნენ: როგორც კი ბალახზე გამოვიდნენ, დაინახეს, რომ მარტონი არ იყვნენ. დედოფალი ანუ გრძნეული (რაც გინდათ ის დაუძახეთ) პოლის თმებზე ჩაბღაუჭებული თან ამოჰყვათ. ამიტომ იყო პოლი რომ ყვიროდა, გამიშვიო.

სხვათა შორის, ამ ამბავმა ბეჭდების კიდევ ერთი თვისება გამოავლინა, რაც ძია ენდრიუს არ ჰქონდა დიგორისთვის ნათქვამი. ანდა როგორ უნდა ეთქვა, როცა ამაზე თვითონაც არაფერი იცოდა? იმისთვის, რომ სამყაროდან სამყაროში გადახტე, ერთ-ერთი იმისთანა ბეჭდის მეშვეობით, თურმე საჭირო არ ყოფილა, ბეჭედი აუცილებლად შენ გაიცეთო ან შეახო მას ხელი. თურმე საკმარისია ხელი შეახო იმას ვინც ბეჭედს ეხება. ამ შემთხვევაში ბეჭდები მოქმედებენ, როგორც მაგნიტები. ყველამ იცის, რომ თუ მაგნიტით იღებ ერთ ქინძისთავს, მას თან აჰყვება მეორე ქინძისთავიც, თუ ის პირველს ეხება.

დედოფალი ჯადისი ამ ტყეში სხვანაირად გამოიყურებოდა. ის ბევრად უფრო ფერმკრთალი იყო ვიდრე ადრე; ისეთი ფერმკრთალი, რომ სახეზე ოდნავღა თუ შერჩენოდა თავისი სილამაზე. ის მობუზულიყო და სუნთქვა უჭირდა, თითქოს აქაური ჰაერი სულს უხუთავდა. ბავშვებმა იგრძნეს, რომ ახლა ყველაზე ნაკლებ მისი ეშინოდათ.

– გამიშვით! თმაზე გამიშვით ხელი! – თქვა პოლიმ. – რატომ არ მიშვებთ?

– ახლავე გაუშვით პოლის თმაზე ხელი! – თქვა დიგორიმ.

ორივენი მიუბრუნდნენ და შეებნენ დედოფალს. ბავშვები უფრო ღონივრები აღმოჩნდნენ და რამოდენიმე წამში დედოფალს ხელი გააშვებინეს. ის უკან წაბარბაცდა ქოშინით. მისი თვალებიდან შიში გამოკრთოდა.

– სწრაფად, დიგორი! – თქვა პოლიმ. – შევიცვალოთ ბეჭდები და გადავხტეთ ჩვენს გუბეში.

– მიშველეთ! მიშველეთ! შემიბრალეთ! – მიცნავებული ხმით მიაძახათ გრძნეულმა, რომელიც ბარბაცით მისდევდა მათ უკან. – თან წამიყვანეთ! ნუ დამტოვებთ ამ საშინელ ადგილას! მე აქ მოვკვდები!

– სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ წაგიყვანთ. – თქვენც ხომ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ამოხოცეთ მთელი ხალხი თქვენს სამყაროში. აბა, იჩქარე, დიგორი!

ბავშვებმა წამოიცვეს მწვანე ბეჭდები, მაგრამ დიგორიმ თქვა:

– რა ჯანდაბა უნდა ვქნათ? – დიგორის დედოფალისადმი ცოტაოდენი სიბრალულის გრძნობა მაინც ვერ მოეშორებინა.

– ვირივით ბრიყვი ხომ არ უნდა იყო! – თქვა პოლიმ. – დარწმუნებული ვარ, დედოფალი თავს იკატუნებს. ახლავე გადმოადგი ნაბიჯი.

მერე ორივემ ჩაყვინთა თავიანთ გუბეში.

„კიდევ კარგი, რომ ნიშანი დავადეთ,“– გაიფიქრა პოლიმ.

მაგრამ, როგორც კი ისინი გადმოხტნენ, დიგორიმ იგრძნო, რომ ვიღაცის დიდი, გაყინული ცერა და სალოცი თითები ყურში სწვდა. როგორც კი ისინი ჩაიძირნენ და ჩვენი სამყაროს არეული სილუეტები გამოჩნდა, სალოცი და ცერა თითი უფრო ძალუმად ჩაებღაუჭა დიგორის ყურს. ჩანდა, გრძნეულს უბრუნდებოდა ძალა. დიგორი ჭირვეულობდა და წიხლებს იქნევდა, მაგრამ ამაოდ.

წამში ძია ენდრიუს სამუშაო ოთახში აღმოჩნდნენ. ძია ენდრიუ იქ იყო და მიშტერებოდა მშვენიერ ქმნილებას, რომელიც დიგორის სხვა სამყაროდან მოჰყოლოდა.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. დიგორი და პოლიც მიშტერებოდნენ გრძნეულ ქალს. ეჭვი არ იყო, დედოფალს დაეძლია სისუსტე. ახლა ძია ენდრიუ ხედავდა მას ჩვენს სამყაროში, მისი ჩვეული გარეგნობით. დედოფლის დანახვაზე მას გული შეუღონდა. ჩარნში დედოფალი საკმაოდ საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა, ლონდონში კი საერთოდ თავზარდამცემი იყო. ჯერ ერთი, ბავშვები აქამდე ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ როგორი უშარმაზარი ქალი იყო ის.

„ადამიანს ძნელად თუ მიამსგავსებ," – გაიფიქრა დიგორიმ, როდესაც დედოფალს შეხედა. ეს შეიძლება სწორეც იყო, რადგან ამბობდნენ ჩარნის სამეფო ოჯახს გოლიათების სისხლი ურევიაო. მაგრამ დედოფლის სიმაღლე არაფერი იყო მის მშვენიერებასთან, მის მრისხანებასთან და სიმხეცესთან შედარებით. ის ათგზის უფრო ყოჩაღი იყო, ვიდრე იმ ხალხის უმრავლესობა, ლონდონში რომ გხვდებიან. ძია ენდრიუ თავს უკრავდა გრძნეულს, ხელებს იფშვნეტდა და, სიმართლე უნდა ითქვას, მეტისმეტად შეშინებული გამოიყურებოდა. გრძნეული ქალის გვერდით ის პაწაწინა, ჩია არსებად გამოიყურებოდა. და როგორც პოლი ამბობდა შემდეგ, რაღაც მსგავსება ამ ორ სახეს შორის მაინც იყო, მსგავსება მათს გამომეტყველებაში. ეს იყო ის გამომეტყველება, რომელიც ყველა ბოროტეულ ჯადოქარსა აქვს, ერთგვარი „ნიშანი", რომელიც ჯადისმა დიგორის სახეზე ვერ შენიშნა. ერთადერთი სიცეთე, რაც ამ გრძნეულისა და ჯადოქრის ერთად ხილვას შეიძლებოდა ჰქონოდა, ის იყო, რომ ბავშვებს უკვე აღარ ეშინოდათ ძია ენდრიუსი, ისე როგორც აჯაგრული გველის მნახველს აღარ შეეშინდება მუხლუხოსი და გაგიჟებული ხარის მნახველს – ძროხისა.

„ფუჰ!" – ფიქრობდა თავისთვის დიგორი. – „ძია ენდრიუ რა ჯადოქარია? ბევრიც არაფერი. აი, დედოფალი კი მესმის, ნამდვილი გრძნეულია!"

ძია ენდრიუ კელავინდებურად აკრძელებდა თავისკვრასა და ხელების ფშვნეტას. ის ცდილობდა თავაზიანად ეთქვა რაიმე, მაგრამ მას პირი ისე ამოსახსოდა, რომ ლაპარაკი არ შეეძლო. მისი ბეჭდებთან დაკავშირებული „ცდა" გაცილებით უფრო წარმატებით განხორციელდა ვიდრე ის ამას ელტვოდა: ის წლების მანძილზე ჯადოქრობით კი იყო დაკავებული, მაგრამ რაც კი რამ სახიფათო იყო, იმას ყოველთვის სხვის გასაკეთებლად ტოვებდა (რამდენადაც ამას ახერხებდა). ამის მსგავსი არაფერი მომხდარიყო მანამდე მის ცხოვრებაში.

მერე ჯადისი ალაპარაკდა. მართალია ის ძალიან ხმამაღლა არ ლაპარაკობდა, მაგრამ ოთახმა მაინც განგარი დაიწყო.

– სად არის ის ჯადოქარი, მე რომ ამ სამყაროში დამიბარა?

– ე...ე... ქალბატონო, – ამოიხრიალა ძია ენდრიუმ, – უდიდესი პატივი მსედა წილად... დიდად დავალებული ვარ...

ყოველად დიდად მოულოდნელი პატივია... ნეტავი შემძლებოდა და თადარიგი დამეჭირა... მე... მე...

– სად არის ჯადოქარი, უგუნურო? – იკითხა ჯადისმა.

– მე... მე ვარ, ქალბატონო. იმედია გვაპატიებთ... ე... იმ კადნიერებას, რაც ეგებ ამ გაუგონარმა ბავშვებმა ჩაიდინეს. გარწმუნებთ, ჩვენ არ გვინდოდა...

– შენა? – თქვა დედოფალმა უფრო საშინელი ხმით. მერე ერთი ნაბიჯის გადადგმით ოთახის მეორე მხარეს მოექცა,

ძია ენდრიუს ჭაღარა თმებში ჩაავლო ხელი და ისე გადაუწია უკან თავი, რომ მისი სახე დედოფლის სახის წინ მოექცა. მერე დედოფალმა ჩაათვალიერა ძია ენდრიუს სახე, ისევე, როგორც დიგორის სახე ჩაათვალიერა ჩარნის სასახლეში. ძია ენდრიუ თვალებს ახამხამებდა და ნერვიულობისგან ტუჩებს ილოკავდა. ბოლოს დედოფალმა გაუშვა ის: ისე მოულოდნელად, რომ კედელს მიენარცხა უკან.

– გასაგებია, – თქვა დედოფალმა ზიზღით, – შენ ერთგვარი ჯადოქარი ხარ. გასწორდი წელში, ძაღლო, ეგრე მოშვებული ნუ ხარ, თითქოს შენს სწორებს ელაპარაკებოდე. როგორ შეისწავლე ჯადოქრობა? ვფიცავ, შენ მეფური სისხლისა არა ხარ.

– იცით... ე... პირდაპირი მნიშვნელობით, ალბათ, არა, – ენის ბორძიკით ამოილუღლუღა ძია ენდრიუმ, – მთლად მეფურის არა, ქალბატონო. მიუხედავად ამისა, კეტერლების გვარი ძალიან ძველია. ძველი დორსეტშირიდან მომდინარე გვარია.

– წყნარად! – თქვა გრძნეულმა, – ვიცი ვინცა ხარ შენ: პატარა, წვრილმანი ჯადოქარი ხარ, წესებითა და წიგნებით მოქმედი. სისხლსა და გულში არაფერი გაქვს ჯადოქრისა. ჩემს სამყაროში შენისთანებს ათასი წლის წინათ მოვუღე ბოლო. მაგრამ მე აქ ნებასა გრთავ, ჩემი მსახური იყო.

– გარწმუნებთ, მე ბედნიერი ვიქნები... მოსარული ვიქნები რაიმეთი გემსახუროთ... სიამოვნებით.

– წყნარად! შენ ძალიან ბევრს ლაპარაკობ. ახლა მოისმინე შენი პირველი დავალება: ვხედავ, ჩვენ დიდ ქალაქში ვიმყოფებით. ეხლავე გამიჩინე ეტლი ან მფრინავი ხალიჩა, ან კარგად გაწვრთნილი გველეშაპი, ან სხვა ისეთი რამ, რითაც სამეფო ან დიდებული გვარი სარგებლობს თქვენს ქვეყანაში. მერე დამატარე ის ადგილები, სადაც მე შემიძლია ვიშოვნო სამოსელი, სამკაულები და მონები, როგორც ეს ჩემი წოდების ქალს შეეფერება. ხვალიდან ამ სამყაროს დაპყრობას ვიწყებ.

– მე... მე... წავალ და კებს გამოვიძახებ, – ამოიოხრა ძია ენდრიუმ.

– შეჩერდი, – თქვა გრძნეულმა, როგორც კი ძია ენდრიუმ კარებს მიაღწია. – ღალატი არ გაივლო გულში. ჩემი თვალები კედლების მიღმა სჭვრეტენ და ადამიანთა გონებაში იხედებიან. სადაც არ უნდა წახვიდე, მათ ვერ დაემალები. ურჩობის პირველივე ნიშანზე ისე მოგაჯადოებ, რომ რაზეც არ უნდა დაჯდე, წითლად გავარვარებულ რკინად გეჩვენოს, და როცა კი ლოგინში ჩაწვე, ფერხთით ყინულის უხილავი ფილები გეწყოს. ახლა გასწი!

მოხუცი კაცი კულამოძუებული ძაღლივით გავიდა კარში.

ახლა ბავშვებს შეეშინდათ, რომ ჯადისი გაუხსენებდა მათ იმას, რაც ტყეში მოხდა. მაგრამ მას არც მაშინ და არც იმის მერე არ უსხენებია ის ამბავი. მე ვფიქრობ (დიგორიც ასე ფიქრობს), დეღოფალს ისეთი გონება ჰქონდა, რომელსაც საერთოდ არ შეეძლო იმ წყნარი ადგილის გასხენება. და რამდენჯერაც არ უნდა წაგეყვანათ ის იქ, რამდენი სანიც არ უნდა დაგეტოვებინათ იქ, მას იქაურობაზე მაინც არ ექნებოდა წარმოდგენა. ახლა, როცა ის ბავშვებთან მარტო დარჩა, მას არც ერთისთვის არ მიუქცევია ყურადღება. ესეც მისი დამახასიათებელი თვისება იყო. ჩარნში ის თითქმის ბოლო მომენტამდე ყურაღღებას არ აქცევდა პოლის. მან, დიგორის მიაქცია ყურადღება, რადგან მისი გამოყენება უნდოდა. ახლა კი რაკი მას ძია ენდრიუ ჰყავდა, დიგორისაც აღარ მიაქცია ყურადღება. ჩემის აზრით, ყველა გრძნეული ასეთია. ისინი ვერაფერსა და ვერავის ამჩნევენ, თუ მათი გამოყენება არ შეუძლიათ. ისინი საშინლად პრაქტიკულები არიან. ასე რომ, ოთახში ერთი-ორი წუთი სიჩუმე სუფევდა. მაგრამ ჯადისი ისე აბაკუნებდა ფეხებს იატაკზე, რომ მიხვდებოდით, ის მოთმინებას ჰკარგავდა. ცოტა ხნის შემდეგ მან თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ნეტა რას აკეთებს ის სულელი ბებერი? მე მათრახი უნდა წამომეღო თან.

ის ისე გავიდა ოთახიდან ძია ენდრიუს საძებნელად, რომ ბავშვებისთვის ზედაც არ შეუხედავს.

– უყურე შენ! – თქვა პოლიმ და შვებით ამოისუნთქა. – ახლა კი შინ უნდა წავიდე. ძალიან გვიანაა. მომხვდება.

– მერე დაბრუნდი რა, როგორც კი შეძლო, – უთხრა დიგორიმ. – საშინელებაა მაგისი აქ ყოლა, რამე უნდა მოვიფიქროთ.

– გაუშვი, ამაზე ძიაშენმა იდარდოს! – თქვა პოლიმ. – მთელი ეს ხათაბალა მან წამოიწყო თავისი ჯადოქრობით.

– სულერთია, შენ მერე მოდი, ხომ მოხვალ? ფუი! ამისთანა ძნელ დროს ნუ მიმატოვებ.

– მე გვირაბით უნდა წავიდე შინ, – თქვა პოლიმ ცივად, – ეს უსწრაფესი გზა იქნება. თუ გინდა, რომ მე დავბრუნდე, ჯერ ბოდიში არ უნდა მომიხადო?

– ბოდიში? – წამოიძახა დიგორიმ. – ეს რა იციან ამ გოგონებმა! რა ჩავიდინე საბოდიშო?

– ოჰ, არაფერი, რა თქმა უნდა, – თქვა პოლიმ კბენით, – კინაღამ მკლავი მომტეხე ცვილის ფიგურების ოთახში მშიშარა ავარასავით, მხოლოდ ჩაქუჩით ჩამორეკე ზარი დებილივით. შენ მხოლოდ უკან გადაიხარე ტყეში, ისე, რომ დედოფალმა მოასწრო ჩაგჭიდებოდა, სანამ ჩვენს გუბეში ჩავხტებოდით. მეტი რა უნდა ჩაგედინა?!

– ეა! – თქვა სახტად დარჩენილმა დიგორიმ, – კარგი, მე მოგიხდი ბოდიშს. მე ნამდვილად ვწუხვარ იმაზე, რაც ცვილის ფიგურებიან ოთახში მოხდა. აჰა, მე ბოდიში მოგიხადე. ახლა შენ ინებე კეთილი და მოდი მერე. საშინელ დღეში ჩავვარდები, თუ არ მოხვალ.

– არა მგონია, რომ შენ რამე გემუქრებოდეს. მისტერ კეტერლის მოუწევს წითლად გავარვარებულ სავარძლებზე ჯდომა და ლოგინში ყინულის ქონა, ხომ ასეა?

– საქმე სულ სხვა რამაა, – თქვა დიგორიმ. – მე დედაჩემის დარდი მაქვს. დავუშვათ, ის არსება დედაჩემის ოთახში შევიდა, ხომ გაუსცდა ქალს შიშით გული.

– ჰო, მართლა, – თქვა პოლიმ რამდენადმე შეცვლილი ხმით, – კარგი, შევრიგდით. თუ შევძელი, დავბრუნდები. მაგრამ ახლა კი უნდა წავიდე.

პოლი პატარა კარით გაძვრა გვირაბში. კოჭებს შორის მოქცეული ბნელი აღვილი, რომელიც რამოდენიმე საათის წინ ამაღელვებლად და სათავგადასავლოდ ეჩვენებოდა, ახლა მის თვალში საკმაოდ მოსაწყენად და თვალშეჩვეულად გამოიყურებოდა.

ახლა ჩვენ ძია ენდრიუს უნდა დავუბრუნდეთ. ჭერქვეშ ოთახის კიბეებს რომ ჩადიოდა, ძია ენდრიუს მოხუცი გული უკანკალებდა და ხელსახოცით შუბლს იწმენდდა. როდესაც მან თავის საწოლ ოთახს მიაღწია, რომელიც ქვემო სართულზე იყო, შიგ შევიდა და ჩაიკეტა. პირველი, რაც აქ მოიმოქმედა, ის იყო რომ კარადაში მოქექა ღვინო და ჭიქა, რომლებიც ყოველთვის იქ ჰქონდა დამალული, რათა დეიდა ლეტის არ ენახა. დაისხა ერთი ჭიქა დიდების უვარგისი სასმელი, ერთ ყლუპად გადაჭრა და სული მოითქვა

„ღმერთმანი“, – თავისთვის ჩაილაპარაკა მან, – „საშინლად შეძრწუნებული ვარ. ჩემს ცხოვრებაში ახლა ყველაზე მეტადა ვარ თავგზააბნეული!“

მან მეორე ჭიქაც დაისხა და ისევე დალია. მერე ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო. ყმაწვილებო, თქვენ არასოდეს გინახავთ ასეთი ტანსაცმელი, მაგრამ მე მახსოვს, ძველად რომ იცვამდნენ. მან ისეთი მაღალი და ქათქათა გაფხოკილი საყელო გაიკეთა, ნიკაპს მაღლა აწეულს რომ ატარებინებს კაცს. შემოიცვა ნაყშიანი ჟილეტი და ოქროს საათის ძეწკვი წინ გამოიჩინა, ჩაიცვა თავისი საუკეთესო ფრაკი, რომელსაც ქორწილებისა და დაკრძალვებისთვის ინახავდა. ჩამოიღო თავისი საუკეთესო ცილინდრი და გააპრიალა. მაგიდაზე ლარნაკით ყვავილები იდგა (დეიდა ლეტის მიერ დადგმული). მან ერთი ყვავილი აიღო და ღილ-კილოში გაირჭო. კომოდის მარცხენა პატარა უჯრიდან ამოიღო თეთრი ქათქათა ცხვირსახოცი (ძალიან ლამაზი, ისეთები ახლა აღარ იყიდება) და ვარდის წყალი დააპკურა. აიღო თავისი შავგონრიანი მონოკლი და თვალზე გაიკეთა. მერე ადგა და სარკეში ჩაიხედა.

როგორც იცით: ბავშვებს ასეთი სისულელე სჭირთ, დიდებს – ისეთი. ძია ენდრიუს იმ დროს დიდებისათვის დამახასიათე-

ბელი სისულელე შეეყარა. ახლა, რაკი გრძნეული ქალი იმავე ოთახში არ იყო, ძია ენდრიუს სწრაფად დააავიწყდა, თუ როგორ შეაშინა იმ ქალმა და ახლა მის საკვირველ სილამაზეზეღა ფიქრობდა. ის თავისთვის იმეორებდა: „ვაჰ, რა მშვენიერი ქალია, ბატონო, რა მშვენიერი ქალია, დიდებული ქმნილებაა!“ მან როგორღაც ისიც კი დაივიწყა, რომ ის „დიდებული ქმნილება“ ბავშვების მოყვანილი იყო. ის თავს ისე გრძნობდა, თითქოს მას თავისი ჯადოქრობით გამოეხმოს ის ქალი უცნობი სამყაროებიდან.

– ენდრიუ, ვეჟო, – უთხრა მან სარკეში თავისთავს, – შენი ასაკის კვალობაზე მშვენივრად გამოიყურები. თვალშისაცემი გარეგნობის კაცი ხარ, ბატონო!

წარმოიდგინეთ, გამოჩერჩეტებული მოხუცი იწყებდა იმაზე ოცნებას, რომ გრძნეული ქალი შეიყვარებდა მას. ეს, ალბათ, იმ ორი გადაკრული ჭიქისა და მისი საუკეთესო სამოსის დამსახურება უნდა ყოფილიყო, ანდა იმისი, რომ ფარშევანგივით პატივმოყვარე იყო. სწორედ ამიტომ გახდა ის ჯადოქარი.

მან გააღო კარი, ჩაიარა კიბეები, მოსამსახურე კების მოსაყვანად გაგზავნა (იმხანად ყველას უამრავი მსახური ჰყავდა) და სასტუმრო ოთახში შეიხედა. იქ, როგორც მოსალოდნელი იყო, დეიდა ლეტი დაუხვდა. ის ლეიბის დალიანდაგებით იყო გართული. ლეიბი ძირს, იატაკზე იდო საკრმელთან. დეიდა ლეტი მასზე იდგა მუხლებით.

– ლეტიცია, ჩემო კარგო, – თქვა ძია ენდრიუმ, – მე გარეთ უნდა გავიდე. ხუთიოდე ფუნტი მასესხე რა! ერთი კარგი გოგო მეგულება.

– არა, ენდრიუ, ძვირფასო, – მტკიცე და მშვიდი ხმით თქვა დეიდა ლეტიმ, ისე, რომ თავი არ აუღია სამუშაოდან. – მე შენთვის მრავალჯერა მაქვს ნათქვამი: მე შენ ფულს არ გასესხებ-მეთქი.

– გეხვეწები, ნუ დაიწყებ ჭირვეულობას, ჩემი ძვირფასი გოგო, – თქვა ძია ენდრიუმ. – ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. მეტისმეტად საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდებ, თუ არ მომცემ.

– ენდრიუ, – თქვა დეიდა ლეტიმ და მას სახეში შეხედა, – ნუთუ არ გრცხვენია, მე რომ ფულსა მთხოვ.

ამ სიტყვების მიღმა იმალებოდა გრძელი და დიდი ამბავი. ის, რაც თქვენ შეიძლება იცოდეთ ამის შესახებ ის არის, რომ ძია ენდრიუ დეიდა ლეტის კისერზე ცხოვრობდა, არ მუშაობდა, კონიაკსა და სიგარებისთვის მის მიერ გახსნილმა დიდმა ანგარიშმა (რომელსაც ერთთავად დეიდა ლეტი იხდიდა) ქალი იმაზე მეტად გააღარიბა, ვიდრე ის ოცდაათი წლის წინათ იყო.

– ჩემი ძვირფასი გოგო, – თქვა ძია ენდრიუმ, – შენ არ გესმის. მე დღეს საკმაოდ მოულოდნელი ხარჯი უნდა გავწიო. მე ერთი პატარა მიღება უნდა გავმართო. მოდი, ნუ დამღლი რა ხვეწნით!

– გეხვეწები, მითხარი, აბა, ვინ უნდა მიიღო? – ჰკითხა დეიდა ლეტიმ.

– ეს-ესაა ერთი ძალიან გამორჩეული სტუმარი მეწვია.

– ტყუილი! – თქვა დეიდა ლეტიმ. – ერთი საათია, რაც ზარი არავის დაურეკია.

უცებ კარი მოულოდნელად გაიღო. დეიდა ლეტიმ გაიხედა და გაოცებულმა უზარმაზარი დიდებულად შემოსილი, მკლავებმოშიშვლებული და თვალებელვარე ქალი დაინახა შემოსასვლელში. ეს გრძნეული ქალი იყო.

რა მოხდა სახლწინ

– მონავ, რამდენ სანს უნდა ვუცადო ჩემს ეტლს? – დაიღრიალა გრძნეულმა. მისი შიშით ძია ენდრიუ მოიკუნტა. ახლა, როცა გრძნეული აქ იყო, ძია ენდრიუს ყველა ის სულელური აზრი, რომელიც სარკეში ყურებისას თავში უტრიალებდა, ერთიანად დაეკარგა. მაგრამ დეიდა ლეტი მაშინვე წამოდგა და შუა ოთახში გაჩერდა.

– შეიძლება გკითხოთ, ენდრიუ, ვინ არის ეს ახალგაზრდა ქალი? – ცივად იკითხა დეიდა ლეტიმ.

– გამოჩენილი უცხოელი... ძალიან მნიშვნელოვანი პ-პ-პიროვნება, – ენის ბორძიკითა თქვა ძია ენდრიუმ.

– ტყუილი! – თქვა დეიდა ლეტიმ და გრძნეულ ქალს მიუბრუნდა, – ახლავე დაიკარგე ჩემი სახლიდან, შე უსირცხვილო მეძაო, სანამ პოლიცია არ მომიხმია! – დეიდა ლეტის ის გრძნეული ცირკის მსახიობი ეგონა, თანაც მას არ მოსწონდა შიშველი მკლავები.

– ვინ არის ეს ქალი? – თქვა ჯადისმა. – დაიჩოქე მუხლებზე, უბედურო, სანამ შემიჩვენებიხარ!

– გთხოვ, ამ სასლში უახმსი სიტყვები არ გამაგონო, – თქვა დეიდა ლეტიმ.

უცებ ძია ენდრიუს მოეჩვენა, რომ დედოფალი კიდევ უფრო გამაღლდა. ის თვალებიდან ცეცხლებსა ჰყრიდა. დედოფალმა ზუსტად ისე გაიწოდა ხელი და ზუსტად ის ავადმყოფერი სიტყვები წარმოთქვა, რომლებმაც ცოტა ხნის წინ გააცამტვერეს ჩარნის სასახლის კარიპჭეები. მაგრამ არაფერი არ მომხდარა, ერთი ის იყო, დეიდა ლეტიმ, რომელსაც ეგონა, რომ გრძნეულს ჩვეულებრივი ინგლისური სიტყვების თქმა უნდა და ვერ ახერხებსო, ბუზღუნით ჩაილაპარაკა:

– ასეც ვიცოდი, ეს ქალი მთვრალია, მთვრალი! პირში ენა აღარა აქვს!

გრძნეულისათვის საშინელი უნდა ყოფილიყო ის წუთები, როდესაც მოულოდნელად მიხვდა, რომ ხალხის გამაცამტვე-

რებელი ძალა, რომელიც თავის საკუთარ სამყაროში მშვენივრად მოქმედებდა, ამ სამყაროში უკვე აღარ სჭრიდა, მაგრამ მან წამითაც არ შეიმჩნია აღელვება. თავის მარცხზე ფიქრში დრო რომ არ დაეხარჯა, წინ გამოიჭრა, დეიდა ლეტის კისერსა და მუხლებზე შემოსვია ხელი, მალლა ასწია და თოჯინასავით მოისროლა. დეიდა ლეტი ჰაერში მიფრინავდა, რო-

დესაც მსახურმა გოგომ (რომელსაც ბედმა ის საოცრად ხალისიანი დღე აჩუქა) თქვა:

– უკაცრავად, სერ, ეტლი მოვიდა.

– მონავ, გამიძეხი, – უთხრა გრძნეულმა ძია ენდრიუს. ძია ენდრიუმ ბურტყუნი დაიწყო:

– ეს ძალადობაა!.. მე პროტესტს ვაცხადებ! – მაგრამ როგორც კი ერთი თვალი შეაელო ჯადისს, მაშინვე ენა ჩაუ-

ვარდა. დედოფალმა გაიყოლია ის ჯერ ოთახიდან და მერე სახლიდან. დიგორი კიბეებზე ჩამორბოდა როდესაც მათ კარი გაიხურეს.

– უჰ! – თქვა მან. – ახლა დედოფალი ლონდონში დანავარდობს. თანაც ძია ენდრიუსთან ერთად. ვინ იცის, რა ამბები დატრიალდება ახლა მიწაზე.

– უჰ, მისტერ დიგორი, – თქვა მოახლემ (რამელსაც, მართლაც, მშვენიერი დღე გაუთენდა), – მის კეტერლიმ, ვგონებ, რაღაც იტკინა.

დიგორი და მოახლე სასტუმრო ოთახში შეცვივდნენ, რათა ენახათ, რა მოხდა.

დეიდა ლეტი პირდაპირ იატაკზე, ანდა ხალიჩაზე რომ დაცემულიყო, ალბათ, არცერთი ძვალი არ შერჩებოდა მთელი, მაგრამ ბედად ის ლეიბზე დაეცა. დეიდა ლეტი ძალიან ყოჩაღი მოხუცი იყო (იმ დროს დეიდები ხშირად ასეთები იყვნენ). დეიდა ლეტიმ ჯერ ნიშადურის სპირტი იყნოსა, რამოდენიმე წუთი მშვიდად იჯდა, მერე კი ხმა ამოიღო და თქვა, რომ რამოდენიმე დალილავებულის მეტი სხვა არაფერი სჭირდა. სულ მალე ის ვითარებას დაეუფლა.

– სარა, – უთხრა მან მოახლეს (რომელსაც ამისთანა დღე მანამდე არ ახსოვდა), – ახლავე შეიარე პოლიციის საგუშაგოში და შეატყობინე, რომ თავის ნებაზეა გაშვებული ერთი სახიფათო, შეშლილი ადამიანი. მისის კირკის სადილს მე თვითონ ავუტანი. მისის კირკი, რა თქმა უნდა, დიგორის დედა იყო.

დიგორიმ და დეიდა ლეტიმ დედას სადილი მიუტანეს, მერე კი თვითონაც ისადილეს. ამის შემდეგ დიგორიმ მძიმე ფიქრებს მისცა თავი.

საფიქრალი კი ის იყო, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხერხებულიყო გრძნეული ქალის საკუთარ სამყაროში დაბრუნება, ანდა როგორმე (სულ ცოტა) ჩვენი სამყაროდან გაძევება. რაც არ უნდა მომხდარიყო, მისთვის არ უნდა დაენებებინათ სახლის აკლება. დედას არ უნდა ენახა ის და, თუ მოხერხდებოდა, მისთვის არც ლონდონის აკლება უნდა დაე-

ნებებინათ. დიგორი სასტუმრო ოთახში არ იყო, როდესაც გრძნეულმა დეიდა ლეტის „დაწყევლა“ სცადა, მაგრამ მას ნანახი ჰქონდა გრძნეულის მიერ „დარისხებული“ ჩარნის კარიბჭეები. ამრიგად, დიგორიმ იცოდა რა საშინელი ძალის პატრონი იყო გრძნეული, მაგრამ ის არ იცოდა, რომ ჩვენს სამყაროში მოსვლისთანავე მას წაერთვა ის ძალა. დიგორიმ ისიც იცოდა, რომ გრძნეული ჩვენი სამყაროს დაპყრობას აპირებდა. იმ წუთებში დიგორის ეგონა დედოფალი ახლა, ალბათ, ან ბუკინგემის სასახლეს სწყევლის ან პარლამენტის სახლებსო. და თითქმის ეჭვი აღარც იყო, რომ უამრავი პოლიციელი დედოფალს მტვრის გროვად ეყოლებოდა ნაქცევი. დიგორიმ აღარ იცოდა რა ეღონა. „თითქოს ბეჭდები მაგნიტივით მოქმედებს,“ – ფიქრობდა დიგორი, – „მე რომ მოვახერხო და დედოფალს მივეკარო და თან ყვითელი ბეჭედი წამოვიცვა თითზე, ორთავენი სამყაროთა შორის მოქცეულ ტყეში ამოვყოფთ თავს. ნეტა ისევ თუ მოდუნდება დედოფალი იმ ტყეში? ნეტავ ის ადგილი იყო მავნე დედოფლისთვის, თუ თავისი სამყაროდან ამოყვანამ გამოიწვია იქ მისი შოკი? ვგონებ მე უნდა გავრისკო და ასე მოვიქცე. მერე და, როგორ მივაგნო იმ მხეცს? თანაც, თუ არ ვუთხარი სად მივდივარ, არა მგონია დეიდა ლეტიმ გარეთ გამიშვას. ორი პენსის მეტი ფული არა მაქვს. მთელ ლონდონში თუ დავუწყე მას ძებნა, ავტობუსებისა და ტრამვაის ფული დამჭირდება. ასეა თუ ისე, მე ერთი ბეწო იმედიც არა მაქვს, რომ ვიპოვნი. ნეტა ძია ენდრიუ თან ახლავს მას?“

დიგორის ისღა დარჩენოდა, დაეცადა იმ იმედით, რომ ძია ენდრიუ და გრძნეული უკან დაბრუნდებოდნენ. თუ მართლა დაბრუნდებოდნენ, ის შინიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდებოდა, გრძნეულს შეაფრინდებოდა და ხელზე მანამ წამოიცმევდა ყვითელ ბეჭედს, სანამ დედოფალი სახლში შემოსვლას შეძლებდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას შემოსასვლელი კარისთვის ისე უნდა ედარაჯა, როგორც კატა ყარაულობს თაგვის სოროს, მას წამითაც არ უნდა მიეტოვებინა საყარაულო. ის შევიდა სასადილო ოთახში და, როგორც იტყვიან,

სახით აეკრა სარკმელს. ამ სარკმლიდან კარგად მოჩანდა შემოსასვლელი კარის კიბეები და ქუჩა. ამდენად შემოსასვლელ კართან შეუმჩნეველად ვერავინ მოვიდოდა. „ნეტა პოლი ახლა რას აკეთებს?“– ფიქრობდა დიგორი.

თითქმის კარგი ნახევარი საათი ამაზე ფიქრში გაატარა, მაგრამ თქვენ ამაზე ტვინის ჭყლეტა არ დაგჭირდებათ, რადგან ეს ახლა უნდა გიამბოთ. პოლი შინ სადილზე დაგვიანებული მივიდა, ფესსაცმელები და წინდები მთლად სველი ჰქონდა. როცა ჭკითხეს, სად იყავი და მიწაზე რას აკეთებდიო, მან უთხრა, რომ დიგორი კირკთან ერთად გარეთ იყო გასული. მერე, როცა ჭკითხეს, ფესები სად დაისველეო, მან მიუგო, წყლის გუბეშიო, გუბე ტყეში იყოო. ის ტყე სად იყოო, რომ ჭკითხეს, მან მიუგო, არ ვიციო. რომელიმე პარკი თუ იყოო? – ჭკითხეს. პარკისნაირი იყოო, – მიუგო. ყოველივე ამის საფუძველზე პოლის დედამ დაასკვნა, რომ პოლი დაუკითხავად ლონდონის მისთვის უცნობ ნაწილში წავიდა, რომელიღაც უცხო პარკში შევიდა და გუბეებში იხტუნავა. ამის გამო ის დატუქსეს და უთხრეს, რომ, თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდებოდა, იმ „კირკის ბიჭთან“ სათამაშოდ აღარ გაუშვებდნენ. მერე მორჩენილი ნუგბრით ასადილეს და, არც მეტი, არც ნაკლები, ორი საათით საწოლ ოთახში შესვლა უბრძანეს. (იმ დროს ასეთი რამ მიღებული იყო).

ასე რომ, სანამ დიგორი სასადილო ოთახის სარკმლიდან გაფაციცებით იყურებოდა, პოლი ლოგინში კოტრიალობდა. ორივე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ საშინლად ნელა მიიზლაზნებოდა დრო. მე იმ ორთაგან თვითონ პოლის დღეში ყოფნას ვამჯობინებდი. მას მხოლოდ იმისთვის უნდა დაეცადა, როდის გავიდოდა ის ორი საათი.

ყოველ რამოდენიმე წუთში ერთხელ, როგორც კი კების, მეფუნთუშის ფურგონის, ან შემოსახვევიდან მომავალი ყასბის ბიჭის ხმა შემოესმებოდა, დიგორის ეგონა, დედოფალი მოდისო, მაგრამ მერე აღმოჩნდებოდა, რომ ის არ იყო. პერიოდს იმედის გაცრუებიდან იმედის გაცრუებამდე, რომელიც საათებად ეჩვენებოდა დიგორის, ავსებდა საათის წიკ-წიკი და დიდი

ბუზის ბზუილი, რომელიც მაღლა, მიუწვდომელ სიმაღლეზე, ეხათქუნებოდა სარკმლის მინას. ის იყო ერთ-ერთი იმ სახლთაგანი, რომელიც ნაშუადღევს ძალიან წყნარი და უღიმღამო ხდება და, რომელშიც ყოველთვის ცხვრის ხორცის სუნი ტრიალებს.

ვიდრე დიგორი სარკმლიდან იყურებოდა და იცდიდა, ერთი პატარა რამ მოხდა. მე მასზე უნდა გიამბოთ, რადგან მან მოგვიანებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: ვიღაცა ქალმა დიგორის დედისთვის ყურძენი მოიტანა. რაკი სასადილო ოთახის კარი ღია იყო, დიგორიმ უნებლიედ მოისმინა, რას ლაპარაკობდნენ დეიდა ლეტი და ის ქალი.

– რა მშვენიერი ყურძენია! – გაისმა დეიდა ლეტის ხმა. – დარწმუნებული ვარ, რამეს რომ შეეძლოს მისი შველა, ეს ყურძენი უშველიდა. მაგრამ საწყალი პატარა მეიბელი! მას თუ რამე უშველის, სიჭაბუკის ქვეყნის ნაყოფმა უნდა უშველოს. ჩვენს სამყაროში მას უკვე ვეღარაფერი არგებს. მერე ორივემ უფრო ხმადაბლა გააგრძელეს საუბარი და ბევრი სხვა რამ ილაპარაკეს, მაგრამ დიგორიმ ვეღარა გაიგონა რა.

რამოდენიმე დღის წინ რომ გაეგონა სიჭაბუკის ქვეყნის ამბავი ის იფიქრებდა, რომ დეიდა ლეტი უბრალოდ ანგარიშმიუცემლად ლაპარაკობდა, როგორც ეს დიდებს სჩვევიათ, და ეს მას არ დააინტერესებდა. მან ახლაც ლამის არის ასე იფიქრა, მაგრამ უცებ გონება გაუცისკროვნა იმ აზრმა, რომ მან ახლა უკვე იცოდა სხვა სამყაროების ამბავი (თუმც დეიდა ლეტიმ არ იცოდა), ერთ-ერთი მათგანი ხომ მან თავად მოინახულა. ყოველ შემთხვევაში საღმე შეიძლებოდა ყოფილიყო სიჭაბუკის ქვეყანა. იქ შეიძლებოდა მართლაც თითქმის ყველაფერი იშოვებოდეს, შეიძლება მართლა არსებობდეს სხვა სამყაროში ისეთი ხილი, რომელიც მის დედას განკურნავდა! და... თქვენ იცით, როგორი გრძნობა გეუფლება, როცა ისეთი რამის მიღწევის იმედი გესახება გულში, რაც უკიდურესად გჭირდება. შენ თითქმის ებრძვი ამ იმედს, რადგან ის მეტისმეტად კარგია საიმისოდ, რომ გაგიმართლდეს, თანაც შენ აქამდე არაერთხელ გაგცრუებია იმედი. დიგორის სწორედ

ასეთი გრძნობა დაეუფლა. იმ იმედის ჩაკვლა არ ივარგებდა. იქნებ ის მართლაც გამართლებულიყო. უკვე იმდენი უჩვეულო რამ მოხდა მისთვის! ჯადოსნური ბეჭდებიც ხომ ჰქონდა. მაგრამ ხომ უნდა ყოფილიყო სამყაროები, რომლებშიც ტყეში მოქცეული თითოეული გუბიდან შესაძლებელი იქნებოდა მოხვედრა. დიგორის შეეძლო ყველა მათგანი მოესინჯა. და მერე... დედა ისევ კარგად გასდებოდა. ყველაფერი მოგვარდებოდა, მას სულ დაავიწყდა, რომ გრძნეულ ქალს ჩაუსაფრდა. უკვე ყვითელი ბეჭდის ჯიბისკენ მიჰქონდა ხელი, როდესაც ფლოქვების თქარა-თქური შემოესმა.

– ვა! ეს რა არის? – გაიფიქრა დიგორიმ. – სახანძრო დახმარება? ნეტა ვისი სახლი უნდა იწვოდეს? ღმერთო ჩემო, ის აქეთ მოდის! ეს ხომ ის არის!

მე აღარ გეტყვით თუ „ის“ ვინ იყო. ჯერ კები გამოჩნდა. მეეტლის სკამზე არავინ იჯდა. კების სახურავზე კი არ იჯდა, არამედ ფეხზე წამომდგარიყო ჯადისი, დედოფალთ დედოფალი, რისხვა ჩარნისა. მან ჰაერში აწეული ცალი ბორბლით, მთელი სისწრაფით შემოაგელვა ეტლი მოსახვევში. დედოფალს კბილები უპრიალებდა, თვალები ცეცხლივით უბრიალებდა და კომეტის კუდივით გაშლოდა უკან ვრძელი თმები. ის ცხენს უმოწყალოდ უტყლაშუნებდა მათრახს. ცხენს დაბერილი ნესტოები დასწითლებოდა და პირიდან ქაფი სდიოდა. ცხენი შემოსასვლელი კარისკენ გიჟივით გაექანა, საფარნე ბოძს ერთი გოჯით ასცდა და მერე ყალყზე შედგა. ეტლი საფარნე ბოძს შეასცდა და ნაწილებად დაიშალა. გრძნეულმა მოასწრო მარჯვედ გადმომხტარიყო ეტლიდან და ცხენს ზურგზე მოქცეოდა. ცხენის ზურგზე მოქცეული დედოფალი წინ გადაიხარა და პირუტყვს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ეს ცხენის დასამშვიდებლად კი არა, არამედ გასაგიჟებლად უნდა ყოფილიყო გამიზნული. ხელად ცხენი ისევ ყალყზე შედგა და ისეთი დაიჭიხვინა, გეგონებოდათ კივისო. ის ფლოქვებიან, კბილებიან, თვალებიან და ჩამოყრილ ფაფარიანად გადაირია. მხოლოდ ბრწყინვალე მხედარი თუ შეძლებდა, რომ თავი შეემაგრებინა და იმ ცხენიდან არ ჩამოვარდნილიყო.

ვიდრე დიგორი ერთს ამოიოსრებდა, დიდი ამბები დატრიალდა. დედოფლის ეტლს მეორე ეტლი მოჰყვა კვალდაკვალ. იქიდან გადმოსტნენ ფრაკიანი, მსუქანი კაცი და პოლიციელი. მერე მესამე ეტლით ორი პოლიციელი მოვიდა. მესამე ეტლს მოჰყვა ველოსიპედებზე გადამჯდარი ოციოდე კაცი (ძირითადად შიკრიკი ბიჭები) ბარების წკარუნით, ყრიამულითა და სტვენით, სულ ბოლოს ფეხით მოსიარულეთა ბრბოც მოვიდა

— ყოველი მათგანი სირბილით იყო დაღლილი, მაგრამ აშკარად ხალისიანად გამოიყურებოდნენ. ქუჩაზე ყველა სახლის სარკმელი მიიხურა. თითოეული შესასვლელის წინ ან მოასლე გამოვიდა, ან მსახური. ყველას სანახაობის სილვა სურდა.

ამასობაში ერთი მოხუცი კაცი პირველი ეტლის ნამსხვრევებიდან გამოძრომას ცდილობდა. ხალხი დასახმარებლად მისცვივდა მას. ერთი აქეთ ეწეოდა, მეორე — იქით, ალბათ, ისინი რომ არა, ის მოხუცი თავისით უფრო მალე გამოძვრებოდა. დიგორი მიხვდა, რომ ის მოხუცი კაცი ძია ენდრიუ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას სახე არ უჩანდა. მას სახეზე ცილინდრი ჰქონდა ჩამოფხატული.

დიგორი კარში გამოვარდა და ხალხში შეერია.

– აგერ, ის ქალი! ის ქალი! – იყვირა მსუქანმა კაცმა და ხელი ჯადისისკენ გაიშვირა. – გაიკეთეთ, რაც გევალებათ, კონსტებელ! მან ჩემი მაღაზიიდან ასობით და ათასობით ფუნტის ღირებულების საქონელი გაიტაცა. აგერ, ყელზე რომ მარგალიტის ძაძი ჰკიდია, ჩემია. უფრო მეტიც, მაგ ლედაკაცმა თვალიც კი ჩამილილავა!

– სწორეა! სწორედ ეგ არის! – დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან. – ამისთანა ჩალილავებული თვალის ნახვას მხოლოდ

თუ ინატრებ. გვარიანად მოსვედრია! ვაჰ, ეგ რა ქალი ყოფილა! – მისტერ, დალურჯებულმე ძროხის უმი სორცი უნდა დაიდოთ, ძალიან მოუსდება, – თქვა ყასბის ბიჭმა.

– ვერ გამიგია, რა ამბავია აქ? – თქვა უფროსმა პოლიციელმა.

– სომ გეუბნებით, მაგ ქალმა... – დაიწყო მსუქანმა კაცმა, მაგრამ უცებ ვიღაცამ იყვირა:

– არ გაუშვათ ეგ მოხუცი კაცი, ეტლში რომ იჯდა. მან ჩაისვა ის ქალი ეტლში. ის მოხუცი კაცი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ძია ენდრიუ იყო, ესაა ფეხზე წამომდგარიყო და ჩასისხლიანებულ ადგილებს იწმენდდა.

– რა ხდება აქ? – მიუბრუნდა მას პოლიციელი.

– უომფლი – პომფი – შომფი! – მოისმა ძია ენდრიუს ხმა ცილინდრის ქვეშიდან.

– რას ოსუნჯობ? ახლა მაგის დრო არ არის! – მკაცრად თქვა პოლიციელმა. – სასაცილო აქ არაფერია, ახლავე მოიხადეთ ეგ ცილინდრი, გესმით!

ეს სათქმელად იოლი იყო და გასაკეთებლად – ძნელი. ერთხანს ძია ენდრიუ ეჯაჯგურა თავის ცილინდრს, მაგრამ ვერას გახდა. მერე ორმა პოლიციელმა ქუდის ფარფლებში ჩაავლო ხელი და ძალის-ძალაობით ააგლიჯა.

გმადლობთ, გმადლობთ, – სუსტი ხმით თქვა ძია ენდრიუმ. – გმადლობთ. ღმერთო ჩემო, ეს რა საშინლად მოვიფურტკნე. ნეტა ვინმე ერთი პატარა ჭიქით ბრენდს დამალევინებდეს...

– ახლა, თუ შეიძლება, ყური დამიგდეთ, – თქვა პოლიციელმა და ძალიან დიდი დავთარი და ძალიან პატარა ფანქარი ამოიღო. – ამ ახალგაზრდა ქალს თქვენ პატრონობთ?

– ფრთხილად! – რამოდენიმე კაცმა ერთად იყვირა და პოლიციელმა დროულად მოასწრო უკან გადახტომა. ცხენმა პოლიციელს ისეთი ტლინკები ესროლა, რომ მოხვედროდა, იქვე სულს გააფრთხობინებდა. გრძნეულმა ცხენი მოაბრუნა და პირი ხალხისაკენ ქნა. ცხენი უკანა ფეხებით ტროტუარზე იდგა. ქალს ხელში გრძელი, პრიალა ბებუთი ეჭირა და ფაციფუცით დამსხვრეული ეტლიდან ათავისუფლებდა ცხენს.

ამ დროს დიგორი ცდილობდა ისეთ ადგილას მოხვედრილიყო, რომ გრძნეულისთვის ხელის შეხება შესძლებოდა. ეს კი სულაც არ იყო იოლი, რადგან ბიჭის მხარეს ხალხი ჯგროდ იდგა. იმისთვის, რომ მეორე მხარეს გადასულიყო, ცხენის ფლოქვებსა და იმ ღობეს შუა უნდა გამძვრალიყო, რომელიც კეტერლების სახლს ჰქონდა შემოვლებული.

თუ თქვენ ცხენებისა რამე გაგეგებათ – მეტადრე, ნანახი თუ გექნებოდათ, რა მდგომარეობაში იყო იმ დროს ის ცხენი, მიხვდებოდით, რომ ამის გაკეთება ძნელ საქმეს წარმოადგენდა. დიგორიმ ბევრი რამ იცოდა ცხენებზე, მაგრამ მან გული გაიმაგრა და მოემზადა, რომ, როგორც კი მარჯვე დროს იხელთებდა, ზედ მიჰფრენოდა ცხენს.

წითურმა კაცმა ხალხის წინ გასასველელი გზა მხრებით გაუკვალა დიგორის.

– აქეთ, პოლიციელო! თქვა მან, – ის ცხენი, ქალი რომ ზის, ჩემია, ის კებიც, ქალმა რომ ნამსხვრევებად აქცია, მე მეკუთვნის.

– რიგ-რიგობით, თუ შეიძლება, რიგ-რიგობით, – თქვა პოლიციელმა.

– მერედა დრო აღარ ითმენს! – თქვა მეეტლემ. – მე მაგ ცხენს თქვენზე უკეთ ვიცნობ. ეგ უბრალო ცხენი არ გეგონოთ. მისი მამა ოფიცრის ცხენი იყო კავალერიაში. ეს ასალგაზრდა ქალი, თუ მას გაამწარებს, მკვლელობა მოხდება. ბატონო, მიმიშვით მასთან.

პოლიციელს გაეხარდა კიდეც, რომ ცხენისაგან შორს წასელის მიზეზი მიეცა. მეეტლე ნაბიჯით მიუახლოვდა ცხენს, ჯადისს ახედა და უკმეხი ხმით მიმართა:

– ასლა, მის, ნება მიბოძეთ, ცხენს სადაეში წავავლო ხელი, თქვენ კი გადმობრძანდით ცხენიდან. თქვენ ქალბატონი ბრძანდებით და რად გინდათ, რომ უსიამოვნება შეგემთხვეთ, ხომ ასეა? თქვენთვის ასლა საჭიროა შინ წახვიდეთ, ერთი მშვენიერი ჩაი მიირთვათ და მშვიდად წამოწვეთ. მერე თქვენ თავს ბევრად უკეთ იგრძნობთ. – მან ხელი გაიწოდა ცხენის თავისკენ და თან ეს სიტყვები მიაყოლა: – დამშვიდდი, მარწყვავ, მოხუცო ბიჭო, კარგი, დამშვიდდი.

მაშინ პირველად ამოიღო სმა ერძნეულმა.

– ძაღლო! – გაისმა მისი ცივი ხმა, რომელმაც ხალხის ხმაური გადაფარა. – ძაღლო, ხელი გაუშვი სამეფო ბედაურს. მე ვარ დედოფალი ჯადისი!

თავი მერვე

დაკა-დაკა ლამპიონის ბოძთან

– მაშ, იმპერატრიცა ბრძანდებით, არა? ახლა ჩვენ ვიცით! – გაისმა ვიღაცის ხმა. მერე სხვა ვიღაცის ხმაც მოჰყვა:

– სამმაგად გაუმარჯოს აჩლა-ჩუჩლეთის დიდ დედოფალს!

ამ ხმას ბლომად ხალხი აჰყვა. ჯადოქრის სახეს ალმურმა გადაჰკრა. მან მდაბლად დაუკრა თავი გარშემო მყოფთ. გამარჯვების შეძახილები საყოველთაო ხარხარში დაინთქა. გრძნეული მიხვდა, რომ მასხრად იგდებდნენ. გამომეტყველება შეიცვალა და დანა მარცხენა ხელში გადაიტანა. მერე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ენით აუწერელი საშინელება მოიმოქმედა. თითქოს აქ არაფერიაო, ლაღად და მსუბუქად მარჯვენა ხელით ლამპიონის ბოძს გადასწვდა და რკინის კეტი მოამტვრია. მას ჯადოსნური ძალა კი ჰქონდა გამოცლილი ჩვენს სამყაროში, მაგრამ ხელში საკუთარი ძალა როდი ჰქონდა დაკარგული. მას შეეძლო რკინის კეტები შაქარყინულივით დაემსხვრია. გრძნეულმა თავისი ახალი იარაღი ჰაერში შეათამაშა, მოიქნია და ცხენი წინ გააფრთხო. ის გაძვრა ცხენსა და ღობეს შორის. დიგორი წინ-წინ მიიწევდა. საკმარისი იყო ცხენი წამით შემდგარიყო, რომ ბიჭი შეძლებდა გრძნეულს ქუსლში სწვდომოდა. ამ გაწამაწიაში ზემოდან ლაწა-ლუწის ხმა შემოესმა. თურმე გრძნეულმა რკინის კეტი გადაუჭირა პოლიციელის ჩაჩქანს. კაცი სარივით გადაყირავდა.

– მიდი, დიგორი, ეს უნდა გავაჩეროთ! – ჩასძახა ვიღაცის ხმამ ყურში. ეს პოლი იყო, რომელიც მაშინვე აქეთ გამოიქცა, როგორც კი ლოგინიდან ადგომის ნება მისცეს.

– შენზეა ახლა! – თქვა დიგორიმ. – მაგრად მომეჭიდე. ბეჭედს შენ უნდა მიხედო. ყვითელი ბეჭედი, არ დაგავიწყდეს! მანამ არ გაიცეთო, სანამ მე არ დაგიძახო!

კიდევ ერთი ლაწანი გაისმა და მეორე პოლიციელი გადაყირავდა. განრისხებულმა ბრბომ იღრიალა: „გადმოითრიეთ ეგ დედაკაცი! ქვები მოიტანეთ! ჯარს დაუძახეთ!“

ხალხის უმეტესობამ გაქცევით უშველა თავს. მეეტლე, რო-

მელიც იქ მყოფთაგან ყველაზე უშიშარი და კეთილი კაცი ჩანდა, ცხენს არ შორდებოდა. ის ხან აქეთ გაიწევდა, ხან იქით, რათა მოქნეული რკინის კეტი აერიდებინა, თან ცდილობდა აღვირში სწვდომოდა მარწყვას.

ბრბომ კვლავ იხუვლა და გნიასი დაიწყო. დიგორის თავზე წუწუნით გადაუფრინა ქვამ. მერე ჯადოქრის ხმა გაისმა, დიდი ზარის ხმასავით მკაფიო. მის ხმაში ახლა პირველად შეიმჩნეოდა კმაყოფილება:

– დამაცათ, ძვირად დაგისვამთ ამ კადნიერებას, როცა თქვენს სამყაროს დავიპყრობ! თქვენს ქალაქში ქვა ქვაზე არ დარჩება! მე მას ჩარნის, ფელინდას, სორლუასის და ბრამანდინის ბედსა ვწევ!

დიგორი, როგორც იქნა, ქუსლში სწვდა გრძნეულს. ქალმა უკან დაიქნია ფეხი და ბიჭს სახეში ჩააბილა. სიმწრისაგან ბიჭმა ქუსლზე ხელი გაუშვა. გახეთქილი ტუჩიდან წამსცდარი სისხლით ბიჭს პირი გაევსო. მასთან სულ ახლოს ძია ენდრიუს ხმა გაისმა:

– მადამ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ღვთის გულისათვის, დამშვიდდით!

დიგორიმ კიდევ ერთხელ სცადა ქუსლში სწვდომოდა ქალს, მაგრამ კვლავ უკან გადავარდა. რკინის კეტითაც პანტა-პუნტით ცვიოდა ხალხი. ბიჭი მესამედ წასწვდა გრძნეულს. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ქუსლში ჩააფრინდა და პოლის დასძახა:

– მიდი!

ამის თქმა იყო და, მადლობა ღმერთს, გაავებული და დამფრთხალი სახეები გაუჩინარდა. გაავებული და დამფრთხალი ხმები მიწყდა, გარდა ძია ენდრიუს ხმისა. სადღაც დიგორთან ახლოს ბუტბუტებდა ის:

– ეს რა არის? მოჩვენებაა? ნუთუ ეს აღსასრულია? მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ეს უსამართლობაა. მე არასდროს მსურდა ჯადოქრობა. ეს გაუგებრობაა. ეს სულ ჩემი ნათლიდედის ბრალია. მე ამას ასე არ დავტოვებ. ჩემი ჯანმრთელობაც ხომ ანგარიშშია ჩასაგდები. მე ძველი დორსეტშაიარის ოჯახის წარმომადგენელი. ვარ.

„ჯანდაბა!“ – გაიფიქრა დიგორიმ. – „ჩვენ ხომ სულაც არ გვინდოდა მაგისი წამოყვანა. ეს რა დომხალი გამოგვივიდა!“

– პოლი, შენ აქა ·ხარ?

– ხო, ხო, მე აქა ვარ. გეყოფა, ნუღარ ბუზღუნებ!

– არ ვბუზღუნებ. – დაიწყო დიგორიმ თავის მართლება, მაგრამ ვიდრე სხვა რამეს იტყოდა, მათ თავი ამოყვეს ტყის თბილსა და მწვანე სხივებში. როდესაც ისინი გუბიდან ამოვიდნენ პოლიმ იყვირა:

– უი, ნახე ჩვენ ის ბებერი ცხენი თან წამოგვიყვანია, მისტერ ქეთერლიც, მეეტლეც. სულ აქ შეკრებილან.

როგორც კი გრძნეულმა დაინახა, რომ კვლავ ნაცნობ ტყეში იყო, გაფითრდა და ისე ჩაღუნა თავი, რომ სახე ცხენის ფაფარს შეახო. აშკარად შეამჩნევდით, რომ ქალი თავს საშინლად გრძნობდა. ძია ენდრიუ ცახცახებდა. რაც შეეხება მარწყვას, მან თავი შეარხია და ხალისიანად დაიჭიხვინა. აქ მან თავი უკეთ იგრძნო. მას შემდეგ, რაც ის დიგორიმ ნახა, პირველად დაცხრა და დამშვიდდა. მის თავის ქალაზე ჩამოყრილი ყურები, როგორც წესია, კვლავ ისე წამოიცქვიტა. ის ცეცხლიც გაუქრა ცხენს რომელსაც თვალებიდან აფრქვევდა.

– ეგ არაფერი, ბიჭო, არაფერი. – თქვა მეეტლემ და მარწყვას კისერზე მოუტყაპუნა ხელი, – ახლა არა გვიშავს რა, დამშვიდდი!

მარწყვა სრულებით ბუნებრივად მოიქცა. ის ძალიან მოწყურებული იყო (რაც გასაკვირი არც არის) და ამიტომ ნელა მიუახლოვდა ყველაზე ახლოს მდებარე გუბეს, ფეხები შიგ ჩადგა და თავი დახარა, რომ წყალს დაწაფებოდა. დიგორი კვლავ დედოფლის ქუსლს ებღაუჭებოდა. პოლის კი დიგორიზე ეკიდა ხელი. მეეტლეს ცალი ხელი მარწყვაზე ჰქონდა შემოხვეული. ძია ენდრიუ კი, რომელიც კვლავ ცახცახებდა, მეეტლის მეორე ხელს ეჭიდებოდა.

– ჩქარა! – თქვა პოლიმ და დიგორის გახედა. – მწვანე ბეჭდები!

საწყალ ცხენს წყლისთვის პირი ჯერ არ დაეკარებინა, რომ

ყველანი ბნელში ჩაიძირნენ. მარწყვამ დაიხვიხვინა. ძია ენდრიუმ დაიცვნესა. დიგორიმ კი ჩაილაპარაკა:

– ცოტა არ იყოს გაგვიმართლა!

მცირე პაუზის შემდეგ პოლიმ კვლავ ამოიდგა ენა:

– წესით უკვე ადგილზე არ უნდა ვიყოთ?

– თითქოს სადღაც უკვე მოვედით, – თქვა დიგორიმ. – ასეა თუ ისე, რაღაცა მყარზე კი ვდგავარ.

– მეც ეგრე მგონია, – თქვა პოლიმ, – მაგრამ რატომ ბნელა აქ? მე იმას ვამბობ, შეცდომით სხვა გუბეში ხომ არ აღმოვჩნდით?

– ალბათ, ეს ჩარნია. – თქვა დიგორიმ. – ოღონდ ის არის, შუაღამეს მოვატანეთ.

– ეს ჩარნი არ არის! – გაისმა ჯადოქრის ხმა. – ეს ცარიელი სამყაროა. ეს არის არაფერი.

და მართლაც, იქაურობა უჩვეულოდა ჰგავდა არაფერს. ცაზე ვარსკვლავების ჭაჭანება არ იყო; ისე ბნელოდა, რომ ერთმანეთს ვერავინ ხედავდა. და მნიშვნელობა აღარცა ჰქონდა თვალი დახუჭული გექნებოდა, თუ გახელილი. მათ ფეხქვეშ იყო რაღაც ციცი, ბრტყელი რამ, რაც შეიძლება მიწა ყოფილიყო, ოღონდ ყოველგვარი ბალახისა და ხე-მცენარეების გარეშე. ჰაერი ციცი და მშრალი იყო. ნიავი სულ არ იძვროდა.

– მოაწია ჩემზე რისხვამ, – თქვა გრძნეულმა საშინელი დინჯი ხმით.

– არა, მაგას ნუ იტყვით, – ალუღლუღდა ძია ენდრიუ. – ჩემო ძვირფასო ქალბატონო, გთხოვთ მსგავსს ნურას ბრძანებთ. შეუძლებელია ყოველივე ეს ასეთი საშინელება იყოს. ო, მეეტლევ, კეთილო კაცო, შემთხვევით სპირტიანი მათარა ხომ არ გექნება? ერთი წვეთი სპირტი მეტი არ მინდა.

– ესეც ასე, ესეც ასე, – გაისმა მეეტლის ხმა, მყარი და მაგარი ხმა. – გირჩევთ ყველანი დამშვიდდეთ. ვინმემ რამე ხომ არ მოიტეხა? კეთილი. მე მგონი ჩვენ პირდაპირ სამაღლობლოდა გვაქვს საქმე, ვინ იცის, რა შეიძლება დაგვმართოდა იმხელა სიმაღლიდან ჩამოცვივნილებს. ჰოდა, თუ ჩვენ

რაღაც ორმოში ამოვყავით თავი, რაც შეიძლება ახალი მეტ-
როს სადგურისთვის იყოს გათვალისწინებული, ვინმე მოვა და
უმალ ამოგვიყვანს. აი, ნახავთ, თუ არა! ხოლო თუ ჩვენ უკვე
დავიხოცენით, რაც ასევე სრულებით შესაძლებელია, მაშინ
მოდი, ისიც გავიხსენოთ, რომ ამაზე უარესიც ხდება ხოლმე
ბღვაში. ესეც არ იყოს, კაცი, ადრე თუ გვიან, უნდა მოკვდეს.
თუ ეს ასეა, საშიში აქ არაფერია, თუ კი ადამიანს წესიერად
აქვს ცხოვრება გავლილი. მე რომ მკითხოთ, ახლა დროის
გაყვანის ყველაზე კარგი საშუალება ის იქნება, რომ რამე
საგალობელი ვიმღეროთ.

თქვა და შეასრულა. მან სამკლის დღესასწაულის საგალო-
ბელი წამოიწყო, რომელიც „მოსავლის მშვიდობიან დაბინავე-
ბას“ ეძღვნებოდა. ეს საგალობელი მაინცდამაინც არ შეეფე-
რებოდა იმისთანა ადგილს, სადაც ქამთა დასაბამიდან არაფერი
გაზრდილა, მაგრამ ეს ის საგალობელი იყო, რომელიც მან
უკეთ იცოდა. მეეტლეს კარგი ხმა ჰქონდა და ბავშვებიც ხა-
ლისით აჰყვნენ გალობას. ძია ენდრიუ და გრძნეული კი არ
აჰყვნენ.

საგალობლის ბოლოს დიგორიმ იგრძნო, რომ ვიღაცა იდაყვში
ექაჩებოდა. კონიაკისა და სიგარის სუნი, რომ ასდიოდა, ასევე
– კარგი ტანსაცმლისა. დიგორი მიხვდა, რომ ძია ენდრიუ
უნდა ყოფილიყო. ძია ენდრიუ ფრთხილად ექაჩებოდა მას
სხვების შეუმჩნევლად. ცოტა მოშორებით რომ გავიდნენ, მო-
ხუცმა კაცმა ტუჩები დიგორის ყურებს მიადო და ჩასჩურჩულა:

– ჩემი ბიჭი, ახლა გაიცეთე ბეჭედი. მოდი, გავქრეთ აქედან.

მაგრამ გრძნეულს ძალიან კარგი ყურთასმენა ჰქონდა.

– სულელო! – თქვა გრძნეულმა და ცხენიდან გადმოეშვა. –
ხომ არ დაგავიწყდა, რომ მე შემიძლია ადამიანის ფიქრების
ამოკითხვა? წავედით, ბიჭო. თუ ღალატს ეცდები იმისთანა
შურისძიებას დაგათევ, მსგავსი რამ არავის სმენოდეს, რაც
სამყაროები შეიქმნა.

– მოიცათ, – თქვა დიგორიმ, – თუ თქვენ იმისთანა ღორი
გგონიავართ, რომ მე პოლის ან მეეტლეს, ან ცხენს დავტოვებ
ამისთანა ადგილას, ძალიან გეშლებათ.

– შენ ხარ ძალიან უზრდელი და თავხელი პატარა ბიჭი. – თქვა ძია ენდრიუმ.

– ჩუ! – თქვა მეეტლემ და ყველანი სმენად იქცნენ. რაღაცა ხდებოდა სიბნელეში, როგორც იქნა. ვიღაცის ხმამ სიმღერა წამოიწყო. ოღონდ ეს ხმა ძალიან შორს იყო და დიგორის გაუჭირდა იმის გამოცნობა, თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ის. თითქოს ერთბაშად ყველა მხრიდან მოდიოდა. ერთხანს ისიც კი იფიქრა, რომ ხმა მიწიდან ამოდიოდა. ყველაზე ნაზი ნოტები ამ ხმისა ისე ღრმა იყო, რომ სულ ადვილი შესაძლებელი იყო თავად მიწის ხმა ყოფილიყო. სიმღერაში სიტყვები არ იყო. მელოდიასაც ადვილად ვერ უწოდებდი. ეს რაღაც შეუდარებელი რამ იყო. დიგორის ასეთი ლამაზი ხმა არასდროს მოესმინა. იმისთანა ლამაზი იყო, რომ გაუჭირდა მისი ატანა. მგონი ცხენსაც მოეწონა ის ხმა. მან იმისთანა ჭიხვინი ამოუშვა პირიდან, როგორსაც ცხენი ამოუშვებდა, თუ წლების მანძილზე ეტლის ცხენობის შემდეგ, იმ მდელოზე აღმოჩნდებოდა, სადაც კვიცობაში კუნტრუშობდა და დაინახავდა ისეთ ვინმეს, ვინც ახსოვდა მას და ვისაც უყვარდა მდელოს გადმოჭრა მისთვის შაქრის ნატეხების მოსატანად.

– ვაა! – თქვა მეეტლემ. – რა ლამაზია, არა?

მერე ერთბაშად ორი სასწაული მოხდა: ერთი ის იყო, რომ იმ ხმას სხვა იმდენი ხმები აჰყვნენ. რომ ვერ დაითვლიდით. ისინი ჰარმონიულად ერწყმოდნენ პირველ ხმას, მაგრამ თავიანთი ტონალობით ბევრად აღემატებოდნენ მას – წკრიალა ვერცხლის ხმები. მეორე სასწაული ის იყო, რომ თავს ზემოთ სიბნელე უცებ ვარსკვლავებით გაბრწყინდა. ისინი სათითაოდ არ გამოჩენილან, როგორც ეს გაგაფხულის საღამოს იცის ხოლმე. ერთ წუთში ბნელის მეტი არაფერი იყო და მეორე წუთში ერთბაშად ნათლის წერტილები აციაფდა: ცალ-ცალკე მყოფი ვარსკვლავები, თანავარსკვლავედები, პლანეტები ბევრად უფრო კაშკაშა და დიდები, ვიდრე ჩვენს სამყაროშია. ღრუბლების ნატამალი არ იყო. ახალი ვარსკვლავები და ახალი ხმები ზუსტად ერთსა და იმავე დროს გაჩნდა. თქვენ რომ თავად დაგენახათ და მოგესმინათ, როგორც დიგორიმ დაინა-

ხა, მაშინ თქვენც დარწმუნდებოდით, რომ თავად ვარსკვლავები გალობდნენ, და რომ პირველი, ღრმა ხმის წყალობით გაჩნდნენ ისინი და ამღერდნენ.

– დიდება შენდა! – თქვა მეეტლემ. – მე რომ მცოდნოდა ასეთი რამ არსებობდა, ხომ ბევრად უკეთესი ადამიანი ვიქნებოდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.

ის ბოხი ხმა ახლა უფრო მომძლავრდა მიწაზე და უფრო მოზეიმე შეიქმნა. სოლო ის ხმები, რომლებიც ერთხანს იმ ხმასთან ერთად ხმამაღლა გალობდნენ, თანდათანობით გაფერმკრთალდნენ. სასწაული კვლავ გრძელდებოდა.

ძალიან შორს, ჰორიზონტის პირას, მეცა განაცრისფრდა. საამურმა ნიავმა დაუბერა. მეცა იმ ერთ ადგილას ნელ-ნელა განათდა. მის ფონზე გამოჩნდა ბორცვების ჩაბნელებული კონტურები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ბოხი ხმა გალობდა. მალე ისე გათენდა, რომ მათ უკვე შეეძლოთ ერთმანეთის სახეების დანახვა. მეეტლეს და ბავშვებს პირი დაეღოთ და გაბრწყინებული თვალებით უყურებდნენ ყოველივეს. ისინი ხარბად ისრუტავდნენ ხმას და ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, გეგონება მათ რაღაცას აგონებთო ეს ხმა. ძია ენდრიუსაც

დაეღო პირი, ოღონდ სისარულის გამო არა. ის ისე გამოიყურებოდა, გეგონება ყბა მოსწყდაო სახიდან და ძირს ჩამოუვარდაო. თავი მხრებში ჰქონდა ჩამალული და მუსლები უცასცასებდა. მას არ მოსწონდა ის ბოხი ხმა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ვირთხის სოროში შეძვრებოდა, რათა იმ ხმას მორიდებოდა. რაც შეეხება გრძნეულს, ის ისე გამოიყურებოდა, თითქოს ის ხმა იქ მყოფთაგან ყველაზე უკეთ მას ესმოდა. პირი მოუმული ჰქონდა, ტუჩები დამუწული, სელები მუშტებად შეკრული. მას შემდეგ, რაც გალობა დაიწყო, მან იგრძნო, რომ მთელი ის სამყარო ჯადოსნური ძალით იესებოდა; ძალით, რომელიც მისი ძალისაგან განსხვაედებოდა და მის ძალას აღემატებოდა. გრძნეული დაიბოღმა. ის სიამოვნებით დაამხობდა მთელ სამყაროს, ან სამყაროებს, ოღონდაც ეს გალობა შეწყვეტილიყო. ცხენი ყურებდაცქვეტილი იდგა და ფრუტუნებდა. დროდადრო წაიტორღიალებდა და მიწას ფლოქვებს სცემდა. ის ეტლის ბებერი ცხენივით აღარ გამოიყურებდა. ამის შემხედვარე ადვილად დაიჯერებდა კაცი, რომ ომში ნამყოფი ულაყის შვილი იყო.

აღმოსავლეთის ცა ჯერ თეთრიდან ვარდისფერში გადავიდა, მერე ვარდისფრიდან – ოქროსფერში. ხმამ კი იმატა და იმატა მანამ, სანამ მთელი ჰაერი მისით არ ამოძრავედა. ჰაერს ავსებდა და ტენიდა ის ხმა. და როცა არნახულ გრგვინვას მიაღწია, მზე ამოცურდა. დიგორის არასოდეს ენახა მსგავსი მზე. ის მზე, რომელიც ჩარნის ცაზე ნახა, ჩვენს მზეზე ხნიერად გამოიყურებოდა, ეს მზე კი ჩვენს მზეზე ახალგაზრდა იყო. ახლად ამოსული მზე კისკასებდა სიხარულით. მისმა სხივებმა ისე გაანათა მთელი არე-მარე, რომ ჩვენს მოგზაურებს შეეძლოთ კარგად დაენახათ სადაც იყვნენ. ეს იყო ხეობა რომელშიც ფართე მდინარე მოიზლაზნებოდა აღმოსავლეთისაკენ. სამხრეთით მაღალი მთები იყო, ჩრდილოეთით დაბალი ბორცვები. მაგრამ ამ ხეობაში არაფერი იყო გარდა მიწისა, კლდეებისა და წყლისა. აქ არც ხე იყო, არც ბუჩქი, არც ერთი ბღუჯა ბალახი. მიწა მკაფიო, ცხელ-ცხელი და ცოცხალი ფერებით იყო აჭრელებული. ყველაფერი აღტაცებას იწ-

ვევდა მათში. ბოლოს თავად მგალობელიც გამოჩნდა და მის შემხედვარეს ყველაფერი დაავიწყდათ.

ეს იყო უზარმაზარი, დინჯი და ბრწყინვალე ლომი. პირით ამომავალი მზისკენ იდგა. მას პირი ფართოდ გაეღო და გალობდა, მათგან, ასე, სამას იარდზე.

– ეს საშინელი სამყაროა, – თქვა გრძნეულმა. – ჩვენ ახლავე გავშორდეთ აქაურობას. მოამზადეთ მაგია.

– მე სრულებით გეთანხმებით, მადამ. – თქვა ძია ენდრიუმ. – ეს ყოვლად უვარგისი ადგილია. სრულებით არაცივილიზებული. მე რომ ახლა ჯიელი ვიყო და თან ერთი თოფი მქონდეს...

– რაო! – თქვა მეეტლემ. – შენ რა, ლომს ესროდი?

– სხვა ვინ იზამდა! – თქვა პოლიმ.

– მოამზადე ჯადო, ბებერო სულელო! – თქვა ჯადისმა.

– ახლავე, მადამ. – თქვა ძია ენდრიუმ ეშმაკურად. – ორივე ბავშვი მე უნდა მეხებოდეს. ახლავე გაიცეთ შინ წასასველელი ბეჭედი, დიგორი!

ძია ენდრიუს უნდოდა, რომ ჯადოქრის გარეშე დაეღწია თავი იქაურობისთვის.

– ა, ბეჭდები, არა? – იყვირა ჯადისმა და თვალისდახამხამებაზე დიგორის ჯიბისაკენ გააქანა ხელი. დიგორიმ ხელი ჩააელო პოლის და იყვირა:

– ფრთხილად! საკმარისია ან ერთი, ან მეორე ერთი გოჯით მომიახლოვდეთ და მე და პოლი აქედან გავქრებით, თქვენ კი სამუდამოდ დარჩემით აქ. დიახაც, მე ჯიბეში მაქვს ბეჭედი, რომელიც მე და პოლის შინ დაგვაბრუნებს. იცოდეთ! მე ხელი უკვე მზადა მაქვს. განზე, განზე დადექით! მე ვწუხვარ თქვენი (ამის თქმაზე მან მეეტლეს გახედა) და ცხენის გამო, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემიძლია. ხოლო თქვენ ორი (ამის თქმაზე მან ძია ენდრიუს და დედოფალს გახედა), თქვენ ორივე ჯადოქრები ხართ და ერთად არ მოიწყენთ.

– შეწყვიტეთ ხმაური ყველამ! – თქვა მეეტლემ. – ეს გალობა მომასმენინეთ!

ახლა უკვე სხვა საგალობელი ისმოდა.

თავი მეცხრე

ნარნიის დაარსება

ლომი მიმოდიოდა ცარიელ მიწაზე და ახალ საგალობელს გალობდა. ეს საგალობელი უფრო რბილი და ნარნარა იყო, ვიდრე ის საგალობელი, რომლითაც ლომმა ვარსკვლავები და მზე გამოაჩინა. ეს იყო ნაზი მოდუდუნე მუსიკა. ლომი მიმოდიოდა და გალობდა, მთელი ხეობა კი მწვანე ბალახით იმოსებოდა. ის ლომისგან ზღვასავით მოედინებოდა და ტალღებივით გადადიოდა პატარა ბორცვების კალთებზე. რამოდენიმე წუთში სიმწვანემ შორს მდებარე მთების ზეგნებს მიაღწია და ამით ეს ჯიელი სამყარო თანდათან გააფაფუკა. კაცი ახლა ადვილად შენიშნავდა, როგორ აბიბინებდა მსუბუქი სიო მწვანე ბალახს. მალე ბალახის გარდა სხვა მცენარეებიც გაჩნდა. მაღალი მთის კალთები მანანის დაბალმა ბუჩქებმა ჩაამუქეს. ხეობაში უფრო მუქი მწვანე კორდები გაჩნდა. დიგორი ვერ მიხვდა, რა იზრდებოდა იმ კორდებზე, ვიდრე ერთი სუსტი ღერო მის ფეხებთან ახლოს არ ამოვიდა. ის იყო პატარა ღერო, რომელმაც ათობით სხვა ღერო ამოიყარა და მწვანით შეიბურა. ის დიდი სისწრაფით იზრდებოდა, წამში თითო გოჯით მატულობდა. ასეთი ღეროები დიგორის ირგვლივ ათობით ამოიზარდა. როდესაც ისინი ისე გაიზარდნენ, რომ დიგორის გაუსწორდნენ სიმაღლეში, მან ახლაღა დაინახა, რას წარმოადგენდა ეს ღეროები.

— ხეები! — წამოიძახა დიგორიმ.

ამ ყოფის ყველაზე დიდი უაზრობა ის იყო, რომ, როგორც პოლი მოგვიანებით იტყოდა ხოლმე, მათ ამ სანახაობით დატკბობის საშუალებას არ აძლევდნენ. როგორც კი დიგორიმ თქვა, „ხეებიო“, ის მაშინვე იძულებული გახდა მომწყდარიყო იმ ადგილს, რადგან მას ძია ენდრიუ მიეპარა და ცდილობდა მისთვის ჯიბეში ხელის ჩაყოფას. არა მგონია ძია ენდრიუს კარგი ბედი სწვეოდა რომც მოეხერხებინა მისთვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა, რადგან ის მარჯვენა ჯიბეში უპირებდა ჩაძვრომას, რაკი ეგონა, რომ მწვანე ბეჭდები „შინმისაბ-

რუნებელი“ ბეჭდები იყო. რა თქმა უნდა, დიგორის არც ამ ბეჭდების დაკარგვა არ გაუხარდებოდა.

– ფეხი არ მოიცვალოთ! – იყვირა გრძნეულმა. – უკან დაიხიეთ. კიდევ, კიდევ უკან! ვინც ან ერთ ან მეორე ბავშვს თუნდაც ათი გოჯით მიუახლოვდება, ტვინს გავასხმევინებ აქვე! მას მოღერებული ჰქონდა ლამპიონის ბოძზე აგლეჯილი რკინის კეტი და მზად იყო მის მოსაქნევად. რატომღაც არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ ის კარგი მსროლელი იქნებოდა.

– მაშ, ასე არა? – თქვა მან. – შენ გინდოდა ამ ბიჭთან ერთად შენს სამყაროში გაძურწულიყავი და მე აქ დაგეტოვებინე, არა?

აქ კი, როგორც იქნა, ძია ენდრიუს სიფიცხემ გადასძლია შისის გრძნობას.

– დიახაც, მადამ, მინდოდა! – თქვა მან. – უყოყმანოდ წავიდოდი. მე ამისი სრული უფლება მაქვს. მე თქვენ საშინელი სირცხვილი მაჭამეთ და საძაგლად მომექეცით. რაც შემეძლო, მე ყველაფერი გავაკეთე, რათა ღირსშესანიშნაობანი მეჩვენებინა თქვენთვის. სამაგიეროდ რა მივიღე? თქვენ დააყაჩაღეთ, – მე მინდა ხაზი გავუსვა, – დააყაჩაღეთ დიდად პატივცემული იუველირი. თქვენი დაჟინებული მოთხოვნით მე დაგპატიჟეთ წარმოუდგენლად ძვირიან სადილზე, რისთვისაც იძულებული ვიყავი საკუთარი ჯიბის საათი და ძეწკვი დამეგირავებინა. (მინდა გაცოდინოთ, მადამ, ჩვენს ოჯახს ჩვეულად არ ჰქონია ნივთების დაგირავება, გარდა ერთი ჩემი ბიძაშვილისა – ედუარდის. თანაც ის მაშინ იომანრიში იყო). იმ მოუნელებელ სადილზე, რომლის გამოც ახლა უარესადა ვგრძნობ თავს, თქვენმა საქციელმა და საუბარმა აღაშფოთა ყველა იქ მყოფი. მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ საჯაროდ მომაყენეს შეურაცხყოფა. მე იმ რესტორანში თავი აღარ გამომეყოფა. თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ პოლიციას.

– თავი შეიკავეთ, ბატონო, გთხოვთ, თავი შეიკავეთ. – თქვა მეეტლემ. – ახლა ლაპარაკისა კი არა ყურებისა და ყურისგდების დროა.

მართლაც საყურებელი და მოსასმენი ბევრი იყო. ის ხე

რომელიც დიგორიმ პირველად შენიშნა, ახლა უკვე სრულიად გაბრდილი წიფლის ხე იყო, რომლის ტოტებიც დიგორის თავს ზემოთ ნაზად ირხეოდნენ. ყველანი იდგნენ გრილსა და მწვანე ბალახზე, რომელიც გვირილებითა და ნარცისებით იყო აჭრელებული. ცოტა მოშორებით, მდინარის პირას, ენძელები, ხოლო გაღმა მხარეს ჟოლო, შროშანი და ასკილი ყვაოდა. მათ გარს როდოდენდრონი შემოხვეოდა. ცხენი ხარბად შეექცეოდა ბღუჯა-ბღუჯა ნორჩ ბალახს.

ამასობაში ლომის გალობა და მისი დინჯი მიმოსვლა წინ და უკან გრძელდებოდა. მხოლოდ ერთი რამ იყო გულის სახეთქი – თანდათანობით ლომი უახლოვდებოდა მათ. პოლის უფრო და უფრო მოსწონდა საგალობელი, რადგან ის ხედავდა კავშირს მუსიკასა და ყოველივე იმას შორის, რაც ირგვლივ ხდებოდა. როდესაც ქედზე მუქი ნაძვნარის ზოლი გაჩნდა, ასე, ასიოდე იარდის მოშორებით, გოგონამ იგრძნო, რომ ნაძვნარის გაჩენა დაკავშირებული იყო ღრმა და გრძელხმიან მელოდიასთან, რომელიც ის-ის იყო ლომმა იგალობა. როდესაც ლომმა პირიდან უფრო მსუბუქი საგალობელი ამოუშვა, პოლის აღარ გაჰკვირვებია, რომ მთელი არე-მარე ენძელებით გადაიპენტა. ენით აუწერელი აღტაცებით აღესილმა გოგონამ იგრძნო, საკმაოდ დარწმუნებულმა, რომ ყველაფერი(როგორც ის შემდეგ იტყოდა ხოლმე) „ლომის თავიდან მოდიოდა“. როდესაც ლომის გალობას უსმენდით, თქვენ ყურით ისმენდით იმას, რასაც ლომი ქმნიდა. და როდესაც მიიხედ-მოიხედავდით, თვალით ხედავდით მის ნამოქმედარს. ეს ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ პოლის შიშისათვის აღარ ეცალა. დიგორი და მეეტლე ოდნავ ღელავდნენ, როდესაც ხედავდნენ, რომ თითო გაელა-გამოვლაზე ლომი თანდათანობით უახლოვდებოდა მათ. რაც შეეხება ძია ენდრიუს, მას კბილები უკანკალებდა. მისი მუხლები იმისთანა ცახცახმა აიტანა, რომ ადგილიდან ვეღარ იძვროდა.

მოულოდნელად გრძნეული მოსწყდა ადგილს და ლომისკენ გაექანა. ლომი მოდიოდა და ნელა მოაბიჯებდა გალობით. ის უკვე თორმეტიოდე იარდით იქნებოდა მოახლოებული. გრძნე-

ულმა მოიქნია მარჯვენა და ლომს პირდაპირ შუბლში დაუმიზნა რკინის კეტი.

ვერავინ ააცდენდა ლომს კეტს ამისთანა ახლოდან, მით უმეტეს ჯადისი. ლომს რკინის კეტი თვალებს შუა მოსვდა, კეტი ასხლტა და რბილად ჩაეშვა ბალახებში. ლომი ისევ მოდიოდა. მას თავისი ნაბიჯებისათვის არც მოუკვლია, არც მოუმატებია. იმასაც კი ვერ იტყოდით, იგრძნო თუ არა მან



კეტის შუბლში დარტყმა. მართალია მისი ფაფუკი ტორები სიარულისას ხმას არ გამოსცემდნენ, მაგრამ კაცი აუცილებლად იგრძნობდი, რომ მის ფესქვეშ მიწა ტორტმანებდა.

გრძნეული შემოტრიალდა და მოკურცხლა. სულ რამოდენიმე წამში ის ტყეში გაუჩინარდა. ძია ენდრიუმაც იგივე სცადა; ის თავქუდმოგლეჯილი გავარდა, მაგრამ წაიქცა და იმ პატარა რუში ჩაემხო ცხვირ-პირით, რომელიც მდინარეს უერთდებოდა. ბავშვებმა ადგილიდან არ მოიცვალეს ფეხი. ისე, დარ-

წმუნებულიც არ იყვნენ, თუ უნდა გაქცეულიყვნენ. ლომი მათ ყურადღებას არ აქცევდა. მისი ვეება წითელი ფაფარი ყალყზე იდგა, ოღონდ არა მრისხანების, არამედ გალობის გამო. ლომმა მათ ისე ახლოს ჩაუარათ, რომ შეეძლოთ ხელით შეხებოდნენ მის ფაფარს. ძალიან ეშინოდათ, რომ ლომი მოტრიალდებოდა და შესდევდა მათ, თუმცაღა შინაგანად კიდევაც უნდოდათ, რომ ეს ასე მომსდარიყო. მათ ისიც კი იფიქრეს, რომ ჩვენ აქ, ალბათ, არც ვჩანვართ და არც ჩვენი სუნი იყნოსებაო. როდესაც ლომმა გვერდით ჩაუარათ და ცოტა მოშორებით გავიდა, ის მოტრიალდა, კვლავ გვერდი აუქცია მათ და აღმოსავლეთით გაემართა.

ძია ენდრიუმ სველებითა და ხრიალით ძლივას აითრია წელი.

– არიქა, დიგორი! – თქვა მან, – ჩვენ უკვე თავიდან მოვიშორეთ ის დედაკაცი. ეს საშინელი ლომიც წაეთრა. მომეცი ხელი და გაიკეთე შენი ბეჭედი!

– არ მომეკარო! – თქვა დიგორიმ, რომელიც უკან-უკან ისევდა. – მოერიდე ამ კაცს, პოლი! მოდი აქ დამიდექი გვერდით. შენ კი გაფრთხილებ, ძია ენდრიუ, ერთი ნაბიჯითაც რომ მოგვიახლოვდე, ჩვენ მაშინვე გავქრებით აქედან.

– გაკეთე ის, რაც ამწუთას გითხრეს, სერ! – თქვა ძია ენდრიუმ. – შენა ხარ ნამეტანი თავსწასული და ურჩი ლაწირაკი!

– ჩვენ არაფრის გვეშინია. – თქვა დიგორიმ. – ჩვენ გვინდა დავრჩეთ და ვნახოთ, რა მოხდება. მე მეგონა შენც გაინტერესებდა სხვა სამყაროების ნახვა. ახლა აღარ გინდა, მას შემდეგ, რაც აქ აღმოჩნდი?

– ხო, მაშ, ძალიან მინდა! – აღმოხდა ძია ენდრიუს. – ერთი მე შემომსედეთ, რა ღლეში ვარ. ჩემი საუკეთესო ფრაკი და ჟილეტი.

ისე, მართლაც, საშინელი სანახავი იყო ის. ცხადია, რაც უფრო მაგრადა ხარ გამოპრანჭული, მით უფრო უარესად გამოიყურები, თუ დალეწილი ეტლიდან ოთხით გამოხოხდები და ტალახიან რუში ჩავარდები.

– მე იმას როდის ვიძახი, – გააგრძელა ძია ენდრიუმ, – რომ ეს არ არის ძალზე საინტერესო ადგილი. მე რომ უფრო ჯიელი ვიყო, ალბათ, ჯერ ვინმე ყოჩაღ ბიჭს ჩამოვიყვანდი აქ. ისეთს, კარგი მონადირე რომ იყოს. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამ ქვეყნიდან რამე გამოსულიყო. კლიმატიც შესანიშნავია აქ. ასეთი ჰაერი არასდროს მიყნოსია. ჩემს ჯანმრთელობას ეს არგებდა, უფრო უკეთესი პირობები რომ იყოს აქ. ნეტა ერთი თოფი გვქონოდა.

– მოისპოს ყველა იარაღი! – თქვა მეეტლემ. – მე მირჩევნია წავიდე და მარწყვას სამურველი ჩამოვუსვა. შემიძლია ვთქვა, რომ ამ ცხენს უფრო მეტი ჭკუა აქვს ვიდრე ზოგიერთ ადამიანს.

მეეტლემ მარწყვას უკნიდან მოუარა და იმისთანა ხმაური აუყენა, მეჯინიბეები რომ აყენებენ ხოლმე.

– შენ ისევე გგონია, რომ ლომის მოკვლა შეიძლება თოფით? – იკითხა დიგორიმ. – მას რკინის კეტმა ხომ ვერაფერი დააკლო.

– მიუხედავად იმ ქალის სისუსტეებისა, – თქვა ძია ენდრიუმ, – ის ძალიან ყოჩაღად მოიქცა, ჩემო ბიჭუნა. ეს ძალიან მაგარი გაბედულება გამოიჩინა.

ძია ენდრიუ ისე იფშვნეტდა ხელებს და ისე ატკაცუნებდა თითებს, თითქოს უკვე დაივიწყა რა თავგზარს სცემდა მას გრძნეული, როდესაც ის მათ შორის იყო.

– იმ ქალმა ძალიან ბოროტი რამ მოიმოქმედა! – თქვა პოლიმ. – რა დაუშავა მას ლომმა, რკინის კეტი რომ ესროლა?

– მოიცათ, ეს რა არის? – თქვა დიგორიმ და გავარდა რაღაცის სანახავად რამოდენიმე იარდის მოშორებით. – უი, პოლი, – გამოსძახა დიგორიმ გოგონას. – მოდი, ნახე ეს რა არის.

პოლის ძია ენდრიუც აედევნა. იმიტომ კი არა, რომ რამის ნახვა აინტერესებდა, არამედ იმიტომ, რომ ბავშვებთან ახლოს ყოფილიყო და მათი ბეჭდების ჯიბიდან ამოცლის შანსი ხელიდან არ გაეშვა. მაგრამ როდესაც დაინახა, თუ რას

უყურებდა დიგორი, თვითონაც დაინტერესდა. ეს იყო ნამდვილი პაწაწინა მოდელი ლამპიონისა. ის სამიოდე ფუტის სიმაღლისა იყო. უცნაური კი ის იყო, რომ ის თვალდათვალ იზრდებოდა და მსხვილდებოდა. ზუსტად ისე იზრდებოდა, როგორც ხეები ამოიზარდა მიწიდან.

– ცოცხალია ეს ლამპიონი, უფრო სწორად, ის ანათებს, – თქვა დიგორიმ.

ეს მართლაც ასე იყო. ოღონდაც ლამპიონში მოციაფე პატარა ნათელი, გაბრწყინებული მზის შუქზე, მხოლოდ მაშინ ჩანდა, როდესაც თქვენი ტანით მოუჩრდილავდით მას.

– შესანიშნავია, ყოვლად შესანიშნავია, – წაილუღლუღა ძია ენდრიუმ. – ასეთი ჯადოსნობა მეც კი არ მომსვლია თავში აზრად. ჩვენ იმისთანა სამყაროში ვართ, სადაც ლამპიონიც კი ცოცხლდება და იზრდება. ნეტა მაცოდინა, როგორი თესლისგან იზრდება ლამპიონი.

– ვერა ხედავ? – თქვა დიგორიმ. – ეს ლამპიონი სწორედ იმ ადგილას არის ამოსული, სადაც რკინის კეტს ბალახებში ჩქამი გასცვივდა, იმ რკინის კეტს, რომელიც ჩვენს სამყაროში გრძნეულმა ააგლიჯა ლამპიონს. ის მიწაში ჩაერჭო და ახლა ნორჩ ლამპიონად გვევლინება. (მაგრამ ის ახლა არც ისე ნორჩიღა იყო. მანამ დიგორი ლაპარაკობდა, ლამპიონი სიმაღლით ბიჭს გაუსწორდა).

– ესეც ასე! დიდებულია, დიდებული! – თქვა ძია ენდრიუმ და ხელები ისეთი ძალით მოიფშვნიტა, მანამდე რომ არ მოუფშვნეტია. – ჰაჰ, ჰაჰ! პაჰ! ჩემს ჯადოქრობას მასხრად იგდებდნენ. ჩემს სულელ დას მე შეშლილი ვგონივარ. ნეტა ახლა რაღას იტყვიან? მე აღმოვაჩინე სამყარო, სადაც ყველაფერი სიცოცხლეს იძენს და იზრდება. კოლუმბი ვიღაა ახლა! კოლუმბზე რომ ლაპარაკობენ. ამასთან შედარებით ამერიკის აღმოჩენა რა არის?! ამ ქვეყნის კომერციული შესაძლებლობანი უსაზღვროა. ჩამოიტანე აქ ლითონის ძველი ნამსხვრევები. დამარხე აქ და ამოგიყა ახალთახალი მატარებლის ძრავები, საომარი ხომალდები, რაც გინდა. მუქთად დამზადდება ყველაფერი. ყოველივე ამას მე ინგლისში სრულ

ფასად გავყიდი. მილიონერი გავხდები. ახლა კლიმატი აიღე აქაური! მე თავს რამოდენიმე წლით ახალგაზრდად ვგრძნობ. მე შემიძლია აქაურობა სანატორიუმად ვაქციო. ერთი კარგი სანატორიუმი წელიწადში ოცი ათასს ამოქაჩავს. რა თქმა უნდა, რამოდენიმე ადამიანს უნდა გავანდო საიდუმლო. მაგრამ პირველ რიგში ის მსეცი უნდა გავაგორებინო ვინმეს.

– თქვენ ზუსტად ჯადოქრის ჭკუისა ხართ, – თქვა პოლიმ.

– მარტო მცელელობაზე გიჭირავთ თვალი.

– რაც შეეხება ჩემს მომავალს, – გააგრძელა ძია ენდრიუმ ოცნება, – ვინ იცის, რამდენ ხანს ვიცოცხლებ მე, თუ აქ დავსახლდი. სამოცს მიტანებული ადამიანისათვის ეს ძალიან საგულისხმო რაღაა. ვასაკვირიც არ იქნება, რომ ამ ქვეყანაში ჩემს ასაკს ერთი ღლეც არ მოემატოს და მუდამ სამოცი წლისა ვიყო! ღილებულია! სიჭაბუკის ქვეყანა!

– მოიცა, მოიცა! – შესძახა დიგორიმ. – სიჭაბუკის ქვეყანა? შენ ფიქრობ, რომ ეს მართლაც სიჭაბუკის ქვეყანაა?

დიგორის ამ დროს გაახსენდა ის, რაც დეიდა ლეტიმ უთხრა ქალს, რომელმაც ყურძენი მოიტანა. ბიჭს იმ ტკბილი იმედის ნატამალი გაუცოცხლდა გონებაში.



– ძია ენდრიუ, – თქვა დიგორიმ, – როგორ ფიქრობ, აქ იქნება ისეთი რამ რაც დედაჩემს განკურნავს?

– ახ, რას ბოდავ! – თქვა ძია ენდრიუმ. – ეს აფთიაქი ხომ არ არის. მაგრამ როგორც მე ვთქვი...

– შენ ერთი წამით არ გაღელვებს დედაჩემის ბელი, – თქვა დიგორიმ მკვახედ. – მე მეგონა შენ იფიქრებდი დედაჩემზე. ჩემი თუ დედაა ის, შენი და არის. ეგ არაფერი. მე თავად მშვენივრად წავალ და ეკითხავ ლომს, ეგებ მას შეუძლია შველა.

ბიჭი შემოტრიალდა და ენერგიული ნაბიჯებით გაშორდა იქაურობას. პოლი ჯერ წამით შედგა და მერე ისიც გაედევნა დიგორის.

– ეი, თქვენ! შეჩერდით! დაბრუნდით უკან! გადაირია ეს ბიჭი! – თქვა ძია ენდრიუმ და შორი-ახლო მანძილზე გაჰყვა ბავშვებს.

მას არც მწვანე ბეჭდებს უნდოდა რომ ძალიან დაშორებოდა და, არც ლომთან ძალიან ახლოს მისვლა ეწადა.

რამოდენიმე წუთში დიგორი ტყის პირს მიადგა და შეჩერდა. ლომი კვლავ გალობდა. მაგრამ ეს კიდევ სხვა საგალობელი იყო. ეს გალობა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მელოდია იყო, ოღონდ საკმაოდ ველური. იმისთანა მელოდია იყო, რომლის გაგონებაზეც სირბილი, ხტუნაობა და ხვეე ცოცვა მოგინდებოდა.

ყვირილი მოგინდებოდა. მოგინდებოდა სხვებს გასდევნებოდი და ან მოხვეოდი მათ, ანდა გეჩხუბა მათთან. ამ მელოდიის გამო იყო, რომ დიგორის სახეზე ალმური ავარდა. ეტყობოდა, მელოდიამ თავისებური გავლენა ძია ენდრიუზეც მოახდინა, რადგან დიგორის ყურში ესმოდა მისი ლაპარაკი: ,,ყოჩაღი მოქმედება იყო, სერ. სამწუხაროდ, ფიცხი სასიათი აქვს მას, მაგრამ მაინც მშვენიერი ქალია. მართლა მაგარი ქალი!"

მაგრამ ის, რაც გალობამ დამართა ამ ორ ადამიანს, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ამ მელოდიამ მთელ ქვეყანას უყო.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მწვანედ აბიბინებული მიწა რომ ისე თუსთუსებდეს, როგორც ქვაბში ადულებული წყალი? არადა ყველაზე უკეთ ასე შეიძლება აღვწეროთ ის, რაც ირგვლივ ხდებოდა: საითაც გაიხედავდით, ყველგან ბორცვები იბურცებოდა. ყველა ბორცვი სხვადასხვა ზომისა იყო: ზოგი თხუნელას ხელა, ზოგი ყორღანების ზომის, ზოგიც ქოხების სელა. ეს ბორცვები იძვროდა და იბერებოდა მანამ, სანამ არ გასკდებოდა და ირგვლივ მიწის ბელტებს არ მიმოაბნევდა. თითოეული ბორცვიდან თითო ცხოველი ამოდიოდა. თხუნელები ისე ამოძვრნენ, როგორც ეს თხუნელებს სჩვევიათ ჩვენს სამყაროში. როგორც კი ძაღლებმა თავები გამოითავისუფლეს ბორცვებიდან, მაშინვე ყეფას მოჰყვნენ. თან ისე ფსოჭნიდნენ მიწას, როგორც გინახავთ ძაღლები, ღობეში გაძვრომას რომ ცდილობენ. ირმების გამოჩენა ყველაზე უცნაური სანახავი იყო. ჯერ, რა თქმა უნდა, რქებმა ამოყვეს წვერები ბორცვის თავებზე. თავად ირმების გამოჩენას იმდენი ხანი დასჭირდა, რომ დიგორიმ მათ რქებზე იფიქრა, ალბათ ხეებიაო. ბაყაყები, რომლებიც მდინარის პირას ამოვიდნენ, გამაყრუებელი ყიყინით და ტყაპა-ტყუპით ჩაცვივდნენ წყალში. ავაზები, ლეოპარდები და მათთანები ძირს წამოსკუბდნენ, რათა თავიანთ ხატულა ტყავიდან მიწები გაეყრევინებინათ. მერე ისინი ხეებს მიუხდნენ, რათა წინა თათებზე ბრჭყალები წაემახათ. ხეებიდან ჩიტების გუნდი წამოფრინდა. ირგვლივ პეპლები დაფარფატებდნენ. ფუტკრები ყვავილებს შეესიენ, გეგონებოდათ

წამის დაკარგვა არ უნდათო. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო ის წუთი, როდესაც ყველაზე დიდი ბორცვი გასკდა მსგავსად პატარა მიწის ძვრისა და იქიდან უზარმაზარი ჭკვიანი თავი გამოჩნდა, ოთხბოძების მსგავს ფეხებზე შემდგარი სპილოს სახით. ახლა ძლივასლა ისმოდა ლომის გალობა. იქაურობას აყრუებდა: წკაეწკავი, ყმუილი, ღმუილი, წრიპინი, ყროყინი, ზმუილი, ფრუტუნი.

მართალია დიგორის ლომის ხმა აღარ ესმოდა, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ხედავდა. ის იმისთანა უზარმაზარი და ბრდღვიალა იყო, რომ თვალს ვერ აშორებდა. სხვა ცხოველებს, როგორც ჩანდა, არ ეშინოდათ ლომისა. უცებ დიგორის უკნიდან ფლოქვების ხმა შემოესმა. მეორე წამში ეტლის ცხენმა ჩაუქროლა მას და დანარჩენ ცხოველებს შეუერთდა. (ეტყობა, ძია ენდრიუსი არ იყოს, მასაც მოუხდა იქაური ჰავა. ეს ის საბრალო ბებერი მონა-ცხენი აღარ იყო, ლონდონში რომ ვნახეთ. ის გამართულ ნაბიჯს აღგამდა და კისერი მოღერებული ეჭირა). ახლა კი ლომი პირველად დადუმდა. ის ცხოველებს შორის მიმოდიოდა. დროგამოშვებით მიადგებოდა ორ ცხოველს (ყოველთვის ორს თითო მისვლაზე) და მათ ცხვირებს თავისას შეახებდა. ის შეეხებოდა ორ თასვს – თასვების გუნდში, ორ ლეოპარდს – ლეოპარდების გუნდში, ხარ-ირემსა და ფურ-ირემს – ირმების ჯოგში; დანარჩენებს ისე ტოვებდა.

ზოგიერთი ცხოველი საერთოდ გამოტოვა. მაგრამ ვისაც შეეხო, მათ დატოვეს თავიანთი ჯილაგი და თან გაედევნენ. ბოლოს ის შედგა. დანარჩენი ცხოველებიც მოვიდნენ და მის გარშემო წრე შეკრეს. ვისაც ის არ შეხებია, ნელ-ნელა მიმოიფანტნენ. მათი ცსვირები სიშორეში ჩაინთქა. გამორჩეული ცხოველები სულგანაბულები მისჩერებოდნენ ლომს. კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები დროდადრო კუდს თუ მოიქნევდნენ დანარჩენი ყველანი გარინდებულები იდგნენ. იმ დღეს პირველად დაისადგურა სიჩუმემ, მხოლოდ წყლის ხმა არღვევდა მდუმარებას. დიგორის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მან იცოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი რამ უნდა მომხდარიყო. მას დედის დარდი არ დავიწყნია, მაგრამ ძალიან კარგად იცოდა, რომ დედის გულისთვისაც კი არ დაარღვევდა ამ მყუდროებას.

ლომი, რომელიც თვალსაც კი არ ახამხამებდა, ისე მიაშტერდა ცხოველებს, გეგონებოდათ მზერით უპირებსო მათ გადაბუგვას. თანდათანობით მათ გარდასახვა იწყეს. კურდღლებმა, თხუნელებმა და მათმა მსგავსმა პატარა ცხოველებმა კარგად აიყარეს ტანი. მათ შორის ისეთი დიდები, როგორიც სპილოები იყვნენ, დაპატარავდნენ. ბევრი ცხოველი უკანა კიდურებზე წამოდგა. უმეტესობამ თავი ისე მიატრიალა ერთ მხარეს, თითქოს რაღაცის მიყურადებას ცდილობენო. ლომმა პირი გააღო, მაგრამ პირიდან ხმა არ გამოუცია. ის უბერავდა ღრმასა და თბილ სუნთქვას. სუნთქვამ ისე გადახარა ცხოველები, როგორც ქარი ხრის ხეების რიგს. შორს, მათ მაღლა, ცის ფარდის მიღმა, ვარსკვლავები ამღერდნენ ხმამაღლა. ეს იყო სუფთა, ცივი და რთული მელოდია. მერე წამოვიდა ცეცხლივით ტალღა (ოღონდ მას არავინ დაუწვავს) ან ციდან, ან თავად ლომისგან. ბავშვებს ძარღვებში სისხლი გაეყინათ. ყოველივეზე ღრმა და ველური ხმა, რომელიც მათ მანამდე გაეგონათ, ამბობდა: „ნარნიავ, ნარნიავ, ნარნიავ, გაიღვიძე! იყვირე, იფიქრე, იმეტყველე! ხეებმა ფეხი აიდგით და ცხოველებმა ენა ამოიდგით, წყლებმა ღვთაებრიობა შეიძინეთ!“

თავი მეათე

პირველი ხუმრობა და სხვა ამბები

ეს, რაღა თქმა უნდა, ლომის ხმა იყო. ბავშვები აქამდეც დარწმუნებული იყვნენ, რომ მას შეეძლო ლაპარაკი. და მიუხედავად ამისა, ეს იყო მათთვის საამური და საშინელი გაოგნება ერთბაშად.

ტყიდან ველური ხალხი გამოვიდა. ტყის დალები და ოჩოპინტრეები. მათ მოჰყვნენ ფავნები, სატირები, ჯუჯები. მდინარიდან გამოვიდა მდინარის ღმერთი თავისი ნაიდი ასულებით. ყველა ამათგანმა და ასევე ყველა ნადირ-ფრინველმა თავთავიანთ განსხვავებულ ხმაზე: ზოგმა დაბალ, ზოგმა მაღალ, ზოგმაც ბოხი ან წკრიალა ხმით მიუგეს:

— გაგიმარჯოს, ასლან! ჩვენ გისმენთ და გემორჩილებით! ჩვენ გეღვიძავს! ჩვენ გვიყვარს! ჩვენ ვფიქრობთ! ჩვენ ლაპარაკობთ! ჩვენ ვიცით!

— დიახ, მაგრამ ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით! — გაისმა რაღაცნაირი ფრუტუნა ხმა. ამის გაგონება იყო და ბავშვებმა დაიწყეს ხტუნაობა, რადგან ამას ენაამოდგმული ეტლის ცხენი ლაპარაკობდა.

— ყოჩაღ, მოხუცო მარწყვავ! — თქვა პოლიმ. — რა კარგია, რომ ესეც იმათ რიცხვში აღმოჩნდა, რომლებიც მოლაპარაკე ცხოველებად ამოირჩიეს.

ბავშვების გვერდში მდგომმა მეეტლემ კი ჩაილაპარაკა:

— თუ გინდა მომკალით, მე სულ მაგას ვიძახდი: ამ ცხენს ზოგ-ზოგებზე მეტი ჭკუა აქვს-მეთქი.

— ქმნილებებო, თქვენთვის ჩამიბარებია თქვენიანი თავი! — გაისმა ასლანის ძლიერი და მხიარული ხმა. — სამუდამოდ მომიცია თქვენთვის ნარნიის მიწა-წყალი. მე თქვენ გაძლევთ ტყეებს, მათ ნაყოფს, მდინარეებს, თქვენ გაძლევთ ვარსკვლავებს და თქვენვე გაძლევთ ჩემს თავს. უტყვი ცხოველები, რომლებიც მე არ ამოვირჩიე, ისინიც თქვენია. მოწიწებით მოექეცით მათ, დააფასეთ ისინი, ოღონდ მათ ნუღარ დაემსგავსებით, თორემ დაკარგავთ ლაპარაკის უნარს. რადგან მათ-

განა ხართ გამოსული და შეგიძლიათ მათვე დაუბრუნდეთ, მაგრამ ამას ნუ იზამთ.

– არა, ასლან, არ ვიზამთ ამას, არა! – ყველა ამას გაიძახოდა ერთხმად. მაგრამ ერთმა მხიარულმა ყვანჩალამ დიდი ხმით დასძინა:

– შიში ნუ გაქვს!

ეს მაშინ, როდესაც ყველა სხვა ჩამცხრალი იყო და მისი ხმა ყველას გასაგონად გაისმა სიჩუმეში. ალბათ, თქვენც განგიცდიათ, როგორი უხერხულია, როცა მსგავსი რამ ხდება ხოლმე, მაგალითად, ქეიფში. ყვანჩალას ისე შერცხვა, რომ თავი ფრთებში ისე ჩამალა, გეგონება საძილედ ემზადებაო. დანარჩენმა ცხოველებმა კი უცნაური ფხუკუნ-ფხუკუნი დაიწ-ყეს, რაც იმათებურად სიცილს ნიშნავდა, და რისი მსგავსიც

ჩვენს სამყაროში არავის სმენია. ერთხანს მათ სცადეს ეს სიცილი ჩაეხშოთ, მაგრამ ასლანმა თქვა:

– იცინეთ და ნურაფრისა გეშინიათ, ქმნილებებო. ახლა, რაკი ენა ამოიდგით, ერთთავად დაღვრემილები აღარ უნდა იყოთ, რადგან ხუმრობაც და სამართალიც ლაპარაკთან ერთად იბადება.

მაშინ კი თავი აღარავინ შეიკავა. იმისთანა სიცილ-ხარხარი აუტყდათ, რომ ყვანჩალამ გამბედაობა მოიკრიბა, ეტლის ცხენს თავზე შემოასკუპდა, ფრთები ფრთებს შემოჭრა და დაიჩხავლა:

– ასლან! ასლან! პირველად მე ვიხუმრე, არა? ესენი ყველას ეტყვიან არა, როგორ ვიხუმრე პირველად?

– არა, ჩემო პატარა მეგობარო, – თქვა ლომმა, – შენ კი არ იხუმრე პირველად, შენ თვითონა ხარ პირველი ხუმრობა.

ამის გაგონებაზე კიდევ უფრო მეტად ახარხარდა ყველა. ყვანჩალას ეს არ სწყენია, ისიც ხმამაღლა ხარხარებდა, ვიდრე ცხენმა თავი არ გაიქნია. ყვანჩალამ წონასწორობა დაკარგა და გადმოვარდა, მაგრამ გაახსენდა თავისი ფრთები (ჯერ მისთვის ახალი რამ იყო ის ფრთები) ვიდრე მიწაზე მოადენდა მღართანს.

– ახლა ნარნია უკვე დაარსებულია, – თქვა ასლანმა. – ჩვენ ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ დავიცვათ ის. ახლა მე უნდა გეთათბიროთ თქვენ. მოდით აქ, ჩემთან: ჯუჯების თავკაცი, მდინარის ღმერთი, მუხა, მამა-ბუ, ორივე ყვავი და სპილო. ჩვენ უნდა ერთად ვისაუბროთ, რადგან ეს სამყარო ჯერ ხუთი საათისაც არ არის და უკვე ბოროტი შემოვიდა აქ.

ის ქმნილებები, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ, წინ გამოვიდნენ, ასლანმა მათთან ერთად აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი. დანარჩენები კი ალაპარაკდნენ. ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

– რაო ასლანმა, რა შემოვიდაო ამ სამყაროში?

– გბოროტი?

– რა არის გბოროტი?

– არა, ბბოროტი კი არა, კბოროტიო.

– მერე კბოროტი რაღაა?

ამ დროს დიგორიმ პოლის უთხრა:

– გამიშვი ახლა, მე მას უნდა გავედევნო. ლომს უნდა გავედევნო. მე მასთან სალაპარაკო მაქვს.

– მერედა შეიძლება, რომ ველაპარაკოთ? – თქვა პოლიმ. – მე ვერ გავბედავდი.

– უნდა დაველაპარაკო, – თქვა დიგორიმ. – დედაჩემზე უნდა ვთხოვო. მის მეტი მისი მშველელი არავინ არის.

– მეც წამოგყვები, – თქვა მეეტლემ. – მე მომეწონა მისი გამოხედვა. მე არა მგონია, რომ დანარჩენი ცხოველები ჩვენ გამოგვეკიდნენ. მარტო ერთი რამ მინდა ვუთხრა მოსუც მარწყვას.

ასე გაემართნენ სამნი იქ თავმოყრილი ცხოველებისკენ თამამად, უფრო სწორად, ისე თამამად, როგორც შეეძლოთ. ცხოველები ისე იყვნენ გართული ერთმანეთთან საუბარში და გაცნობაში, რომ, სანამ ძალიან ახლოს არ მივიდნენ, ვერც კი შეამჩნიეს ის სამი ადამიანი. მათ არც ძია ენდრიუს სმა გაუგონიათ, რომელიც კარგა მოშორებით იდგა და ყვიროდა (ოღონდ მთელი ძალ-ღონით არა, რა თქმა უნდა).

– დიგორი, დაბრუნდი! ახლავე დაბრუნდი, მე შენ გეუბნები! ნაბიჯი არ გადაადგა!

ბოლო-ბოლო, როდესაც ცხოველებს შორის მოექცნენ, ცხოველებმა შეწყვიტეს ლაპარაკი და მათ მიაჩერდნენ.

– ვაა! – თქვა მამალმა თახვმა ბოლოს, – ასლანის მგზემ, ნეტავი მაცოდინა, ესენი რაღაებია?

– რას ბრძანებთ, – თქვა დიგორიმ სუნთქვაშეკრული ხმით მას შემდეგ, რაც ერთმა კურდღელმა წამოიძახა: ჩემი ამრით ესენი დიდი კომბოსტოებიაო.

– არა, ჩვენ მართლა კომბოსტოები არა ვართ. – თქვა პოლიმ სწრაფად. – ჩვენ საერთოდ არ ვვარგივართ საჭმელად.

– ნახეთ! – თქვა წავმა. – ლაპარაკიც შესძლებიათ. საღ გაგონილა კომბოსტო რომ ლაპარაკობდეს?!

– ალბათ, ეგენი ,,მეორე ხუმრობას" წარმოადგენენ, – აზრი გამოთქვა ყვანჩალამ.

ავაზა, რომელიც აქამდე პირს იბანდა, ერთხანს შეჩერდა და თქვა:

– თუ ესენი ,,ხუმრობას" წარმოადგენენ, ,,პირველ ხუმრობასთან" ახლოსაც ვერ მივლენ. სასაცილოს მათში მე ვერასა ვხედავ.

ავაზამ ერთი დაამთქნარა და მერე პირის ბანა გააგრძელა.

– ძალიან გთხოვთ, – თქვა დიგორიმ, – მე ძალიან მეჩქარება. მე ლომის ნახვა მინდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მეეტლე ცდილობდა მარწყვას გამოხედვა დაეჭირა. ბოლოს როგორც იქნა მოახერხა.

– მარწყვა, ბიჭო, – თქვა მეეტლემ, – შენ მე მიცნობ. იქნებ ისიც თქვა, რომ არ მიცნობ.

– ცხენო, რაზე ლაპარაკობს ეგ რაღაც? – შეეკითხნენ ცხენს აქეთ-იქიდან.

– იცით, – დაიწყო მარწყვამ მძიმე-მძიმედ, – ზუსტად არ ვიცი, მე მგონი არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის ბევრი რამ. მაგრამ მე ასე მგონია, მსგავსი არსება აღრეც უნდა მყავდეს ნანახი. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ვიღრე ყველა ჩვენგანს ასლანი გამოგვაღვიძებდა რამოდენიმე წუთის წინ, მე საღღაც ვიყავი, ან სხვა რამე ვიყავი. ძალიან ბუნდოვანია ეს ყველაფერი, სიზმარივით არის, მაგრამ იმ სიზმარში აი, ეს სამი რომაა, ასეთი არსებები, მგონი, მინახავს.

– რაო? – თქვა მეეტლემ. – მე არ მიცნობ? მე, ვისაც შენთვის საღამოს ცხელი შვრია მოჰქონდა, როცა შენ ავადმყოფობდი? მე, ვისაც არასდროს მავიწყდებოდა შენთვის ჩულები დამეფარებინა, როცა შენ სიცივეში იდექი? ამას შენგან არ მოველოდი, მარწყვავ.

– ნელ-ნელა მახსენდება. – თქვა ცხენმა დაფიქრებით. – დიახ. მოიცა, გავიხსენო, მოიცა. დიახ, შენ უკნიდან მაბამდი რაღაც შავ საშინელებას და მერე მცემდი და მარბენინებდი. რამსიშორეზედაც არ უნდა გავქცეულიყავი, ის შავი რაღაც თან მომყვებოდა რიხინ-რიხინით.

– იცი, ჩვენ ამით ლუკმაპურს ვშოულობდით, – თქვა მეეტლემ, – შენთვისაც და ჩემთვისაც. თუ არ იქნებოდა სამუშაო და მათრახი, მაშინ არც თავლა იქნებოდა, არც თივა და არც შვრია. შენ ნამდვილად იცოდი შვრიის გემო, როცა მე მისი ყიდვა შემეძლო, ამას ვერავინ უარყოფს!

– შვრია? – თქვა ცხენმა და ყურები დაცქვიტა. – დიახ, მე მახსოვს შვრიის ამბავი. ხო, უფრო და უფრო მეტი მახსენდება: შენ ყოველთვის საღღაც უკან იჯექი. მე ყოველთვის წინ გავრბოდი და თან მიგათრევდი იმ შავ რაღაცასთან ერთად. მე მგონი, მთელ საქმეს მხოლოდ მე ვაკეთებდი.

– ბაფხულში, კი ბატონო, – თქვა მეეტლემ. – შენ ცხელი სამუშაო გქონდა და მე გრილი კოფო. მაგრამ ბამთარგე რაღას იტყვი, ბებერო ბიჭო, როცა შენ თბილად იყავი, მე კი მაღლა ვიჯექი გათოშილი ფეხებითა და ქარისაგან გალურჯებული ცხვირით?

– მძიმე და სასტიკი იყო ის ქვეყანა, – თქვა მარწყვამ. – ბალახის ნასახი არ იყო, მხოლოდ ქვები ირგელივ.

– ნამეტანი მართალს ამბობ, ძმაო, ნამეტანი მართალს! – თქვა მეეტლემ. – მძიმე სამყარო იყო. მე სულ იმას ვამბობდი, რომ ის ქვაფენილები ცხენისთვის არ იყო გამართლებული. ეგ არც მე არ მომწონდა. შენ სოფლიდან ჩამოყვანილი ცხენი იყავი, მეც სოფლელი ვიყავი. ჩემთვის ვიყავი, გუნდში ვგალობდი, შინ როცა ვიყავი, მაგრამ თავის სარჩენი იქ არაფერი იყო ჩემთვის

– კარგით რა, კარგით! – თქვა დიგორიმ. – განვაგრძოთ რა გგა! ლომი თანდათანობით შორს მიდის, ახლოს ხომ არ მოდის? მე აუცილებლად მინდა დაველაპარაკო.

– აი, მარწყვავ, – თქვა მეეტლემ. – ამ ახალგაზრდა კაცს უნდა რაღაცა უთხრას ლომს, თქვენ ასლანს რომ ეძახით. რა იქნება, რომ შეისვა ბურგბე (რასაც ბიჭი თავაზიანობად მიიღებს) და გააქანო მისკენ. მე და ეს პატარა გოგონა ფეხით გამოგყვებით.

– ბურგბე შევისვა? – თქვა მარწყვამ. – აა, ახლა გამახსენდა: ძალიან დიდი ხნის წინათ ერთ პატარა ორფეხა არსებას ვისვამდი ხოლმე ბურგბე. ის ოთუთხა თეთრ რაღაცეებს მაჭმევდა ხოლმე. გემოთი ძალიან გემრიელი იყო, ბალახბე ბევრად უფრო ტკბილი.

– აა, ეს შაქარი იქნებოდა. – თქვა მეეტლემ.

– გეხვეწები, მარწყვავ, – მუდარა დაუწყო დიგორიმ. – შემისვი და წამიყვანე ასლანთან.

– ხო, კი ბატონო, – თქვა ცხენმა. – შემაჯექი.

– ჩემი კეთილი მარწყვა, – თქვა მეეტლემ. – მოდი, ყმაწვილო, შეგსვა.

მალე დიგორი მარწყვაზე იჯდა, საკმაოდ მოხერხებულად, რადგან უუნაგიროდა ჰყავდა ნატარები თავისი საკუთარი პონი.

– აბა, ახლა გაჭენდი, მარწყვავ, – თქვა მან.

– შემთხვევით იმ თეთრი რაღაცის ნატეხი ხომ არა გაქვს თან? – იკითხა ცხენმა.

– არა, სამწუხაროდ არა მაქვს, – თქვა დიგორიმ.

– კარგი, რას ვიზამ, – თქვა მარწყვამ და ადგილს მოსწყდა.

სწორედ იმ დროს ერთმა დიდმა ბულდოგმა, რომელიც აქამდე გატაცებით ყნოსავდა და აკვირდებოდა იქაურობას, ხმამაღლა დაიძახა:

– აბა, იქით გაიხედეთ, მდინარის პირას, ხეებ ქვეშ, კიდევ ერთ ასეთ უცნაურ ქმნილებას ვერ ხედავთ?

ყველა ცხოველმა გაიხედა და დაინახა ძია ენდრიუ, რომელიც როდოდენდრონებს შორის გარინდებული იდგა იმ იმედით, რომ შეუმჩნეველი დარჩებოდა.

– მოდი წავიდეთ და ვნახოთ, – გაისმა აქეთ-იქიდან.

ასე რომ, მაშინ, როცა მარწყვა დიგორის სწრაფად მიაქანებდა (პოლი და მეეტლე კი ფეხით მიჰყვებოდნენ), იქ მყოფი ქმნილებების უმეტესობა ღრიალით, ყეფით, ყმუილით, წკავწკავით და ხალისიანი ერიამულით ძია ენდრიუსკენ დაიძრა.

ახლა, მოდით, ოდნავ უკან დაებრუნდეთ და ყოველივე აქ მომხდარს ძია ენდრიუს თვალით შევხედოთ. ყოველივე მომხდარით ის ბავშვებსა და მეეტლესავით მოხიბლული როდი იყო. რასაც ხედავ და გესმის ეს დიდადაა იმაზე დამოკიდებული, თუ სად დგახარ. ეს კიდევ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კაცი ხარ.

მას შემდეგ, რაც პირველი ცხოველები გამოჩნდნენ, ძია ენდრიუ ნელა-ნელა ჯაგნარისაკენ იხევდა უკან. ის გაჭირვებით უთვალთვალებდა მათ. თუმცა მას იმის დანახვა სულ არ აინტერესებდა, რას აკეთებდნენ ცხოველები, მას ერთი იმისი ჯავრი ჰქონდა: მე არ დამეგერონო ისინი. ჯადოქრისა არ იყოს, ძია ენდრიუც მეტისმეტად თავაზიანობას იჩენდა. მან საერთოდ ვერ შეამჩნია, რომ თითო სახეობის ცხოველებიდან

თითო წყვილს არჩევდა ასლანი. ის, რასაც ის ხედავდა, ანდა ეგონა რომ ხედავდა, ეს იყო თავაშვებული ველური მხეცების აღლუმი. ერთი ის აინტერესებდა მხოლოდ, იმ უზარმაზარი ლომის დანახვაზე რატომ არ გარბოდნენ დანარჩენი ცხოველები. მის ყურადღებას მხედველობიდან ის დიდებული წუთიც კი გამოეპარა, როდესაც ცხოველებმა ენა ამოიდგეს. ეს ერთი უცნაური მიზეზის გამო მოხდა: როდესაც ლომმა გალობა წამოიწყო, კარგასნით ადრე ვიდრე ირიერაეებდა, ძია ენდრიუმ იმდენი გაარჩია, რომ ეს სმაური სიმღერა იყო. მას ძალიან არ ესიამოვნა ეს სიმღერა. გალობა აიძულებდა მას ისეთ რამეზე ეფიქრა და ისეთი რამ ეგრძნო, რაზედაც ფიქრი არ სურდა და არც მისი შეგრძნება უნდოდა. მერე, მზემ რომ ამოანათა, ძია ენდრიუმ დაინახა, რომ ამ საგალობელს ლომი გალობდა („ლომია რა!" – ეუბნებოდა ის თავის თავს), მან თავი აიძულა დაეჯერებინა, რომ ეს სიმღერა არ იყო და არც არასოდეს ყოფილა, რომ ეს იყო ლომის ღრიალი. ისეთივე ლომის ღრიალი ჩვენს სამყაროში ზოოპარკებში რომ გაგვიგონია.

„რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ეს გალობა გალობა იყოს," – ფიქრობდა ის. – „ეტყობა ეს მხოლოდ მე წარმოვიდგინე გალობად. ნერვები მომეშალა და იმიტომ. ვის სმენია ლომის გალობა?"

რაც უფრო გაბმულსა და მომხიბელელ საგალობელს ამბობდა ლომი, მით უფრო მეტი მონდომებით ირწმუნებდა ძია ენდრიუ თავს, რომ ეს მხოლოდ ღრიალი იყო. საქმე ის არის, როდესაც კაცი ცდილობს უფრო მეტად გაბრიყვდეს, ვიდრე სინამდვილეშია, ეს საქმე გამოდის. ძია ენდრიუსაც გამოუვიდა ეს. მალე მას ყურში ასლანის საგალობლის ნაცვლად მხოლოდ ღრიალი ესმოდა. ცოტა ხანიც და მას, რომც მოეწადინებინა, ვეღარაფერს გაარჩევდა იმ საგალობელში. და ბოლოს, როდესაც ლომმა ხმა ამოიღო და თქვა „ნარნია, გაიღვიძე!"– ძია ენდრიუმ ეს სიტყვებიც ვერ გაიგო: მის ყურებში მხოლოდ რაღაცამ გაიწუილა. როდესაც საპასუხოდ ცხოველები ალაპარაკდნენ, მას მხოლოდ ყეფის, წკავ-წკავის, ბღავილის



და ფრუტუნის ხმა ესმოდა. როდესაც ცხოველებს სიცილი წასცდათ, აბა, მაშინ უნდა გენახათ ძია ენდრიუ, რომელსაც მსგავსი საშინელება არ დასთეოდა თავს. ამისთანა საშინელი, პირსისხლიანი, მშიერი და მძვინვარე მხეცების გნიასი მას ცხოვრებაში არ გაეგონა. მერე იმან დასცა თავზარი და სრულებით გააოგნა, რომ დაინახა სამი სხვა ადამიანი, როგორ გაემართა ცხოველებთან მისასვლელად.

– ბრიყვები! – ჩაილაპარაკა თავისთვის ძია ენდრიუმ. – ახლა ეს მხეცები იმ ბეჭდებს გადაყლაპავენ ბავშვებთან ერთად და მე შინ ვეღარასოდეს დავბრუნდები. ეს რა ყოყოჩი ბიჭი გამოდგა დიგორი! ის სხვებიც არ ჩამოუვარდებიან მას. თუ მათ სიცოცხლე მობეზრებიათ, ეს მაგათი საქმეა, მაგრამ მე რას მემართლებიან?! მაგათ, ეტყობა, ეს არ ანაღვლებთ. ჩემი ბედი არავის ანაღვლებს.

ბოლოს, როდესაც მთელი ცხოველების ხროვა შემოტრიალდა და მისკენ აიღო გეზი, ძია ენდრიუმ თავის საშველად მოძუძგა. ახლა კი გამოჩნდა, რამხელა სიკეთის გაკეთება შეუძლია ჯიელი სამყაროს ჰაერს მოხუცი ჯენტლმენისათვის. ლონდონში რას გაიქცეოდა ხნიერი ძია ენდრიუ. აქ კი იმისთანა მოკურცხლა, რომ ამისთანა სირბილით ნებისმიერი სკო-

ლის ასმეტრიან კროსში ნამდვილად პირველი იქნებოდა ინგლისში. კარგი რამ სანახავი იყო მისი ფრაკის უკან გაფრიალებული კალთები. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამაო იყო მისი რბოლა. მას ბევრად უფრო მკვირცხლი ცხოველები მისდევდნენ. ცხოვრებაში ისინი პირველად გარბოდნენ და სურდათ თავიანთი კუნთებისათვის ძალა დაეტანებინათ.

– დაეწიეთ! – ყვიროდნენ ისინი. – გმა გადაუჭერით! გვერდიდან წამოუარეთ! დაიჭირეთ! ვაშაა!

რამოდენიმე წუთში ზოგიერთმა ცხოველმა წინიდან მოურბინა ძია ენდრიუს. ისინი რიგრიგობით ჩამწკრივდნენ და წინ გადაეღობნენ მას. დანარჩენები უკნიდან შემოადგნენ. საითაც გაიხედა, ყველა მხრიდან ელდა ეცა. ზემოდან კი ირმების რქები და სპილოს ვეება სახე დასცქეროდა. ჩაფსკვნილი, დინჯი გამომეტყველების დათვები და ტახები უკნიდან მოსდგომოდნენ. ცივადმზირალი ლეოპარდები და სარკასტული გამომეტყველების (ძია ენდრიუს ფიქრით) ავაზები მიშტერებოდ-

ნენ მას და კუდებს ათამაშებდნენ. ყველაზე მეტად ძია ენდრიუ დაღებული პირების რაოდენობამ გააოგნა. ცხოველებს მართლაც დიდად ჰქონდათ დაღებული პირები რათა ამოესუნთქათ. ძია ენდრიუს ეგონა პირები ჩემს შესაჭმელად აქვთო დაღებული.

ძია ენდრიუ იდგა და ცახცახებდა და აღარ იცოდა, რა ელონა. მას ცხოველები არასდროს არ ჰყვარებია. მუდამ რაღაცნაირი შიში ჰქონდა მათ მიმართ. მერე კიდევ, წლების განმავლობაში, სასტიკ ცდებს რომ ატარებდა ცხოველებზე, ამან კიდევ უფრო მეტი შიში და სიძულვილი გაუჩინა მათ მიმართ.

– ახლა, სერ, – წამოიწყო ბულდოგმა საქმიანი კილოთი, – აბა, გვითხარი: ცხოველი ხარ, ბოსტნეული თუ მინერალი?

ეს ის იყო, რაც ბულდოგმა უთხრა, მაგრამ ძია ენდრიუს ყურებში მხოლოდ ეს ჩაესმა: გრ-რ-რ-აორ-იუ!

დიგორი და ძიამისი გასაჭირში

შეიძლება თქვენ ცხოველებს სიბრიყვეში ჩაუთვალოთ ის, რომ ძია ენდრიუ ისეთივე არსებად არ მიიჩნიეს, როგორიც ბავშვები და მეეტლე იყვნენ, მაგრამ მსედველობაში უნდა იქონიოთ, რომ ცხოველებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ტანსაცმელზე. მათ ეგონათ, რომ პოლის მოსასსამი, დიგორის ნორფოლკული კოსტუმი და მეეტლის ჰოულეტის ქუდი ისეთივე ნაწილი იყო მათი სხეულისა, როგორც მათთვის ბეწვი და ბუმბული. ბავშვებს და მეეტლეს მათთან რომ არ ესაუბრათ და მარწყვას მათთვის კვერი არ დაეკრა, ისინი იმასაც ვერ წარმოიდგენენ, რომ ეს სამივე ერთი სახეობის არსებანი იყვნენ. ძია ენდრიუ ბავშვებზე უფრო მაღალი და მეეტლეზე ბევრად უფრო გამხდარი იყო. მას ყველაფერი შავი ეცვა, გარდა თეთრი ჟილეტისა (თუმცა ახლა აღარც ეტყობოდა, თუ ოდესმე თეთრი იყო). ამას თან ერთვოდა დიდი ჭაღარა თმა, (რომელიც ამ დროისათვის გვარიანად ჰქონდა გაწეწილი). აქედან გამომდინარე ცხოველებმა ის დანარჩენ სამ ადამიანს ვერაფრით მიამსგავსეს. ამიტომ გასაგებია, რომ ისინი დაიბნენ. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მას ლაპარაკი არ შეეძლო.

ისე კი სცადა ძია ენდრიუმ დალაპარაკება. როცა ბულდოგი დაელაპარაკა ძია ენდრიუს (რაც მან ჯერ ღრენად და მერე ყეფად აღიქვა), მან გაიწოდა ხელი და წაილულლუღა:

– ცუგა, კარგი, ცუგა!

მაგრამ ვერც ცხოველებმა გაუგეს ძია ენდრიუს და ვერც ძია ენდრიუმ გაუგო ცხოველებს. მათ სიტყვები ვერ გაიგეს: მხოლოდ რაღაც ბუნდოვანი ბლუყუნი აღიქვეს. ან, შეიძლება, ვერც გაიგეს, რადგან, არა მგონია, ნარნიელ მოლაპარაკე ძაღლს სიამოვნებოდა „კარგი, ცუგა“ რომ დაუძახეს. ისევე, როგორც არც თქვენ გეამებათ „პატარა კაცუნა“ რომ დაგიძახონ.

ამის მერე იყო, რომ ძია ენდრიუ გადაიქცა და გული წაუვიდა.

– ნახეთ, წაიქცა, – თქვა მაჩვმა, – ხე ყოფილა. ასეც მეგონა (მსედველობაში იქონიეთ მათ მანამდე არც გულწასული ენახათ ვინმე და არც წაქცეული). ბულდოგმა, რომელიც აქამდე ყნოსავდა ძია ენდრიუს, თავი ასწია და განაცხადა:

– ეს არის ცხოველი! ნამდვილად ცხოველია, და შეიძლება ისეთივე, როგორიც ისინი არიან.

– არა მგონია, – თქვა ერთ-ერთმა დათვმა. – ცხოველი ეგრე არ გადაყირავდებოდა. ჩვენც ცხოველები ვართ, მაგრამ როდის ვყირავდებით ასე? ჩვენ ვდგავართ აი, ასე. ის უკანა თათებზე წამოიმართა, ნაბიჯი უკან გადადგა, თათი დაბალ ტოტს წამოსდო და ზურგზე გაადინა ბღართანი.

– „მესამე ხუმრობა“, „მესამე ხუმრობა“, „მესამე ხუმრობა!“– თქვა დიდი აღტაცებით კაჭკაჭმა.

– მე მაინც ხე მგონია, – დაიჟინა მაჩვმა.

– თუ ეგ ხეა, – თქვა მეორე დათვმა, – მაშინ შიგ ფუტკარი და თაფლი უნდა იყოს ფუღუროში.

– მე დარწმუნებული ვარ ეს არ არის, – თქვა მაჩვმა. – მე მომეჩვენა, რომ ვიდრე წაიქცეოდა, რაღაცის თქმას აპირებდა.

– ეგ მხოლოდ მის ტოტებში მონავარდე ქარის ხმა იქნებოდა, – თქვა მაჩვმა.

– არ თქვა ახლა, – უთხრა კაჭკაჭმა მაჩვს, – რომ ეს მოლაპარაკე ცხოველიაო! ხომ ნახე სიტყვა არ დაუძრავს.

– იცით, – თქვა სპილომ (რა თქმა უნდა, დედალმა სპილომ, რადგან მამალი სპილო ხომ ასლანმა გაიხსმო), – შეიძლება ეს მაინც ერთგვარი ცხოველი იყოს. აი, ამ ბოლოზე რომ თეთრი ლაქაა, რაღაც ოიავპირი ვერ იქნებოდა? ხომ შეიძლება აი, ის ნაპრალები თვალები და პირი იყოს? ცხადია, ცხვირი არ უჩანს, მაგრამ, მოდით, გონებაშეგღუდულებივით ნუ მივუდგებით საქმეს. ჩვენში ძალიან ცოტას თუ აქვს ის, რასაც შეიძლება „ცხვირი“ ეწოდოს.

ესა თქვა დედალმა სპილომ და ასატანი ამპარტავნებით ძირს დაუშვა თავისი გრძელი ხორთუმი.

– მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ ასეთი განცხადებისა, – თქვა ბულდოგმა.

– სპილო მართალია, – თქვა ტახმა.

– დამაცათ, მე გეტყვით! – თქვა ვირმა თავისი გონივრული გამომეტყველებით. – ალბათ ეს არის ცხოველი, რომელსაც ლაპარაკი არ შეუძლია, მაგრამ ჰგონია, რომ შეუძლია.

– შეიძლება წამოვაყენოთ? – თქვა შეფიქრიანებულმა სპილომ. მან ფრთხილად ასწია ხორთუმით ძია ენდრიუს მოშვებული სხეული და როგორც იქნა წამოაყენა, თუმცა თავდაყირა გამოუვიდა. ძია ენდრიუს ჯიბეებიდან ხურდა ფული წამოსცვივდა. არაფერი გამოვიდა, ის ისევ ჩაიცეცა.

– ნახეთ! – გაისმა აქეთ იქიდან სმები. – სულაც არ არის ეს ცხოველი – ცოცხალი არ არის.

– გითხარით, ცხოველია-მეთქი, – თქვა ბულდოგმა. – თუ არ გჯერათ, აწექით და თავზე დასუნეთ!

– დასუნვა ყველაფერს არ წყვეტს, – თქვა სპილომ.

– რატომ? – თქვა ბულდოგმა. – თუ საკუთარ ცხვირს არ ენდობი, მაშ ვიღას უნდა ერწმუნო?

– ვის უნდა ერწმუნო და, ალბათ, ჭკუას. – მშვიდად გამოეპასუხა სპილო.

– მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ ამისთანა განცხადების. – თქვა ბულდოგმა.

– რამე უნდა ვიღონოთ. – თქვა სპილომ. – თუ ეს გბოროტია, თუ კბოროტი, მაშინ ასლანს უნდა ვუჩვენოთ. რას ფიქრობს ამაზე უმეტესობა? ცხოველია ეს თუ რაღაც ჯიშის ხემცენარე?

– ხე, ხე! – გაისმა ათობით ხმა.

– ძალიან კარგი, – თქვა სპილომ, – მაშინ, თუ ხეა, უნდა დაირგას. ორმო უნდა ამოვთხაროთ.

ორმა თხუნელამ ამ საქმეს საკმაოდ მალე მოაბა თავი. მერე ერთი დავა იმაზე გაიმართა, რომელი მსრიდან უნდა ჩაერგათ ძია ენდრიუ ორმოში. სულ ცოტა დააკლდა, რომ თავით არ ჩაფლეს მიწაში. მრავალი ცხოველი ამტკიცებდა, რომ მისი კიდურები ტოტებიაო, ხოლო მისი ჭაღარა და გასიებული ნაწილი (მათ მხედველობაში თავი ჰქონდათ) კი ფესვებიო. მაგრამ სხვებმა თქვეს, რომ მისი კიდურების ბოლოებზე ფოცხივით შვერილები ტალახიანი იყო და ამიტომ ისინი უფრო უნდა ყოფილიყო ფესვები. ბოლოს ის თავაღმა დარგეს. როდესაც მას მიწა შემოუყარეს, ძია ენდრიუ მუსლებში ჩაიკეცა.

– საშინლად გამხმარ ხესა ჰგავს. – თქვა ვირმა.

– სწორია, მას ხომ მორწყვა სჭირდება, – თქვა სპილომ.

– მე ვფიქრობ, შემიძლია ვთქვა, თუმცა მე ამით არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, რომ ამ საქმეში სხვისი არავისი ცხვირი არ გამოდგება.

– მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ ასეთი განცხადების. – თქვა ბულდოგმა. ამის მიუხედავად სპილო მშვიდად დაეშვა მდინარისკენ, ხორთუმი წყლით აივსო და ძია ენდრიუს მოუბრუნდა. ჭკუათამყოფელი მანამ არ მოეშვა ამ საქმეს, სანამ ძია ენდრიუს ბლომად წყალი არ დააქივლა. ძია ენდრიუს ისე

გასდიოდა წურწურით წყალი, გეგონებოდათ ტანსაცმლიანად ნაბანავები აბაგანიდან ეს-ესაა ამოვიდაო. წყალმა როგორც იქნა გონს მოიყვანა ძია ენდრიუ. ადვილი წარმოსადგენია, რა ჭკუაზე დადგებოდა მოსულიერებული ძია ენდრიუ.

სჯობს, ახლა თავი დავანებოთ ძია ენდრიუს. დაე, თავად იფიქროს თავის ბოროტ საქმეებზე (თუ შეუძლია), ჩვენ კი, მოდით, უფრო მნიშვნელოვან ამბებს დავუბრუნდეთ.

მარწყვამ და მის გურგზე შემომჯდარმა დიგორიმ უკან მოიტოვეს ცხოველების ღრიანცელი და თავზე წამოადგნენ ასლანისა და მისი გამორჩეული მოთათბირეების გუნდს. დიგორიმ იცოდა, რომ ამისთანა საგანგებო თათბირს ვერ შეაწყვეტინებდა მოთათბირეთ, თუმცა ამის საჭიროება არც იყო. ასლანის ერთი სიტყვა საკმარისი იყო, რომ მამალი სპილო, ყორნები და ყველა სხვა იქ მყოფი განზე გამდგარიყვნენ.

დიგორი ცხენიდან ჩამოხტა და პირისპირ შეეჩესა ასლანს. ასლანი უფრო დიდი, უფრო ლამაზი, უფრო ღიაოქროსფერი და უფრო მოსაკრძალებელი აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე ეგონა. დიგორიმ ვერ შებედა ლომისათვის თვალებში შეეხედა.

– იცით, ბატონო ლომო,... ასლან... სერ, – დაიწყო ენის ბორძიკით დიგორიმ, – თუ შეიძლება, იქნება მომცეთ ჯადოსნური ხილი ამ ქვეყნიდან, დედაჩემისთვის წამლად რომ გამოდგეს?

დიგორის დიდი იმედი ჰქონდა, რომ ლომი „დიახს“ ეტყოდა. თუმცა იმის შიშიც ჰქონდა ლომმა „არა“ არ მითხრასო, მაგრამ როდესაც პასუხად არც ერთი მიიღო და არც მეორე, ბიჭი ადგილზე გაშრა.

– ეს ის ბიჭია, – თქვა ასლანმა, რომელიც დიგორის კი არ უყურებდა, არამედ თავის მოთათბირეებს. – ამ ბიჭმა ჩაიდინა ეს.

– „ვაიმე“, – იფიქრა დიგორიმ, – რა ჩავიდინე?

– ადამის ძეო, – თქვა ლომმა. – ნარნიის ახლად შექმნილ მიწაზე ბოროტი გრძნეული ბოგინობს. აუხსენი ამ კეთილ მხეცებს, როგორ აღმოჩნდა გრძნეული აქ.

ბიჭს თავში ათობით აზრმა გაუელვა, მაგრამ მიხვდა, რომ მხოლოდ სიმართლე უნდა ელაპარაკა.

– მე მოვიყვანე გრძნეული აქ, ასლან, – მიუგო მან ხმადაბლა.

– რა მიზნით?

მე მინდოდა ის ჩემი სამყაროდან მომეშორებინა და თავის სამყაროში დამებრუნებინა. მეგონა თავის ძველ ადგილას მიმყავდა.

– როგორ აღმოჩნდა ის თქვენს სამყაროში, ადამის ძევ?

– ჯადოქრობით, მაგიის მეშვეობით.

ლომს ამაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ დიგორი მიხვდა, რომ სათქმელი ბოლომდე არა თქვა.

– ეს ძიაჩემი ენდრიუს ბრალი იყო, ასლან. – თქვა დიგორიმ. – მან გაგვიშვა ჩვენი სამყაროდან ჯადოსნური ბეჭდების მეშვეობით. მე იძულებული გავხდი დავყოლოდი, რადგან მა-

ნამდე ძიაჩემმა პოლი გაუშვა ჩვენი სამყაროდან. ასე გადავაწყდით იქ გრძნეულს, ერთ ადგილას, რომელსაც ჩარნი ერქვა, იქ აგვეკონწიალა ჩვენ ის, როდესაც...

– შენ შეხვდი გრძნეულს? – თქვა ასლანმა დაბალი ხმით, ბუხუნის კილოზე.

– მან გაიღვიძა, – თქვა დიგორიმ. და გაფითრდა ბიჭი. – უფრო სწორად, მე გავაღვიძე. ეს იმიტომ, რომ მე მაინტერესებდა, რა მოხდებოდა, თუ ზარს ჩამოვკრავდი. პოლი წინაადმდეგი იყო. პოლი არ არის ამაში დამნაშავე. მე ვაიძულე. ვიცი, ეს არ უნდა მექნა. მე მგონია, რაღაცსაირად მონუსხული ვიყავი ზარის ქვეშ მიწერილი წარწერით.

– ასე გგონია? – ჰკითხა ასლანმა, რომელიც კვლავ დაბალი და ბოსი ხმით ლაპარაკობდა.

– არა, არა მგონია, – თქვა დიგორიმ. – ახლა ეხედავ, რომ არ ვიყავი მონუსხული. თავი ისე მეჭირა, თითქოს მონუსხული ვიყავი.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. დიგორის თავში სულ ერთი აბრი უტრიალებდა: „ყველაფერი მე ჩავშალე. დედაჩემისთვის წამალს ახლა ვინ მაღირსებს?“

როდესაც ლომმა სიჩუმე დაარღვია და ხელახლა ალაპარაკდა, დიგორისათვის აღარ მიუმართავს.

– როგორც ხედავთ, მეგობრებო, – თქვა მან, – ვიდრე მე თქვენ ამ ახალსა და სუფთა სამყაროს ჩაგაბარებდით, რომლის ასაკიც შვიდ საათს არ აღემატება, ბოროტი ძალა უკვე შემოჭრილი იყო აქ. ის ადამის ძემ გააღვიძა და აქ მოიყვანა.

ყველა ცხოველი, მათ შორის მარწყვაც, ისე მიაჩერდა დიგორის, რომ ბიჭს ერჩია მიწა გასცდომოდა და შიგ ჩაეტანა.

– მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, – თქვა ასლანმა, რომელიც კელავ ცხოველებს ელაპარაკებოდა. – ამ ბოროტებიდან სსვა ბოროტება გამოვა, მაგრამ ჯერ კიდევ გრძელი გზაა წინ გასავლელი, და ყველაზე უარესი ჩემს კისერზე გადაიკლის. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მიბრძანებია, რომ მრავალი ასწლეულის მანძილზე ეს იყოს ბედნიერი მიწა-წყალი, ბედნიერ სამყაროში და როგორც ადამის მოდგმამ დააზიანა ეს

სამყარო, ადამის მოდგმავე დაგვეხმარება მის განკურნებაში. ახლა, მომიახლოვდით თქვენ ორნი.

ეს ბოლო სიტყვები ნათქვამი იყო პოლისა და ტეტლის მიმართ, რომლებმაც ის-ის იყო მოაღწიეს ამ ადგილამდე. პოლის პირი დაეღო და გაოცებული უყურებდა ასლანს, თან მაგრად ებღაუჭებოდა მეეტლეს ხელით. მეეტლემ ერთი შეხედა ლომს და ეგ იყო, მაშინვე იშიშვლა თავისი ცილინდრი. მეეტლე უქუდოდ მანამდე არავის ენახა. უქუდოდ მას უფრო ახალგაზრდა და სასიამოვნო კაცის გამომეტყველება ჰქონდა. უფრო სოფლელ ბიჭს ჰგავდა, ვიდრე ლონდონელ მეეტლეს.

– შვილო, – უთხრა ასლანმა მეეტლეს, – მე შენ დიდი ხანია გიცნობ. შენ თუ მიცნობ მე?

– არა, სერ, – თქვა მეეტლემ. – ასე არა, მაგრამ თითქოს ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ადრე შევხვედრივართ ერთმანეთს.

– ძალიან კარგი. – თქვა ლომმა. – შენ იმაზე უკეთ მიცნობ, ვიდრე გგონია რომ მიცნობ, მაგრამ კიდევ უფრო უკეთ გამიცნობ. ამაზე რას იტყვი?

– ეს დიდი პატივია, სერ. – თქვა მეეტლემ.

– გინდა სამუდამოდ აქ დარჩე და იცხოვრო?

– იცით, სერ, მე მეუღლე მყავს. – თქვა მეეტლემ. – აი, ჩემი მეუღლე რომ აქ იყოს, მე ვფიქრობ, არც ერთი არ ვინდომებდით ლონდონში დაბრუნებას. ორივე სოფლიდან ვართ წამოსული.

ასლანმა უკან გადაიგდო ვეება თავი, პირი გააღო და იქიდან ერთი გრძელი ბგერა ამოუშვა. ბგერა არ იყო მაღალი, არამედ ძალმოსილი. პოლის გული შეუქანდა, როდესაც ბგერა მის ყურს მისწვდა. გოგონამ აშკარად იგრძნო, რომ ეს ძახილის ხმა იყო. ეს იმისთანა ძახილის ხმა იყო, რომლის გამგონეც სიხარულით მოინდომებდა დაჰყოლოდა ხმას და, უფრო მეტიც, ამ ხმის გამგონე უსათუოდ შეძლებდა დაჰყოლოდა ამ ხმას, თუნდაც ის მრავალი სამყაროებისა და საუკუნეების მიღმა ყოფილიყო. ამიტომ იყო, რომ გაკვირვებით კი გაუკვირდა, მაგრამ არც დამფრთხალა და არც შეშინებია,

როდესაც მოულოდნელად მის გვერდში გაჩნდა ახალგაზრდა, კეთილი და სათნო გამომეტყველების ქალი. პოლი მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო მეეტლის ცოლი, რომელიც ჩვენი სამყაროდან ჯადოსნური ბეჭდებით კი არ იქნა მოყვანილი, არამედ ნაბი ნიავივით მსუბუქი დაძახილით. ქალი ისე მოევლინა ამ ახლადშექმნილ სამყაროს, როგორც ჩიტი უბრუნდება თავის ბუდეს. ეტყობა ქალი რეცხვით იყო გართული, როდესაც დაძახილის ხმა მისწვდა მის ყურს – მკლავები იდაყვებამდე დაკაპიწებული ჰქონდა და წელზე წინსაფარი ერტყა. თვისი საგარეო კაბა რომ სცმოდა და თვისი საუკეთესო, ალუბლებიანი ქუდი რომ ხურებოდა, ალბათ, გულისამრევი სანახავი იქნებოდა. ასე, როგორც იყო, ძალიან მომხიბლავად გამოიყურებოდა.

რა თქმა უნდა, ქალს ეგონა სიზმარში ვარო. ამიტომ იყო, რომ ის მაშინვე არ მიეჭრა თავის ქმარს და არ დაუწყო გამოკითხვა, ეს რა დაგვემართაო ორივეს. მას შემდეგ, რაც ლომს შეხედა, მას ეჭვი გაუჩნდა – ეს მართლა სიზმარი იყო, თუ ცხადი.

თუმცა, რატომღაც, ქალი ძალიან შეშინებული მაინც არ გამოიყურებოდა. მერე ერთი-ორი კურცხალი ცრემლი გადმოაგდო, ისე, სოფლის გოგონებს რომ სჩვეოდათ იმ დროს. ამის მერე ის მივიდა და მეეტლეს ჩასჭიდა ხელი. იდგა ქალი მეეტლის გვერდით და მორცხვად ათვალიერებდა არე-მარეს.

– შვილებო, – თქვა ასლანმა და მზერა ორთაევეს მიაპყრო. – თქვენ უნდა გახდეთ ნარნიის პირველი მეფე და დედოფალი.

მეეტლემ გაოცებისაგან პირი დააღო, მის მეუღლეს კი სიწითლის ალმური ავარდა სახეზე.

– თქვენ უნდა ჩაიბაროთ აქ ყველაფრის მართვა-გამგეობა. ყველასა და ყველაფერს თქვენ უნდა უწოდოთ თავ-თავისი სახელი. სამართლიანად მოექეცით ყველას, დაიცავით ისინი მტრებისაგან, როცა მტრები გაჩნდებიან, მტრები კი გაჩნდებიან, რადგან ბოროტი გრძნეულია ამ სამყაროში შემოსული.

მეეტლემ ორჯერ-სამჯერ ჩაახველა და ხმა დაიწმინდა.

– ბოდიშით, სერ, – თქვა მან, – რაღა თქმა უნდა, დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემს მეუღლესთან ერთად, მაგრამ მე სამაგისო კაცი არა ვარ; მე ხეირიანი განათლება არასოდეს მიმიღია.

– მოიცა, – თქვა ასლანმა, – შეგიძლია ნიჩაბი და გუთანი მოიმარჯვო, რათა ამ მიწაზე ნაყოფი მოიწიო?

– დიახ, სერ, ეგეთი სამუშაო შემიძლია შევასრულო. მაგის მეტი რა მისწავლია!

– შეგიძლია მართო ეს ცხოველები სიცეთითა და სამართლით. შეგიძლია მუდამ გახსოვდეს, რომ ეს ცხოველები უტყვი მონა ცხოველები კი არ არიან, როგორც ეს იმ სამყაროშია, სადაც შენ დაიბადე, არამედ მეტყველი ცხოველები და თავისუფალი ქვეშევრდომები.

– გასაგებია, სერ, – მიუგო მეეტლემ. – ვეცდები ყველას სამართლიანად მოვექცე.

– შვილებსა და შვილიშვილებსაც ასწავლით, რომ ასე მოიქცნენ?

– ეგ უკვე ჩემზე იქნება დამოკიდებული, სერ. მე საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ. ხომ ასეა ნელი?

– მიკერძოებას ხომ არ გამოიჩენ ან შვილებიდან, ან ცხოველებიდან რომელიმეს მიმართ? ან ვინმეს ხომ არ დაჩაგრავ? ან სასტიკად ხომ არ მოექცევი?

– ეგეთი რამ მე თვითონ მეჯავრება, სერ. მართალს გეუბნებით, ვისაც რა ეკუთვნის, იმას მივაგებ. – თქვა მეეტლემ. (საუბარში მეეტლის ხმა თანდათანობით დინჯი და საკერდოვანი ხდებოდა. თანდათანობით დარბაისელი სოფლელი კაცის ხმას ემსგავსებოდა და ქალაქელი მეეტლის ხმას კარგავდა).

– და, თუ მტერი წამოვა ამ ქვეყნის წინააღმდეგ, მტერი კი აუცილებლად წამოყოფს თავს, და ომი გაჩაღდება, სრულ პასუხისმგებლობას თუ აიღებ თავზე?

– იცით, სერ, – თქვა მეეტლემ ძალიან დინჯად, – კაცმა არ უნდა დაიქადნოს, ამას და იმას ვიზამო, სანამ არ გამოუცდია ის საქმე. ომი არასდროს გადამიხდია, თუ მუშტიკრივს არ ჩავთვლით. მე იმას ვიტყვი, რომ ვეცდები; ვეცდები, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ის გავაკეთო.

– მაშინ, – თქვა ასლანმა, – რაც მეფის საქმეა, შენ უკვე იცი ის. ახლავე ჯიღას დაგადგამ. შენ და შენი შვილები, კურთხეულნი იქნებით. ზოგი მათგანი ნარნიის მეფე გახდება, ზოგი – არქენლანდისა, რომელიც სამხრეთის გადაღმა მდებარეობს. შენ კი, პატარა ასულო, – ლომი პოლის მიუბრუნდა, – უკვე აპატიე ბიჭს ის კადნიერება, რაც მან ჩაიდინა, წყეული ჩარნიის მიტოვებულ სასახლეში?

– დიახ, ასლან, ჩვენ ეს გადავლახეთ, – თქვა პოლიმ.

– ძალიან კარგი, – თქვა ასლანმა. – მოდი ახლა ბიჭს მივუბრუნდეთ.

თავი მეთერთმეტე

მარწყვას თავგადასავალი

დიგორი ენაჩაკმედილი იყო. თავს სულ უფრო და უფრო ცუდად გრძნობდა. იმედი ჰქონდა, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, სისულელეს არაფერს წამოაყრანტალებდა.

– ადამის ძევ, – თქვა ასლანმა, – მზადა ხარ გამოისყიდო ის დანაშაული, რომელიც ჩაიდინე ჩემი ტკბილი ქვეყნის – ნარნიის წინააღმდეგ, მისი დაარსების პირველ დღესვე?

– იცით, მე არ ვიცი როგორ მოვიქცე, – თქვა დიგორიმ. – აი, ეს როგორ მოხდა: დედოფალი გამომედევნა და...

– მე შენ იმას გეკითხები, მზადა ხარ-მეთქი? – თქვა ლომმა.

– დიახ, – თქვა დიგორიმ, რომელსაც მანამდე წამით თავში ასეთმა აზრმა გაუელვა: მოდი ლომს ვეტყვი: შენ თუ პირობას მომცემ, რომ დედაჩემს უშველი, მე შენ მოგეხმარები-მეთქი, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ლომთან გაუმართლებელი იყო რაიმეზე შეევაჭრება. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც „დიახო“ თქვა, ის დედამისზე ფიქრობდა. ფიქრობდა, თუ როგორ ეცლებოდა ხელიდან უკანასკნელი იმედი. ამის გააზრებაზე ბიჭს ყელში რაღაც მოებჯინა და თვალზე ცრემლი მოადგა.

– მაგრამ, გეთაყვა, თუ შეიძლება, – დაიწყო დიგორიმ სლუკუნით, – იქნებ ისეთი რამ მომცეთ, რომ დედაჩემი განიკურნოს!

აქამდე დიგორი ლომის დიდ ტორებსა და ვეება კლანჭებს დაჰყურებდა. სიმწრისაგან მან ახლაღა ასწია თავი და ლომს სახეში შეხედა. შეხედა და ისეთი რამ დაინახა, რომ გაოცებისაგან გაოგნდა. ამისთანა საოცარი ცხოვრებაში არაფერი ენახა: ლომს თვალი დაეხარა მისგან სულ ახლოს და, ჰოი, საკვირველებავ! ლომის თვალებში დიდი ცრემლები ბრჭყვიალებდა, დიგორის ცრემლებთან შედარებით ეს იმხელა ცრემლები იყო, რომ მოეჩვენა, თითქოს მასზე მეტად ლომს აწუხებდა დედამისის ჯანმრთელობის ბედი.

– შვილო, ჩემო შვილო, – თქვა ასლანმა. – ვიცი, დიდია შენი მწუხარება. ამ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ მე და შენ ვიცით რა არის მწუხარება. მოდი, ამიტომ პატივი ვცეთ ერთმანეთს. მე წინდაწინ უნდა ვიფიქრო ნარნიის მომავალ ასწლეულებზე. ის გრძნეული, რომელიც შენ ამ სამყაროში შემოიყვანე, კვლავ გამოჩნდება ნარნიაში. მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით არ უნდა მოხდეს. ნარნიაში ისეთი ხე უნდა დავნერგო, რომ მასთან ახლოს გაკარება ვერ გაბედოს გრძნეულმა. ეს ხე მრავალი წლის მანძილზე დაიცავს ნარნიას. ასე რომ, ამ ქვეყანას ჯერ გრძელი და ნათელი დილა ექნება და მხოლოდ ამის შემდეგ მოგროვდებიან ღრუბლები მის თავზე და მზეს დაფარავენ. შენ უნდა მომიტანო თესლი, რომლისაგანაც ის ხე აღმოცენდება.

– დიახ, სერ, – თქვა დიგორიმ. მან, თუმცა, ჯერ არ იცოდა, ეს როგორ უნდა მოეხერხებინა, მაგრამ შინაგანად იგრძნო, რომ ამის გამკეთებელი ნამდვილად იყო. ლომმა ღრმად შეისუნთქა, თავი დახარა და ბიჭს ლომის კოცნა აჩუქა. დიგორიმ მაშინვე იგრძნო, რომ ძალა და გაბედულება მოემატა.

– ჩემო ძვირფასო შვილო, – თქვა ასლანმა, – ახლა მე გეტყვი, რა უნდა გაკეთო. აბა, გაიხედე დასავლეთით და მითხარი, რას ხედავ?

– უზარმაზარ მთებს ვხედავ, ასლან, – მიუგო დიგორიმ. – ვხედავ, რომ მდინარე ჩანჩქერად გადმოდის კლდეებს შორის; კლდეების გადაღმა ტყიანი მწვანე ბორცვებია; იმის მიღმა კი თითქმის ჩაშავებული მთაგრეხილები მოჩანს; იმის მიღმა კიდევ, ძალიან შორს, ერთად შეხონხლილი თოვლიანი მთებია – ალპების ფოტოზე რომაა, ისეთი. იმის იქით კი ცის მეტს ვეღარაფერს ვხედავ.

– კარგი მხედველობა გქონია. – თქვა ლომმა. – ახლა დაიმახსოვრე: ნარნიის ქვეყანა მთავრდება იქ, სადაც ჩანჩქერი ჩამოდის. იმ კლდის თავებიდან უკვე ნარნიიდან გადადიხარ უდაბურ დასავლეთში. შენ იმ მთებში უნდა წახვიდე და მიაგნო მწვანე ხეობას, სადაც ლურჯი ტბა არის. ტბა ყინუ-

ლის მთებით არის შემორაგული. ტბის ბოლოში არის მწვანე ბორცვი, გორაკი. იმ გორაკის თავზე ბაღია გაშენებული. შუაგულ ბაღში ერთი ხე დგას. მოწყვიტე ერთი ვაშლი იმ ხეზე და მე მომიტანე.

– დიას, სერ, – კელავ ჩაილაპარაკა დიგორიმ, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, ან იმ კლდეებზე როგორ უნდა ასულიყო, ან მთებში მიმავალი გზისთვის როგორ უნდა მიეგნო. მას არ უნდოდა ეს ეკითხა იმის შიშით, რომ უკანდახევაში არ ჩამეთვალოსო. ერთი ესა თქვა მხოლოდ:

– ასლან, იმედია, ეს სწრაფად არ მოხდება, რადგან წასვლა-მოსვლაში ბევრი დრო წავა.

– ადამის პატარა ძეო, ამაში ჩვენ მოგეხმარებით, – თქვა ასლანმა. მერე მოუბრუნდა ცხენს, რომელიც აქამდე მშვიდად იდგა იქ და მხოლოდ კუდს იტყლაშუნებდა ბუზების მოსაგერიებლად, და საუბარს ისე უსმენდა ცალი ყურით, თითქოს ეძნელებაო გაგება.

– ჩემო კარგო, – უთხრა ასლანმა ცხენს, – არ გინდა ფრთოსანი მერანი იყო?

ამის გაგონებაზე უნდა გენახათ, როგორ შეარხია ცხენმა თავისი ფაფარი, როგორ გაუფართოვდა ნესტოები და როგორ შედგა ყალყზე. ცხადი იყო ცხენს ძალიან უნდოდა ფრთოსანი მერანი ყოფილიყო. მხოლოდ ესა თქვა ყასიდად:

– თუ თქვენ ასე გსურთ, ასლან, თუ თქვენ გნებავთ! ისე, არ ვიცი, რატომ მაინც და მაინც მე ამომირჩიეთ? მე არც ისე ჭკვიანი ცხენი ვარ.

– დაე, ფრთები შეგესხას! გახდი მამა ყველა ფრთოსანი ცხენისა! – იმისთანა ხმით დაიღრიალა ასლანმა, რომ მიწა შეიძრა. – შენი სახელი იყოს მერანი.

ცხენმა ჯერ დაიხვიხვინა, როგორც მაშინ ხვიხვინებდა, ეტლში რომ იყო ხოლმე შებმული; მერე დაიღრიალა; მერე კისერი ისე გადაიქნია უკან, გეგონებოდათ ზურგზე დასეული ბუზების მოგერიება უნდაო; და მერე, როგორც ცხოველები გადმოსცდნენ მიწიდან, ასევე ამოხეთქეს მერნის მხრებიდან ფრთებმა. მერე გაიზარდა და გაიშალა ფრთები. ჯერ არწივის



ფრთებს გაასწრო სიდიდით, მერე გედებისას, მერე ეკლესიის სარკმელში გამოხატული ანგელოზისას. ფრთებზე ბუმბული წაბლისა და სპილენძისფრად აუელვარდა. ცხენი ადგილიდან მოსწყდა და ცაში აიჭრა. ასლანის და დიგორის მაღლა ათ მეტრაზე გაიქროლ-გამოიქროლა, მერე ერთი წრე შეკრა, ქვემოთ წამოვიდა და ოთხივე ფლოქვით მიწას დაენარცხა. ცხენი გაოგნებულ იყო და უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ აშკარად ნასიამოვნები ჩანდა.

— როგორია, მერანო? — თქვა, ასლანმა.

— ძალიან კარგი, — თქვა მერანმა.

— რას იტყვი, წაიყვან ადამის პატარა ძეს იმ მთიან ხეობაში, მე რომ ვახსენე?

– რა? ახლა? დაუყოვნებლივ? – თქვა მარწყვამ, ანუ მერანმა (ამიერიდან მას ასე უნდა დაუძახოთ). – ვაშა! მოდი პატარავ, შენისთანები ადრეც მიტარებია ზურგით, ოღონდ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო, როცა მწვანე მინდვრებში დავნავარდობდი და შაქრით მიმასპინძლდებოდნენ.

– რას ჩურჩულებს ევას ორი ასული? – იკითხა ასლანმა და უცბათ პოლისა და მეეტლის ცოლს მიუბრუნდა, რომლებიც უკვე დამეგობრებულიყვნენ.

– თუ შეიძლება, სერ, – თქვა ელენე დედოფალმა (ასე ერქვა ახლა ნელის, მეეტლის ცოლს), – პატარა გოგონასაც სურს, რომ წავიდეს, თუ ეს ძნელი არ იქნება.

– მერანი რას იტყვის ამაზე? – იკითხა ასლანმა.

– ო, ორი იყოს, მე წინააღმდეგი არა ვარ, ორიც პატარაა. – თქვა მერანმა. – იმედია სპილოც არ მოინდომებს წამოსვლას.

სპილოს არანაირი სურვილი არ ჰქონია წასვლისა, ამიტომ ნარნიის მეფემ პატარები შემოსხა ცხენზე. დიგორი ისე შემოსვა, თითქოს ხმელ თივას ჭიდებდა ცხენს; პოლი კი ისე სათუთად შესვა, თითქოს ფაიფურისა იყო და ეშინოდა არ დამსხვრეულიყო.

– აბა, შენ იცი, მარწყვავ, მერანო, – თქვა მეფემ, – დიდ გზას ადგახარ.

– ძალიან მაღლა-მაღლა ნუ იფრენ, – თქვა ასლანმა. – ყინულოვან მთებს ნუ გადაუფრენ თავზე. ხეობებით, მწვანე მდელოების გავლით, იფრინე. გასასვლელი ყველა ხეობაში იქნება. აბა, დაიძარით ჩემი ლოცვა-კურთხევით.

– მიდი, მერანო! – თქვა დიგორიმ და ცხენს ფაფარში ჩაეჭიდა. – კარგია! პოლი, შენ მაგრა მომეჭიდე.

ამის მერე მათ ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ და მაღლა აიჭრნენ. მერანმა დიდი მტრედივით ერთი-ორჯერ წრე შეჭრა ადგილზე და დასავლეთისაკენ გაფრინდა. ქვემოთ რომ გადმოიხედა პოლიმ, ძლივსღა მოჩანდნენ მეფე და დედოფალი. თვით ასლანიც კამკამა ყვითელი ლაქასავით მოჩანდა მწვანე ბალახზე. მალე პირის ქარს წააწყდნენ და მერანმა მძლავრად მოუსვა თავისი ფრთები.

ბავშვები ზემოდან ათვალიერებდნენ ფერად-ფერადად მოჩითულ ნარნიას: სად ვაკეები და ველები იყო, სად – კლდეები და ქარაფები, სად – ვერცხლისფრად დაკლაკნილი მდინარე. ხელმარჯვნივ, ჩრდილოეთით, გამოჩნდა დაბალი მთიანეთი. იმ მთებს გაღმა მწვანე ვაკე იშლებოდა და ჰორიზონტს ერწყმოდა. ხელმარცხნივ უფრო მაღალი მთები იყო. შიგა და შიგ, მთებს შორის, უფსკრულები ღიობებსა ქმნიდნენ, საიდანაც მაღლა აწოწილი ფიჭვნარები მოჩანდა. აქედანვე შეიძლებოდა ერთი თვალის მოკვრით სამხრეთის ქვეყნების დანახვა, ლურჯად რომ მოჩანდნენ შორს.

– ალბათ, იქ უნდა იყოს არქენლანდის ქვეყანა, – თქვა პოლიმ.

– ალბათ, მაგრამ მოდი, აბა, წინ გაიხედე! – თქვა დიგორიმ.

მათ წინაშე მაღალი კლდეები იყო აღმართული. დიდ ჩანჩქერზე თვალისმომჭრელად კიაფობდნენ მზის სხივები. ეს ის ჩანჩქერი იყო, რომლის მეშვეობითაც ჩრდილოეთის ქვეყნებიდან მომდინარე და იქვე დაბადებული მდინარე გამაყრუებელი ღრიალით გადმოჩქეფდა ნარნიაში. ახლა ისინი უკვე იმ სიმაღლეზე იყვნენ, რომ ჩანჩქერის ღრიალი სულ ცოტათი ისმოდა, მაგრამ იმ სიმაღლეზე არ იყვნენ, რომ კლდეების ქედს ზემოდან გადაფრენოდნენ.

– ცოტა ზიგ-ზაგებით უნდა ვიფრინოთ, – თქვა მერანმა. – მაგრა ჩამეჭიდეთ.

მერანი წინ და უკან დაფრინავდა და ყველა მობრუნებაზე მაღლა-მაღლა მიიწევდა. რაც მაღლა მიდიოდნენ, სიცივე მატულობდა. მათგან ძალიან ქვევიდან არწივის ყეფა ისმოდა.

– უკან, უკან გაიხედე. – თქვა პოლიმ.

მათ წინაშე მთელი ნარნია ხელისგულივით გადაიშალა. აღმოსავლეთის ჰორიზონტზე ბუნდოვნად გამოჩნდა ზღვა. ახლა უკვე იმსიმაღლეზე იყვნენ, რომ სამხრეთის მთები, ფიჭვნარები და ველები ქვიშასავით წვრილად მოჩანდნენ.

– ნეტა შეიძლებოდეს ვინმემ გვითხრას, რა ხდება იმ ადგილებში, აქედან რომ ვხედავთ. – თქვა დიგორიმ.

– არა მგონია, იქ ჯერჯერობით რაიმე ხდებოდეს, – თქვა პოლიმ. – იქ არავინ არის და რა უნდა ხდებოდეს? ამ სამყაროს სომ დღეს დაიწყო თავისი არსებობა!

– კი მაგრამ ხალხი ხომ დასახლდება მანდ, – თქვა დიგორიმ. – აქაურობას თავისი ისტორია ექნება.

– საბედნიეროდ ჯერ არანაირი ისტორია არ არსებობს, – თქვა პოლიმ. – რომც იყოს ვის უნდა ასწავლო? არც თარიღებია დასასწავლი და არც საბრძოლო თაეგადასავლები.

ახლა ისინი უკვე კლდეების თსემს გაუსწორდნენ, რამოდენიმე წუთში მათ ზურგს უკან ნარნია თვალს მოეფარა. ისინი მიფრინავდნენ ქარაფიანი ბორცვებისა და უღრანი ტყეების ქვეყნის თავზე, უდაბური ქვეყნის თავზე და კვლავ მდინარის კალაპოტს მიუყვებოდნენ. წინ მართლა მაღალი მთები მოჩანდა. მაგრამ მოგზაურები მზის მიმართულებით მიფრინავდნენ ახლა და წინ ყველაფერს ცხადად ეეღარ ხედავდნენ. მზე ნელ-ნელა ძირს დაეშვა და დასავლეთის ცა გამდნარი ოქროს ქურას დაამსგავსა. ბოლოს ის ერთი წამახული მწვერვალის მიღმა ჩაესვენა, რომელიც ისე აეფარა მზის ელვარებას, გეგონებოდათ მუყაოსგან გამოჭრილი ფარიაო.

– საკმაოდ კი ცივა აქ. – თქვა პოლიმ.

– მე კი უკვე ფრთები დამეღალა. – თქვა მერანმა.

ასლანმა რომ გვითხრა ისეთი ტბიანი ხეობა არსადა ჩანს. იქნებ სადმე ხეირიან ადგილას დავეშვათ და ღამე გავათიოთ? ამაღამ მაინც ვერ მივაღწევთ იმ ადგილამდე.

– კი, ბატონო, – თქვა დიგორიმ. – ეგეც არ იყოს, ახლა უკვე ვახშმობის დროა. ასე რომ, მერანი ნელ-ნელა ძირს დაეშვა. მიწას რომ მიუახლოვდნენ, დასთბათ და ამდენი ხნის ფრენის შემდეგ ნაცნობი ხმები რომ შემოესმათ, ესიამოვნათ (გზაში მხოლოდ მერნის ფრთების ტყლაშუნი ესმოდათ). ეს იყო მდინარის ჩხრიალი, ქარისაგან დარწეული ხეების ჭრიალი. ცხვირში მზეგე გაფიცხებული მიწისა და ყვავილების სურნელი ეცათ. როგორც იქნა მიწაზე დაჯდა მერანი. დიგორი ჯერ თვითონ ჩაცურდა ცხენიდან და მერე პოლის მიეხმარა ჩამოსვლაში. ორივეს ესიამოვნა ფეხის გაშლის საშუალება რომ მიეცათ.

ხეობა, რომელშიაც ისინი დაეშვნენ მთებით იყო გარშემორტყმული. ზემოდან დაჰყურებდათ ერთი თოვლით დაფარული მთა, რომელიც ჩამავალი მზის შუქზე ვარდისფრად გამოიყურებოდა.

– მშია, – თქვა დიგორიმ.

– კი, ბატონო, მიირთვით, – თქვა მერანმა და პირით ერთი ბღუჯა ბალახი მოგლიჯა. მერე თავი ასწია და პირის ორივე მხარეს ულვაშებივით გამოჩრილი ბალახის ხრამუნით თქვა. – მოდით, ორივე. ნუ გრცხვენიათ, აქ იმდენი ბალახია ყველას გვეყოფა.

– დიდი მადლობა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ბალახის ჭამა. – თქვა დიგორიმ.

– ჰმ, ჰმ, – თქვა მერანმა, რომელსაც პირი კვლავ ბალახით ჰქონდა გამოვსილი. – ჰმ, მაშინ მე არ ვიცი თქვენ რას იზამთ. ისე, რომ იცოდეთ, ძალიან კარგი ბალახია.

პოლი და დიგორი ერთმანეთს გაწბილებულები მიაჩერდნენ.

– მეგონა, ჩვენს ვახშამზე ვინმე იზრუნებდა. – თქვა დიგორიმ.

– რომ გეთსოვათ, ასლანი მოაგვარებდა მაგას. – თქვა მერანმა.

– მაგას რა თხოვნა უნდოდა, თავად ვერ უნდა მიმხვდარიყო? – თქვა პოლიმ.

– რა თქმა უნდა, მიხვდებოდა, – თქვა ცხენმა, – მაგრამ მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მას უყვარს, როცა სთხოვენ.

– კარგი, მაგრამ ახლა რა ვქნათ? – იკითხა დიგორიმ.

– მე ნამდვილად არ ვიცი, – თქვა ცხენმა. – შემიძლია ბალახი შემოგთავაზოთ. შეიძლება უკეთესად გეჩვენოთ, ვიდრე თქვენ ახლა გგონიათ.

–კარგი, ნუ სულელობ! – თქვა პოლიმ და გაჯავრებისაგან ფეხი დაჰკრა მიწას. – ადამიანები ისევე ვერ მოძოვენ ბალახს, როგორც შენ ცხვრის ხორცს ვერ შეჭამ.

– ღვთის გულისათვის, ნუ ახსენებ ჩახრაკულს და მისთანებს, – თქვა დიგორიმ, – ეგ უარესად მოგვამშიებს.

დიგორიმ პოლის შესთავაზა, რომ ბეჭდით შინ დაბრუნებულიყო და საჭმელი რამე წამოეღო თან. მან გოგონას აუხსნა, რომ თავად ამას ვერ იზამდა, რადგან ასლანისათვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ პირდაპირ მისი დავალების შესასრულებლად წავიდოდა. შინ წასვლა კი სახიფათო იმიტომ იყო, რომ შინ მისულს შესაძლოა ათასი რამ შემთხვეოდა და უკან ვეღარ დაბრუნებულიყო. პოლიმ იუარა დიგორი დაეტოვებინა და ისე წასულიყო. ამაზე დიგორის წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

– მოიცა, – თქვა პოლიმ, – ეაკეტის ჯიბეში მე ისევ უნდა მქონდეს ირისის პარკი. სულ არარაობას ხომ აჯობებს,

– რა თქმა უნდა, აჯობებს, – თქვა დიგორიმ, – მაგრამ ფრთხილად, ხელი ბეჭედზე არ მოგიხვდეს.

ეს საკმაოდ საძნელო და საფრთხილო საქმე იყო, მაგრამ როგორც იქნა გაართვეს ამას თავი. პატარა ქაღალდის პარკში ისე იყო ჩაჭეჭყილი და ჩაწებებული ირისი, რომ მისი პარკიდან ამოღებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. პარკი უნდა შემოეხიათ გარედან. დიდები ამისთანა ირისის ჭამას, სულ უჭმელობას ამჯობინებდნენ (ხომ იცით თქვენ როგორი ახირება სჩვევიათ უფროსებს ამისთანა რამეებზე). სულ ცხრა ირისი აღმოჩნდა. დიგორის ასეთი ჭკვიანური აზრი დაებადა: თითოეულს ოთხ-ოთხი ირისი შეეჭამა, მეცხრე კი მიწაში დაეფლათ. დიგორი ასე ფიქრობდა: თუ ლამპიონის კეტი შეიძლება, რომ პატარა მანათობელ ხედ ამოიზარდოს, რატომ არ შეიძლება, რომ ირისი ირისის ხედ ამოზრდილიყო? ასე რომ, პატარა ორმო ამოთხარეს და ირისის ნატეხი შიგ ჩაფლეს. მერე დანარჩენ ნაწილებს შეექცნენ. მიუხედავად იმისა, რომ ირისზე შემოხვეული ქაღალდიც ზედ მიაჭამეს, მაინც ვერ დანაყრდნენ.

როდესაც მერანმა მოათავა თავისი ყუათიანი ვახშამი, დასაძინებლად დაწვა. ბავშვებიც აქეთ-იქიდან შემოუსხდნენ და მიეხუტნენ მის თბილ სხეულს. ხოლო, როდესაც მერანმა ფრთები გადააფარა მათ, ორივემ მყუდროდ იგრძნო თავი. ხოლო როდესაც ცა ახალი სამყაროს ბრდღვიალა ვარსკვლავებით

მოიჭედა, ბავშვებმა მუსაიფი გააბეს; ჯერ იმაზე ჩამოაგდეს საუბარი, თუ როგორი იმედი ჰქონდა დიგორის, რომ დედამისისათვის წამალს იშოვიდა და აბის მაგივრად ასლანის დავალებით ამ გზაზე აღმოჩნდნენ. ხან ის ნიშნები გადაიმეორეს, რომლის მიხედვითაც უნდა მიეგნოთ იმ ადგილისათვის, სადაც მიდიოდნენ: ლურჯი ტბა, ბორცვი, ბორცვის თავზე გაშენებული ბაღი. ის ის იყო საუბარი უნდა დაესრულებინათ ძილმორეულებს, რომ უცებ პოლი წამოსტა ადგილიდან და თქვა



– ჩუ!

ყველა მოსასმენად გაინაბა.

– შეიძლება უბრალოდ ქარმა შეარხია ხეები. – თქვა დიგორიმ.

– არა მგონია, – თქვა მერანმა, – მოიცა, მოიცა! რაღაც ფაჩუნობს იქ. ასლანის მგზემ, აქ რაღაც ხდება.

ცხენი საშინელი ჭიხვინით წამოიჭრა ადგილიდან. ბავშვები უკვე ფეხზე იყვნენ. მერანი გადი-გამოდიოდა, რაღაცას სუნავდა და ფრუტუნებდა. ბავშვებიც მას მისდევდნენ და გულმოდგინედ ჩხრეკდნენ ბუჩქებსა და ხეებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ მართლა რაღაცა იყო. ერთხელ პოლიმ თითქოს დანამ-

დვილებით მოჭრა თვალი მაღალ ბნელ სილუეტს, რომელიც სწრაფად გატრიალდა და დასავლეთით გაქუსლა. მაგრამ, ბოლო-ბოლო, რაკი ვერაფერი ნახეს, მერანი ისევ დაწვა და ბავშვებმაც მყუდროდ მოიკალათეს მის ფრთებქვეშ. ბავშვებს მაშინვე წაართვა ძილმა თავი. მერანმა კიდევ ერთ ხანს იფსიზლა ბნელაში ყურებდაცქვეტილმა, მაგრამ ბოლოს მასაც ჩაეძინა.

თავი მეცამეტე

მოულოდნელი შეხვედრა

– გაიღვიძე, დიგორი! გაიღვიძე, მერანო! – გაისმა პოლის ხმა: – ირისის ხე ამოვიდა. საოცარი დილა გათენდა.

გარიჟრაჟის სხივები ჭავლივით იღვრებოდა ტყეში, ცვრიან ბალახს ნაცრისფერი დაჭრავდა და ადგილ-ადგილ გაბმული აბლაბუდები ვერცხლისფრად კიაფობდა. მათ გემოდან თავს დაჰყურებდათ ვაშლისხის ხელა ხე. მოთეთრო ქაღალდივით ფოთლები ჰქონდა ხეს და პატარა ყავისფერი ნაყოფით იყო დახუნძლული.

– ვაშა! – წამოიძახა დიგორიმ, – მე ჯერ უნდა წავიდე და წყალში ჩავხტე. თქვა დიგორიმ და ჯაგნარ-ჯაგნარ მდინარის ნაპირისაკენ დაეშვა. გიბანავიათ ოდესმე მთის მდინარეში, რომელსაც მზე აჭერს და რომლის თავთხელი ჩანჩქერებიც წითელ, ყვითელ და ლურჯ ლოდებს თავს ევლება? ზღვის წყალივით კარგია, ზოგჯერ სჯობია კიდეც მას. მართალია წყლიდან ამოსული დიგორი იძულებული იყო ტანი არ გაემშრალებინა და ისე ჩაეცვა ტანსაცმელი, მაგრამ ბანაობა ბანაობად ღირდა. როდესაც დიგორი დაბრუნდა, ახლა პოლი წავიდა საბანაოდ. ყოველ შემთხვევაში, პოლიმ ასე სთქვა: საბანაოდ ვიყავიო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პოლი დიდი მოცურავე არ იყო და ამიტომ უმჯობესია ნუ ჩავეძიებით, რისთვის იყო პოლი წასული. მერანიც ჩავიდა მდინარეზე მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ შუა დინებაში შესულს ბლომად შეესვა წყალი, მერე ფაფარი შეიბერტყა და რამოდენიმეჯერ დაიხვიხვინა.

პოლი და დიგორი ახლა ირისის ხეს შეესიენ. ნაყოფი გემრიელი იყო. ნაყოფი მაინცდამაინც ირისს არ ჰგავდა, უფრო რბილი და წყლიანი იყო. ეს იყო ნაყოფი, რომელიც კაცს ირისის გემოს მოაგონებდა. მერანმაც მშვენივრად ისაუზმა. მან ირისის ნაყოფიც გასინჯა და მოიწონა, მაგრამ, როგორც თვითონ თქვა, იმ დილას ბალახი უფრო ეგემრიელებოდა. მერე, როგორც იქნა, ბავშვები მცირედი გაჭირვებით შემოასხდნენ ცხენს ზურგზე და ამით დაიწყო მეორე მოგზაურობა.

ეს დღე გუშინდელს სჯობდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამივე დასვენებული იყო და მხნედ გრძნობდა თავს, მეორეც იმიტომ, რომ ახლად ამოსული მზე ახლა ზურგიდან ადგათ და, როცა მზე უკნიდან დაგნათის, რა თქმა უნდა, ყველაფერს უკეთ ხედავ. ძალიან სასიამოვნო იყო ახლა ფრენა. ყველა მხრიდან თოვლით დაფარული მთები დაჰყურებდნენ. მათ ქვემოთ, ძალიან დაბლა, სიღრმეში, ხეობა იმისთანა ამწვანებული იყო და ყინულიდან ნაეური თოვლის ნაკადები, რომლებიც დიდ მდინარეს ერთვოდა, იმისთანა ლიკლიკა ლურჯი იყო, რომ გეგონებოდათ უზარმაზარი სამკაულის ნაწილიაო ხეობაში გაგებული. მოგზაურობის ეს ნაწილი ბევრად უფრო მალე გათავდა, ვიდრე მგზავრებს ესიამოვნებოდათ. მაგრამ ძალიან მალე მათ ცხვირში უცნაური სუნი ეცათ.

— ეს რა არის? — ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს. — გესმის რაღაცის სუნი? საიდან მოდის ეს სუნი?

ისინი მიხვდნენ, რომ წინიდან მოდიოდა რაღაც ზეციური სუნი თბილი და ოქროსფერი, გეგონებოდათ, რაც კი სამყაროში ხილი და ყვავილებია მათი სურნელება ერთად შეუზავებიათო.

— ეს იმ ხეობიდან მოდის, სადაც ტბა არის, — თქვა მერანმა.

— აი, ისიც — თქვა დიგორიმ, — დახეთ! ბორცვი გამოჩნდა, ტბის ბოლოს რომ ბორცვია, ის ბორცვი გამოჩნდა! ნახეთ როგორი ლურჯია წყალი!

— ეს ის ადგილია! — თქვა სამივემ.

მერანი ნელ-ნელა წრიულად ეშვებოდა. ყინულოვანი მწვერვალები სულ უფრო და უფრო მაღლიდან დაჰყურებდნენ მათ. ჰაერი თანდათანობით გათბა და დატკბა. ისე დატკბა, ლამის თვალებზე ცრემლი მოედინებინა მოგზაურებისთვის. მერანი ფრთებს აღარ ატყლაშუნებდა. ორთავე ფრთა უმოძრაოდ ჰქონდა გაშლილი და ფლოქვები მიწაზე დასაშვებად ჰქონდა მომზადებული. ციცაბო მწვანე ბორცვი მათ შესახვედრად მოექანებოდა. ცოტა მოგვიანებით ცხენი უხერხულად დაებერტყა ფერდაზე. ბავშვები ძირს გადმოცვივდნენ, ოღონდ არაფერი



სტკენიათ თბილსა და ბიბინა ბალახებში. მაშინვე წამოხტნენ და ფეხში გაიმართნენ.

ისინი ისეთ ადგილას დაეშვნენ, საიდანაც ბორცვის თხემისკენ მიმავალი გზის სამი-მეოთხედიღა იყო გასავლელი. მგზავრები მაშინვე შეუდგნენ ბორცვის თხემისაკენ მიმავალ გზას. (რომ არა ფრთები, რომლებიც წონასწორობის დაცვაში ეხმარებოდა მერანს და რომელთაც შიგადაშიგ აფრიალებდა, არა მგონია, შესძლებდა ფერდობზე სიარულს). ბორცვის თხემს ირგვლივ მაღალი მწვანე ბალახის გალავანი ერტყა. გალავნის შიგნით ხეები იდგა. მათი ტოტები გალავნის კედლებზე გადმოწოლილიყო. ქარი რომ დაუბერავდა მათი ფოთლები არა მარტო მწვანედ, არამედ ლურჯად და ვერცხლისფრადაც კი

ელვარებდნენ. მოგზაურებმა ბორცვის თხემს რომ მიაღწიეს, ლამის მთელი მწვანე გალავანის შემოელა დასჭირდათ, ვიდრე კარიბჭეს მიაგნებდნენ. მაგრად ჩარაზული ოქროს მაღალი კარიბჭეები აღმოსავლეთის მხარეს იყო დატანებული.

ვიდრე აქამდე მიაღწევდნენ, მე მგონი, პოლის და მერანს უნდოდათ შიგ შეჰყოლოდნენ დიგორის, მაგრამ აქ რომ მივიდნენ, ეს სურვილი დაეკარგათ. თქვენ არასდროს გინახავთ ასე თვალშისაცემად განკერძოებული ადგილი. ერთი თვალის გადავლებითაც ადვილად მიხვდებოდა კაცი, რომ ეს ადგილი ვიღაც სხვას ეკუთვნოდა. თუ აქ კაცი საგანგებო დავალებით არ იქნებოდა გამოგზავნილი, სულელი უნდა ყოფილიყო, რომ შიგნით შესვლაზე ეოცნება. დიგორი მაშინვე მიხვდა, რომ სხვები, არა თუ არ შეჰყვებოდნენ შიგნით, არამედ ვერც შეჰყვებოდნენ. ამიტომ მარტომ გასწია კარიბჭისაკენ.

კარიბჭეს რომ მიუახლოვდა, ოქროზე ვერცხლის ასოებით ნაწერი სიტყვები შენიშნა. წარწერა ასეთი იყო:

„თუ შემომსველელი ხარ ან ოქროს კარიბჭეებით შემოდი,
ან სულ ნუ შემოხვალ.
ინებე ჩემი ნაყოფი ან სხვათათვის, ან თავი შეიკავე.
ვინც მოიპაროს, ანდა ვინც ჩემს გალავანზე გადმოვრეს,
თავისი გულის საწადელი ნახოს და სასოწარკვეთილებაში
ჩავარდეს“.

– „ინებე ჩემი ნაყოფი სხვათათვის.“ – ჩაილაპარაკა დიგორიმ თავისთვის, – მეც მაგას არ ვაპირებ? ასე რომ მე არ უნდა შევჭამო ნაყოფი, ასე გამოდის. ამ წინადადებას ვერ ვხვდები, რას ნიშნავს. „ოქროს კარიბჭეებით შემოდი“. ვინ სულელი მოინდომებს ამ გალავანზე გადაძვრომას, თუ შიგ კარიბჭეებით შეუძლია შევიდეს!. კი მაგრამ კარიპჭეები როგორ უნდა გააღო?

დიგორიმ ხელი კარიბჭეს შეახო, უცებ კარიბჭეები გაიხსნა; კარიბჭის ფრთები შიგნით შეიღო ისე, რომ ანჯამებს ერთი ჭრიალი არ გაუღიათ.

რაც ასლა დიგორიმ შიგნით დაინახა, ეს კიდევ უფრო განცერძოებულად გამოიყურებოდა. დიგორიმ ღირსეულად შეაბიჯა შიგნით. შიგნით საოცარი სიმშვიდე სუფევდა. შუაგულ ბაღში მდებარე შადრევანიც კი სულ უმნიშვნელო სმას გამოსცემდა. ირგვლივ საოცარი სურნელი ტრიალებდა. ეს იყო ძალიან ნეტარი, ოღონდ ძალიან დამაფიქრებელი ადგილი.

დიგორი მაშინვე მისვდა რომელი იყო ის ხე, რომელსაც ეძებდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ის ხე ბაღის შუაგულში იდგა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ დიდი ვერცხლის ვაშლები, რომლითაც ხე იყო დახუნძლული, ანათებდნენ და თავის ნათელს ჰფენდნენ ისეთ მოჩრდილულ ალაგებში, სადაც მზის შუქი ვერ აღწევდა. დიგორი პირდაპირ მივიდა ხესთან, მოწყვიტა ერთი ვაშლი და თავისი ნორფოლკული პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო. მაგრამ ვიდრე ჯიბეში ჩაიდებდა თავი ვერ შეიკავა, რომ კარგად არ დაეთვალიერებინა და არ დაეყნოსა.

ისე აჯობებდა, რომ ეს არ გაეკეთებინა. საშინელი წყურვილისა და შიმშილის გრძნობა დაეუფლა მას. ძალიან მოუნდა ვაშლისთვის გემო გაესინჯა. მან სასწრაფოდ ჯიბისაკენ გააქანა ვაშლი, მაგრამ მის თვალწინ უამრავი ვაშლი იყო. „რა უშავდა, ერთი მათგანი რომ გაესინჯა? გარდა ამისა, კარიბჭეებზე გაკეთებული წარწერა შეიძლება სულაც არ ყოფილიყო ბრძანება,"– ფიქრობდა დიგორი. – „შეიძლება ეს მხოლოდ რჩევა ყოფილიყო, ერთი ვაშლის შეჭმა რა ურჩობაში ჩაეთვლებოდა? ის ხომ უკვე დაემორჩილა ბრძანების იმ ნაწილს, რომელიც ამბობს „სხვებისათვის ინებეო."

როდესაც დიგორი ამაზე ფიქრობდა, უცებ მაღლა აიხედა ხის კენწეროსაკენ. მაღლა ერთ ტოტზე ერთი ლამაზი ფრინველი თვლემდა. თვლემდაო იმიტომ ვიძახი, რომ თითქმის მძინარე გეგონებოდათ, მაგრამ მთლად მძინარეც არ იყო. ცალი თვალის ქუთუთო ოდნავ ღია ჰქონდა დარჩენილი. ფრინველი არწივზე დიდი იყო ზომით. გული საფირონის ფერისა ჰქონდა, თავი ჭიაფერი და ბოლო ძოწისფერი.

„ფრინველი თავს იმძინარებდა,"– იტყოდა ხოლმე დიგორი მოგვიანებით, როდესაც სხვებს უყვებოდა თავის თავგადასა-

ვალს. – „ჯადოსნურ ადგილებში დიდი სიფრთხილეა საჭირო. ვინ გითვალთვალებს და ვინ არა, არ იცი.“

მე მგონია, რაც არ უნდა ყოფილიყო, არ მოწყვეტდა ვაშლს თავისთვის. რადგან მის დროს ბიჭებს დღევანდელთან შედარებით ბევრად უფრო მტკიცედ ჰქონდათ თავში ჩაბეჭდილი მცნება: „არ იპარო!“ მაგრამ მაინც დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია.

დიგორი ის-ის იყო უკან უნდა გამობრუნებულიყო კარიბჭეებისაკენ, რომ ერთი შეჩერდა, რათა იქაურობისათვის უკანასკნელად მოევლო თვალი. ბიჭს თავმარი დაეცა, როცა დაინახა, რომ ის იქ მარტო არ იყო. მისგან რამოდენიმე მეტრის მოშორებით გრძნეული იდგა. მას ერთი ვაშლი შეეჭამა და ნაჭამი ვაშლის გული განზე ისროლა. ეტყობოდა ვაშლის წვენი წარმოუდგენლად მუქი იყო და ამიტომ ჰქონდა გრძნეულს პირი საშინლად მოთხუპნილი. დიგორი მაშინვე მიხვდა, რომ გრძნეული გალავანზე გადმოპარულიყო. ბიჭი ახლაღა მიხვდა, რას ნიშნავდა წარწერის ბოლო სიტყვები: გულის საწადელი ნახოს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდესო. და მართლაც, გრძნეული ახლა უფრო ძლიერად, უფრო ამაყად და უფრო ძლევამოსილად გამოიყურებოდა ვიდრე ოდესმე. მაგრამ სახე საშინელი თეთრი ჰქონდა, თეთრი, როგორც მარილი.

ყოველივე ამან დიგორის გონებაში წამში გაიელვა. ბიჭი ადგილს მოსწყდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კარიბჭისაკენ მოკურცხლა. გრძნეულიც გამოიქცა და ბიჭს დაედევნა. როგორც კი დიგორი კარიბჭეს გასცილდა, ბჭეები თავისით დაიკმანა. ბიჭმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ამ შვებამ დიდ ხანს არ გასტანა. მანამ ბიჭი თავისიანებთან მიეარდებოდა და დასძახებდა: „პოლი, ცხენს შეაჯექი! მერანო, წამოდექი!“ გრძნეულს უკვე მოესწრო გალავანზე გადმოძრომა, თუ გადმოფრენა. და ფეხდაფეხ მოსდევდა მას.

– შესდექ, სადაცა ხარ! – იყვირა დიგორიმ და შემოუბრუნდა გრძნეულს, – თორემ ახლავე გაუჩინარდები! ერთი გოჯით არ მომიახლოვდე!

– სულელო ბიჭუნა, – თქვა გრძნეულმა. – მე რას გამირ-ბიხარ? მე ცუდს არაფერს გიპირებ. თუ შენ ახლა არ შეჩერ-დები და ყურს არ დამიგდებ, ისეთ რამეს დაკარგავ, რასაც შეუძლია მთელი ცხოვრება ბედნიერებად გიქციოს.

– არანაირი სურვილი არა მაქვს მაგის მოსმენის, დიდი მადლობა! – თქვა დიგორიმ. მაგრამ სინამდვილეში სურდა გაეგო, რას ეტყოდა გრძნეული.

– მე ვიცი რა დავალებითაც მოხვედით, – განაგრძო გრძნე-ულმა. – წუხელ ტყეში მე თქვენზე ვიყავი მოყურადებული და გავიგონე, რას თათბირობდით. შენ იმ ბაღიდან ნაყოფი მოწ-ყვიტე. ახლა ის ნაყოფი ჯიბეში გიდევს. შენ გინდა გაუსინჯა-ვად ლომს მიართვა, რათა მან შეჭამოს, რომ მან ისარგებ-ლოს ნაყოფით, შე უგუნურო! იცი კია ეგ რა ნაყოფია? მე გეტყვი: ეგ არის ვაშლი სიჭაბუკისა და ვაშლი სიცოცხლისა, მე ვიცი, რადგან მისი გემო მაქვს გასინჯული. მე ჩემში უკვე იმისთანა ცვლილებას ვგრძნობ, რომ ვიცი აღარასოდეს დავ-ბერდები და არც მოვკვდები. შეჭამე ვაშლი, ბიჭუნა, შეჭამე და მე და შენ მარადიული სიცოცხლე გვექნება. შენ მეფე იქნები და მე დედოფალი ამ სამყაროსი, ანდა შენი სამყარო-სი, თუკი ჩვენ იქ მოვინდომებთ უკან დაბრუნებას.

– დიდი მადლობა, – თქვა დიგორიმ. – რა ფასი ექნება ჩემთვის სიცოცხლეს თუკი ჩემი ნაცნობებიდან ცოცხალი აღა-რავინ იქნება? მე მირჩევნია ჩვეულებრივად ვიცხოვრო, მოე-კვდე და ზეცაში წავიდე.

– დედაშენს რატომ არ გინდა ანგარიში გაუწიო? ვითომ დედა ძალიან გიყვარს!

– დედაჩემი აქ რა შუაშია? – თქვა დიგორიმ.

– შე სულელო, ნუთუ მაგდენსაც ვერ ხვდები, რომ ვაშლის ერთი მოკბეჩაც კი წამალი გაუხდება დედაშენს?! ვაშლი შენ უკვე ჯიბეში გაქვს. ჩვენ აქ მარტო ვართ და ლომიც შორს არის აქედან. მიმართე შენს ჯადოსნურ ბეჭედს და გაბრუნდი შენს საკუთარ სამყაროში. წამში შენ დედაშენის საწოლთან გაჩნდები და მისცემ მას ნაყოფს. ხუთ წუთში დაინახავ, რო-გორ მოფერიანდება დედაშენი. მერე ის გეტყვის, რომ ტკივი-

ლებმა გაუარა. მერე გეტყვის, რომ თავს უკეთა გრძნობს. მერე მას ტკბილად ჩაეძინება. ფიქრობ, რას ნიშნავს, რომ ის საათობით ბუნებრივი ძილით დაიძინებს ტკივილების გარეშე, წამლების გარეშე? მეორე დღეს ყველა იმაზე ილაპარაკებს, როგორ საკვირველად გამოჯანმრთელდა დედაშენი. მალე ის ფეხზე დადგება, ყველაფერი კვლავ კარგად იქნება. თქვენი სახლი კვლავ ბედნიერებით აივსება. შენც სხვა ბიჭებივით იქნები.

– ო! – გველნაკბენივით წამოიყვირა დიგორიმ და თავი ხელებში ჩარგო. ის ახლაღა მიხვდა, თუ რა საშინელი არჩევანის წინაშე იდგა.

– რა გაუკეთებია შენთვის ლომს, საიმისო, რომ მას დაემონო? – თქვა გრძნეულმა. – როდესაც შენს სამყაროში დაბრუნდები, ლომი აქედან რას დაგაკლებს? ან დედაშენი რას იფიქრებდა, რომ გაეგო ეს ამბავი: რომ შენ შეგეძლო მისი ტკივილების დაამება, მისთვის სიცოცხლის ჩუქება, მამაშენისთვის გულისხვეთქვის არიდება და შენ ეს არ გაკეთე, მხოლოდ იმიტომ რომ სრულებით უცხო სამყაროში ერთი ველური ნადირის დავალებებს ასრულებ, რაც სულაც არ არის შენი საქმე!

– მე არა მგონია, რომ ის ველური ნადირია, – თქვა დიგორიმ ჩახლეჩილი ხმით. – ის არის... არ ვიცი...

– ნადირი კი არა იმაზე უარესია, – თქვა გრძნეულმა. – აბა, ნახე შენ უკვე რა დღეში ჩაგაგდო. ნახე როგორ უგულო ადამიანად გაქცია. ვინც მას ყურს უგდებს, ყველა ეგეთ დღეში ვარდება. სასტიკო და უმოწყალო ბიჭო! შენ გირჩევნია დედაშენს სული ამოსძვრეს, ვიდრე...

– გეყოფა, გაჩერდი! – თქვა დიგორიმ იმავე ხმით. – რა გგონია, მე მაგდენს ვერ ვხვდები? მაგრამ მე, მე პირობა მივეცი.

– აა, მაგრამ შენ ხომ არ იცოდი, რის პირობას აძლევდი? აქ შენი ხელის შემშლელი არავინაა.

– დედაჩემიც არ მომიწონებდა ამას. – ძლივს ამოთქვამდა სიტყვებს დიგორი, – ძალიან მკაცრად ითხოვს დედაჩემი პი-

რობის შესრულებას, არ მოპარვას და მისთანებს. დედაჩემი რომ აქ იყოს, არ გაკეთოო ეს, ამას მეტყოდა.

– მაგრამ რა საჭიროა, რომ დედაშენმა გაიგოს ეს ამბავი? – თქვა გრძნეულმა, რომელიც ბევრად უფრო ტკბილ ხმაზე საუბრობდა ახლა, ვიდრე თქვენ წარმოიდგენთ, რომ ამისთანა სასტიკი გამომეტყველების ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს. – შენც ნუ ეტყვი დედაშენს, როგორ ჩაგივარდა ვაშლი ხელში. მამაშენმა კი სულ არ არის საჭირო იცოდეს ეს ამბავი. შენს სამყაროში არავინ უნდა იცოდეს მთელი ეს ამბავი. ამ გოგონასაც ნუ წაიყვან თან. გასაგებია?

აი, აქ კი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა გრძნეულმა. რა თქმა უნდა, დიგორიმ კარგად იცოდა, რომ პოლის საკუთარი ბეჭდით შეეძლო მასავით შინ დაბრუნება, მაგრამ, ეტყობა, ეს გრძნეულმა არ იცოდა. ამ სასტიკმა წინადადებამ, რომ პოლი იმ სამყაროში დაეტოვებინა, დიგორის თვალი აუხილა. მისვდა, რომ ყველაფერი, რასაც აქამდე ელაპარაკებოდა გრძნეული ყალბი და მიუღებელი იყო. მიუხედავად იმ საშინელი მდგომარეობისა, რომელშიაც დიგორი იყო, მას მაინც გონება გადაეწმინდა და თქვა (განსსვავებული და ბევრად მაღალი ხმით):

– მოიცა, მოიცა, შენ რატომა ხარ ყოველივე ამით დაინტერესებული? როდის აქეთ განაღვლებს დედაჩემის ბედი? შენ რა გესაქმება ყოველივე ამასთან? რა თამაშს მეთამაშები?

– ყოჩაღ, დიგ! – ჩასძახა პოლიმ ბიჭს ყურში. – ჩქარა! წავედით ახლა!

პოლი აქამდე სიტყვის ამოღებას ვერ ბედავდა ჯადოქრის წინააღმდეგ, რადგან დიგორის დედის სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო ლაპარაკი და არა დედამისის.

– შევსხედით მაშ ცხენზე – თქვა დიგორიმ. მან ჯერ გოგონა შესვა მერანზე, მერე თავად აბობღდა, რაც შეეძლო სწრაფად. ცხენმა გაშალა თავისი ფრთები.

– წადით და დაიკარგენით, სულელები! – მიაძახა გრძნეულმა, – გამიხსენებ, ბიჭო, როდესაც დაბერდები, დაძაბუნდები და სიკვდილს მიუახლოვდები; გაიხსენებ როგორა თქვი

უარი მარადიულ სიჭაბუკეზე! ამის მეტად შენ აღარავინ შემოგთავაზებს ამას.

ისინი ამ დროს უკვე იმ სიმაღლეზე იყვნენ ცაში, აჭრილი, რომ ჯადოქრისა მხოლოდ ხავილიღა ესმოდათ. აღარც გრძნეულმა დაკარგა დრო მაღლა ცაში ღავღავით. მოგზაურებმა ზემოდან დაინახეს, როგორ შეტრიალდა გრძნეული და ჩრდილოეთით დაეშვა, ფერდობზე.

იმ დილას მოგზაურები ადრე იყვნენ ამდგრები და ბაღის მოვლასაც არ დასჭირდა ბევრი დრო. ასე რომ, პოლიმ და მერანმა დარწმუნებულებმა თქვეს, რომ ნარნიაში დაბრუნებას დაღამებამდე მოასწრებდნენ. უკან მიმავალ გზაზე დიგორის ხმა აღარ ამოუღია. ცხენსა და პოლისაც ერიდებოდათ, მისთვის რამე ეთქვათ. ძალიან დადარდიანებული იყო და თანაც არ იყო დარწმუნებული, თუ სწორად მოიქცა. მხოლოდ მაშინ ევსებოდა დარწმუნებით გული, როდესაც ასლანის თვალებში აკიაფებული ცრემლები ახსენდებოდა.

მერანმა მთელი დღე იფრინა თავისი მოუღალავი ფრთებით. აღმოსავლეთით მეგზურობას მდინარე უწევდა, რომელიც მთებსა და უღრანი ტყეებით ამწვანებულ ბორცვებს შორის მოედინებოდა. მერე დიდ ჩანჩქერს მიადგა და დაბლა-დაბლა დაეშვა იმ მხარეში, სადაც ნარნიის ტყეები ერთ ცადატყორცნილ კლდეს ჰქონდა მოჩრდილული. ბოლოს, როდესაც ცა მგის ჩასვლისას გადაწითლდა მათ ზურგს უკან, მერანმა შენიშნა ის ადგილი, სადაც უამრავ ცხოველს მოეყარა თავი მდინარის პირას. მალე თავად ასლანიც დაინახა, მათ შორის მდგომი. მერანი ძირს დაეშვა, ოთხივე ფეხი გაშალა, ფრთები შეიცეცა და მიწაზე დაჯდა ბარბაცით; მერე წელში გაიმართა. ბავშვები გადმოვიდნენ ცხენიდან. დიგორიმ დაინახა როგორ დაიხია ყველა ცხოველმა მარჯვნივ და მარცხნივ: ჯუჯებმა, სატირებმა, ნიმფებმა და სხვებმა, რათა გზა მიეცათ მისთვის. ის ფეხდაფეხ ეახლა ასლანს, ვაშლი გადასცა და უთხრა:

– თქვენ რომ გნებავდათ ის ვაშლი მოგართვით, სერ.

ხის დარგვა

– ყოჩაღ, – თქვა ასლანმა იმისთანა ხმით, რომ მთელი დედამიწა შეიძრა. ამით დიგორი მისვდა, რომ ყველა ნარნიელის ყურს მისწვდა ეს სიტყვა და მისი თავგადასავალი თაობიდან თაობას გადაეცემოდა იმ ახალ სამყაროში ასწლეულების განმავლობაში და, ალბათ, უკუნისამდეც მიუსედავად ამისა ბიჭის წინაშე არ იდგა გაყოყოჩების საფრთხე, რადგან ახლა, როდესაც ის პირისპირ იდგა ასლანის წინაშე, ამაზე საერთოდ არ ფიქრობდა. ამჯერად მან შეძლო ლომისთვის თვალებში შეესედა. მას უკვე აღარ ახსოვდა ის გასაჭირი, რაც გამოიარა და ახლა თავს სრულიად კმაყოფილად გრძნობდა.

– ყოჩაღ, ადამის ძევ, – გაიმეორა ლომმა. – ამ ნაყოფის გამო შენ იშიმშილე, იმწყურვალე და ცრემლი ღვარე. შენი ხელის გარდა სხვა არავის ხელმა არ უნდა დათესოს ამ ხის თესლი, რომელიც ნარნიის მფარველად უნდა აღმოცენდეს. გადააგდე ვაშლი მდინარის პირას, სადაც ნიადაგი ლბილია.

როგორც უთხრეს, დიგორი ისეც მოიქცა. ყველა ისე იყო გატვრინული, რომ ვაშლის ტალახში რბილად ჩატყაპუნების ხმას ადვილად გაიგონებდით.

– კარგი ნასროლია, – თქვა ასლანმა. – მოდით, ახლა ნარნიის მეფე ფრანკის და მისი ელენე დედოფლის გვირგვინის კურთხევის საქმეს მივხედოთ.

ბავშვებმა ახლაღა შეამჩნიეს ამ ორეულის იქ ყოფნა. ისინი უცნაურსა და მშვენიერ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. მსრებზე მათ მდიდრული მოსასხამები ესხათ. ოთხ ჯუჯას მეფის მოსასხამის ბოლო ეჭირა, მდინარის ოთხ ნიმფას კი – დედოფლისა. თავსაბურავი არც მეფეს ჰქონდა და არც დედოფალს. ელენეს ახლა გაშლილი ჰქონდა თმები, რაც ერთობ ამშვენებდა მას. მაგრამ თმების და ტანსაცმლის გამო არ იყო, რომ ახლა ისინი სხვაგვარად გამოიყურებოდნენ. მათ სახეებს ახლებური გამომეტყველება ჰქონდა, განსაკუთრებით მეფისას. ყოველივე ავსიტყვაობა და წუწუნი, რაც მას ლონ-

დონში მეეტლეობისას შეეთვისებინა, ასლა მთლიანად ჩამოეშორებინა. ამის გამო იყო, რომ ის სიმამაცე და სათნოება, რომელიც მას ყოველთვის გააჩნდა, ასლა უფრო თვალში საცემი გამხდარიყო. შესაძლოა ეს ცვლილება ახალმა სამყარომ გამოიწვია, შეიძლება ასლანთან საუბარმა, ანაც ორივემ.

– ჩემი აზრით, – გადაუჩურჩულა მერანმა პოლის, – ჩემი ძველი პატრონი თითქმის იმდენადვეა შეცვლილი, რამდენადაც მე თვითონ შევიცვალე. ასლა ის ნამდვილ პატრონს არის დამსგავსებული.

– გასაგებია, მაგრამ ეგრე ნუ მეტეტუნები ყურში, – თქვა პოლიმ, – ძალიან მეღუტუნება.

– ახლა კი, – თქვა ასლანმა, – მოდით, გავშალოთ თქვენს მიერ ხეებით აბურდული გონჯალა და ვნახოთ შიგ რა არის.

დიგორიმ ახლაღა დაინახა, რომ იმ ადგილას, სადაც ოთხი ხე იდგა ახლო-ახლოს ამოსული, ხეების ტოტები ისე იყო ერთმანეთში ჩაწნული, რომ ერთგვარ გალიას ქმნიდა. ორი სპილო ხორთუმებით და რამოდენიმე ჯუჯა პატარა ცულებით მიადგნენ აბურდულ გალიას და მალევე გააცალკევეს ერთმანეთში ჩაწნულ-ჩახლართული ტოტები. მასში სამი რამ აღმოჩნდა: ერთი იყო ნორჩი ხე, რომელიც მოოქროვილს ჰგავდა, მეორე იყო ნორჩი ხე, რომელიც მოვერცხლილს ჰგავდა, მესამე საცოდავი შესახედაობის რამ იყო – ტალახიანი ტანისამოსით შემოსილი, რომელიც ამ ხეებს შორის გამომწყვდეული მოკუზულიყო.

– ვაი! – ჩურჩულით თქვა დიგორიმ, – ძია ენდრიუ!

ყოველივე ამის ასახსნელად, მოგვიწევს ოდნავ უკან დავბრუნდეთ და ვნახოთ, რაც მოხდა. როგორც გახსოვთ ცხოველებმა სცადეს ძია ენდრიუ დაერგათ და მოერწყათ. წყლის დასხმით მოსულიერებულმა ძია ენდრიუმ დაინახა, რომ მთლიანად გალუმპული იყო და თეძოებამდე მიწაში (რომელიც სულ მალე ტალახს დაემსგავსა) ჩაფლული, თან გარს გაცილებით მეტი ველური ცხოველი შემოხვეოდა, ვიდრე მას ცხოვრებაში ენახა თუ დასიგმრებოდა. ამიტომ, ალბათ, გასაკვირი არც იყო, რომ ყვირილი და კვნესა ატეხა. ეს ერთის მხრივ კარ-

გიც იყო, რადგან ამბით ყველა დარწმუნდა მათ შორის ტახიც კი, რომ ის ცხოველი არსება იყო. ასე რომ ცხოველები ახლა მის ამოთხრას შეუდგნენ (მისი შარვალი ისეთ დღეში იყო, ზედ არ შეეხედებოდა). როგორც კი ფეხებზე მიწა შემოაცალეს, ძია ენდრიუმ ამოძრომა სცადა. მაგრამ სპილომ ხორთუმი მოხვია წელზე და ადგილზე დასვა. ყველა იმ აზრზე იყო, რომ ვიდრე ასლანი მოსვლას შეძლებდა და იტყოდა რა

უნდა ექნათ ძია ენდრიუსთვის, მანამდე სადმე საიმედო ადგილას უნდა შეენახათ. ამიტომ შემოწნეს მათ ძია ენდრიუს გარშემო გალიის მსგავსი რამ. მერე კი სცადეს ისეთი საჭმელი მიეთავაზებინათ, რასაც ის მათი ჭკუით შეჭამდა.

ვირმა სატაცურის კაი დიდი ბღუჯა შეაგროვა და გალიაში შეუყარა, მაგრამ ძია ენდრიუმ ზედაც არ შეხედა მოსაკითხს.

ციყვები მოვიდნენ და კლანჭებით თხილი მიუყარეს, მაგრამ ძია ენდრიუმ თავი ხელებში ჩარგო და სცადა მორიდებოდა მათ. მრავალი ჩიტი გაფრინდ-გამოფრინდა და ბლომად მატლები ჩაუყარა ძია ენდრიუს. დათვმა საგანგებო სიცეთე გამოიჩინა: ნაშუადღევს ველური ფუტკრის ოჯახს გადააწყდა ფულუროში, მაგრამ იმის მაგივრად, რომ თაფლი თვითონ ამოეჭამა (რასაც სიამოვნებით იზამდა სხვა დროს) მოვიდა და ამ ღირსეულმა ცხოველმა ძია ენდრიუს მოართვა თაფლი ფიჭით, მაგრამ ეს მცდელობა ყველაზე ცუდად დამთავრდა. დათვმა მთელი ფიჭა შემოწნული გალიის ზემოდან ჩააგდო. სამწუხაროდ, ზემოდან ჩამოგდებული ფიჭა ძია ენდრიუს სახეზე დაეცა (თანაც ფიჭაში ყველა ფუტკარი მცედარი სომ არ იქნებოდა!). დათვი, რომელსაც ცხოვრებაში არ ეწყინებოდა, თუ სახეში თაფლიანი ფიჭა მოსვდებოდა, ვერაფრით ვერ მიხვდა რატომ გადახტა ძია ენდრიუ უკან, რომელსაც ფეხი გაუსლტა და ძირს დაჯდა. ბედის ირონია ის იყო, რომ ძია ენდრიუ ახლა სატაცურის ბღუჯაზე იჯდა.

— ეგ არაფერი, — თქვა ტახმა, — ასეა თუ ისეა, პირში ბლომად თაფლი მოხვდა, რამაც რამე უნდა არგოს.

ყველას ძალიან შეუყვარდა ეს უცნაური შინაური ცხოველი. ყველას იმისი იმედი ჰქონდა, რომ ასლანი მისი შენახვის ნებას დართავდა მათ. ვინც გონიერებით გამოირჩეოდა, მიხვდნენ, რომ იმ ხმებს, რასაც ძია ენდრიუ გამოსცემდა, თავისი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მათ ძია ენდრიუ ბღავილად მონათლეს, რადგან ხშირად ბღაოდა.

ბოლოს, ასე იყო თუ ისე, იძულებულნი გახდნენ, ღამით თავი დაენებებინათ ძია ენდრიუსთვის. ასლანი მთელი დღე იმით იყო დაკავებული, რომ ხან მეფესა და დედოფალს არიგებდა, ხანაც სხვა მნიშვნელოვან საქმეებს აგვარებდა. ამიტომ იყო, რომ ვერ მოიცალა „საბრალო ბღავილას“ მოსანახულებლად. ბღავილამ ზედ მიყრილი თხილით, მსხლით, ვაშლით, ბანანით კარგად ივახშმა, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ ვიტყვით, რომ ღამე მშვიდად გაათია.

— აქ მომიყვანეთ ის არსება, — თქვა ასლანმა.

ერთმა სპილომ ხორთუმით აიყვანა ძია ენდრიუ და ლომის ფერსთით დასვა. ბერიკაცი ისე იყო შეშინებული, რომ არც კი განძრეულა.

– ასლან, გესვეწებით, – თქვა პოლიმ, – იქნება ისეთი რამ უთხრათ, რომ შიში დაეკარგოს! და მერე იქნებ ისეთი რამე თქვათ, რომ ეგ აქ აღარასოდეს დაბრუნდეს?

– შენ ფიქრობ, რომ აქ დაბრუნება მოუნდება? – თქვა ასლანმა.

– შეიძლება არა, ასლან, – თქვა პოლიმ, – მაგრამ მას შეუძლია აქ სსვა ვინმე გამოგგავნოს. ის აღტაცებაში მოვიდა, როდესაც დაინახა ლამპიონს აგლეჯილი რკინიდან როგორ ამოიმართა ლამპიონის ხე. მაგას ასეთი ჩანაფიქრი აქვს...

– მაგისი ჩანაფიქრი დიდი სისულელეა, პატარავ, – თქვა ასლანმა, – ამ სამყაროში სიცოცხლემ იფეთქა ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში, იმ საგალობელის გამო, რომლითაც მე სიცოცხლე გავაჩინე და რომელიც ახლაც ჰაერში ტრიალებს და მიწაშიც გრგვინავს. ასე დიდხანს არ გაგრძელდება. მაგრამ მე ამას ვერ ვეტყვი ამ ბებერ ცოდვილს. არც მაგისი ნუგეშისცემა შემიძლია. მან თავი აიძულა, რომ ჩემი ხმა არ გაეგონა. რომც დაველაპარაკო, მაგას ყურში მხოლოდ ღრიალი და ბრდღვინვა ჩაესმება. ოი, ადამის ძეებო, როგორ ყველაფერს აკეთებთ საიმისოდ, რომ ის არ გაიგონოთ, რაც სასიკეთოდ წაგადგებათ! მაგრამ მე მას იმ ერთადერთ საჩუქარს მივცემ, რომლის მიღებაც მას კიდევ შეუძლია.

მან რაღაცნაირად მწუხარებით დახარა თავისი ვეება თავი და გრძნეულს შეშინებულ სახეში შეუბერა.

– დაიძინე, – თქვა ასლანმა, – დაიძინე და რამოდენიმე საათით გამოეთიშე იმ სატანჯველს, რაც თავს დაითიე.

ძია ენდრიუ მაშინვე თვალდახუჭული გადაგორდა და მშვიდი ფშვინვა ამოუშვა.

– სადმე განზე გაიყვანეთ და წამოაწვინეთ, – თქვა ასლანმა. – აბა, ჯუჯებო, გვაჩვენეთ თქვენი სამჭედლო ოსტატობა. მაჩვენეთ, როგორ დაამზადებთ ორ გვირგვინს თქვენი მეფისა და დედოფლისათვის.

ვერ წარმოიდგენთ, უცებ რამდენი ჯუჯა დაეძგერა ოქროს ხეს. მათ თვალის დახამსამებაში ხეს აასხვიპეს ყველა ფოთოლი და ზედ ზოგიერთი ტოტიც მიაყოლეს. ახლაღა დაინახეს ბავშვებმა, რომ ის ხე ოქროსფერი კი არ ყოფილა, არამედ ნამდვილი რბილი ოქროსი იყო. ეს ხე, რა თქმა უნდა, ამოსული იყო იმ ოქროს ნახევარ ფუნტიანზე, რომელიც ძია ენდრიუს ჯიბიდან წამოუვარდა, როდესაც ის თავდაყირა დაყენეს, ისევე როგორც ვერცხლის ხე ამოიზარდა ვერცხლის

ნახევარ შილინგიანზე. თვალისდასამსამებაში გაჩნდა ქურისთვის ნახშირი, პატარა გრდემლი, ჩაქუჩები, მარწუხები, და საბერველები. მეორე წუთში (მაინც როგორ უყვართ ამ ჯუჯებს თავიანთი საქმე!) ცეცხლი ვიზგიზებდა საბერველები ქშუტუნებდა, ოქრო დნებოდა, ჩაქუჩებს რაკა-რუკი გაჰქონდა გრდემლზე. ორმა თხუნელამ, რომელთაც იმ დღეს, ცოტა ადრე, ასლანმა მიწის თხრა დაავალა ძვირფასი ქვების მოსაძიებლად (რაც მათ ყველაზე მეტად ესიამოვნათ) ჯუჯების ფეხებთან ძვირფასი ქვების გროვა დააყენა. პატარა მჭედლების მოქნილმა თითებმა ორი გვირგვინი გამოჭედეს. ეს არ იყო გონჯი და მძიმე გვირგვინები, თანამედროვე ევროპული გვირგვინებივით, არამედ მსუბუქი, კოპწია, ლამაზი მოყვანილობის

რგოლები, რომელსაც ადამიანი სიამოვნებით ატარებს და თავს დაიმშვენებს. მეფის გვირგვინი ბრილიანტებით იყო მოოჭვილი, ხოლო დედოფლისა – ალმასებით.

როდესაც გვირგვინები მდინარეში გააციეს, ასლანმა მის წინაშე მუხლი მოაყრევინა ფრანკს და ელენს და თავზე დაარქვა. მერე თქვა:

– წამოდექით ფეხზე, ნარნიის მეფე-დედოფალო, რომლებიც იქნებით დედა და მამა მრავალი მეფისა ნარნიასა და არქენლანდში. იყავით სამართლიანი, მოწყალე და მამაცი. მიკურთხებიხართ ორივე!

მერე ყველამ ბღავილით, კნავილით და ფრთების ტყლაშუნით დღეგრძელობა უსურვა ახალნაკურთხ მეფე-დედოფალს, რომელთაც ღირსეულად, ოღონდ, ოდნავ მორცხვად, ეჭირათ თავი. მათი სიდარბაისლე სჭარბობდა მათს სიმორცხვეს. დიგორი ჯერ კიდევ „ეაშას!“ ძახილში იყო, როდესაც გვერდიდან ასლანის მოგუგუნე ხმა შემოესმა.

– გაიხედეთ!

ყველამ აიხედა და გაოცებისაგან, თუ სიამოვნებისაგან ღრმად ამოისუნთქა. ცოტა მოშორებით, ზემოთ, ხე დაინახეს, რომელიც მანამდე იქ არ იყო; ეტყობა, როცა ისინი მეფე-დედოფლის გვირგვინის კურთხევით იყვნენ გართულნი, ჩუმად ამოზრილიყო, როგორც დროშა მიცოცავს ხოლმე უჩუმრად ფლაგშტოკზე. მისი შორს გაშლილი ტოტები თითქოს შუქს უფრო გამოსცემდნენ, ვიდრე ჩრდილს. ვერცხლისფერი ვაშლები ვარსკვლავებივით კიაფობდნენ ფოთლებს ქვეშ. ამ სანახაობაზე მეტად კი იქ მყოფები დაატყვევა ხიდან წამოსულმა სურნელმა, რომელიც ადამიანს სხვა ყველაფერზე ფიქრს ავიწყებდა.

– ადამის ძეო, – თქვა ასლანმა, – კარგი შედეგი მოგვცა შენმა დათესილმა ხემ. ახლა კი, ნარნიელებო, თქვენი უპირველესი საზრუნავი ამ ხის დაცვა უნდა იყოს, რადგან ეს ხეა თქვენი ფარი. გრძნეული, რომელზეც მე თქვენ გელაპარაკეთ, აქედან შორს, ჩრდილოეთით, გაიქცა. ის იქ იცხოვრებს და შავ-ბნელ მაგიაში ძალას მოიკრებს. მაგრამ ვიდრე ეს ხე

გაფურჩქნული იქნება, ის ნარნიაში ვერ ჩამოვა. ასი მილის მანძილზეც კი ვერ მოუახლოვდება ის ხეს, რადგან ამ ხის სურნელი თქვენთვის თუ სიხარული, სიცოცხლე და ჯანმრთელობაა, ეს ჯადოქრისთვის სიკვდილი, საშინელება და სასოწარკვეთილებაა.

ყველა დინჯად უყურებდა ხეს, როდესაც უეცრივ ასლანმა მოაბრუნა თავი და თავისი დიდი თვალებით ბავშვებს დააცქერდა.

– რა იყო, ბავშვებო? – თქვა მან, რადგან შენიშნა, როგორ ჩურჩულებდნენ და თათბირობდნენ ისინი ერთმანეთში.

– ო, ასლან, სერ, – თქვა დიგორიმ და გაწითლდა, – მე დამავიწყდა თქვენთვის რაღაც მეთქვა. გრძნეულმა უკვე შეჭამა ერთი ასეთი ვაშლი, როგორი ვაშლიდანაც ეს ხე აღმოცენდა.

დიგორიმ ბოლომდე არა თქვა რასაც ფიქრობდა, მაგრამ მის მაგივრად პოლიმ თქვა მისი სათქმელი (დიგორი ყოველთვის პოლიზე მეტად შიშობდა, ვაითუ რამე სისულელე წამომცდესო).

– ჩვენ ვიფიქრეთ, ასლან, – თქვა პოლიმ, – რომ აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს, რადგან გრძნეულს იმ ვაშლების სუნი სულაც არ აფრთხობს.

– ასე რატომ ფიქრობ, ევას ასულო? – იკითხა ლომმა.

– იმიტომ, რომ გრძნეულმა ერთი ვაშლი შეჭამა.

– პატარავ, – მიუგო ლომმა, – სწორედ ამიტომ არის, რომ ახლა მას ეშინია დანარჩენი ვაშლებისა. ასე ემართებათ მათ, ვინც მოწყვეტს და შეჭამს ნაყოფს უდროოდ და უკანონოდ. ნაყოფი მათ კი გემრიელი ეჩვენებათ, მაგრამ შემდეგ მთელი სიცოცხლე ნანობენ.

– აა, გასაგებია, – თქვა პოლიმ. – მაშინ, გამოდის, რომ, რაკი მან უკანონოდ მოწყვიტა ნაყოფი, მასზე არ იმოქმედებს მისი ძალა. მე იმას ვამბობ, რომ გრძნეული ყოველთვის ახალგაზრდა არ იქნება, არა?

– სამწუხაროდ, – თქვა ასლანმა და თავი გაიქნია, – სამწუხაროდ იმოქმედებს. საგნები ყოველთვის თავის ბუნებას

ავლენენ. მან თავისი გულის წადილი შეისრულა. მან შეიძინა მოუღალავი ძალა და დღეთა უსასრულობა, მაგრამ დღეთა სიმრავლე, როდესაც ბოროტი გული გიდევს მკერდში, მხოლოდ უბადრუკი ცხოვრების ხანგრძლივობას ნიშნავს და სხვა არაფერს. გრძნეული ახლაღა ხვდება ამას. ვისაც რა სწადია იმას ღებულობს, ოღონდ ყოველთვის არ მოსწონთ ის, რაც ხელში შერჩებათ ხოლმე.

– მეც,... ლამის ერთი ვაშლი შევჭამე, ასლან, – თქვა დიგორიმ. – რომ მომეწყვიტა მაშინ მეც...

– დიახ, პატარავ, – თქვა ასლანმა. – შენც იგივე ბედი გეწეოდა. ამ ხის ნაყოფი ყოველთვის მოქმედებს. მაგრამ ის საბედნიეროდ არ მოქმედებს მათზე, ვინც საკუთარი ნებით მოწყვეტს ნაყოფს. თუ რომელიმე ნარნიელი დაუვალებლად მოიპარავდა ერთ ვაშლს და აქ ჩარგავდა ნარნიის დასაცავად, ის ხე დაიცავდა ნარნიას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ნარნია იქცეოდა ჩარნის მსგავს სასტიკ იმპერიად და არა იმ კეთილ ქვეყნად, როგორიც მე მინდა, რომ ის იყოს. მაგრამ გრძნეულს უნდოდა, რომ შენ სხვა რამეშიც შეეცდინე, ასე არ იყო, ჩემო შვილო?

– დიახ, ასლან. მას უნდოდა, რომ ვაშლი დედაჩემისთვის წამეღო.

– ეგ ვაშლი მართლაც განკურნავდა დედაშენს, მაგრამ ეს კურნება საუბედურო იქნებოდა, როგორც შენთვის, ისე დედაშენისთვის. დაგიდგებოდათ დღე, როდესაც თქვენ გადახედავდით უკან თქვენს ცხოვრებას და იტყოდით: იმ სნეულებით სიკვდილი აჯობებდაო ასეთ ყოფას.

დიგორის მეტი აღარაფრის თქმა შეეძლო, რადგან ცრებლები წასცდა და დედის სიცოცხლის გადარჩენის იმედი წაუხდა. მიუხედავად ამისა დიგორის სწამდა ლომისა. მან უკვე იცოდა, რომ საყვარელი ადამიანის სიკვდილზე საშინელი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ ახლა კვლავ ალაპარაკდა ასლანი, თითქმის ჩურჩულით:

– მართლაც მოხდებოდა, პატარავ, თუ შენ ვაშლს მოიპარავდი. ახლა ეს აღარ მოხდება. რასაც მე მოგცემ, ის სიხა-

რულს მოგანიჭებს. ის თქვენს სამყაროში უსასრულო სიცოცხლეს არავის მისცემს, სამაგიეროდ ის განკურნავს... მიდი, მოწყვიტე მაგ ხეზე ვაშლი.

დიგორი წამით ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა ლომი. თითქოს მთელი სამყარო გადაბრუნდა მის თვალწინ და თავდაყირა დადგა. ამის შემდეგ, გეგონება სიზმარშიაო, ისე გაემართა ის ხისაკენ. მეფე-დედოფალი და ყველა ცხოველი შეძახილებით ამხნევებდა მას. დიგორიმ მოწყვიტა ვაშლი და ჯიბეში ჩაიდო. მერე ისევ ასლანს მიუბრუნდა:

– თუ შეიძლება, – თქვა დიგორიმ, – ახლა შინ გაგვიშვით.

მას მადლობის თქმაც კი დაავიწყდა, მაგრამ მან ეს იგულისხმა და ასლანიც მიხვდა ამას.

თავი მეთსუმეტე

დასასრული ამ მოთხრობისა და სხვა დანარჩენების დასაწყისი

– როცა მე თქვენთანა ვარ, ბეჭდები აღარ არის საჭირო, – დაამშვიდა ბავშვები ასლანის ხმამ. ბავშვები თვალისდახამ-ხამებაში გაუჩინარდნენ. ისინი კვლავ სამყაროთაშორის მდე-ბარე ტყეში აღმოჩნდნენ. ძია ენდრიუ ბალახზე იწვა და ისევ ეძინა. ასლანი მათ გვერდით იდგა.

– მოდით, – თქვა ასლანმა. – თქვენი შინ წასვლის დრო მოახლოვდა, მაგრამ ჯერ ორი რამ უნდა ნახოთ: ერთი გაფ-რთხილება იქნება და მეორე – ბრძანება. აბა, მოდით, ბავშ-ვებო, და ნახეთ ეს ადგილი.

ბავშვებმა ძირს დაიხედეს და ბალახში პატარა ორმო შე-ნიშნეს, რომელსაც ბალახით დაფარული თბილი და მშრალი ფსკერი ჰქონდა.

– როცა თქვენ აქ უკანასკნელად იყავით, ამ ორმოს ადგი-ლას გუბე იყო. თქვენ აქ ჩახტით და იმ სამყაროში აღმოჩნ-დით, სადაც მომაკვდავი მგე ჩარნის ნანგრევებს დანათოდა. ახლა აქ გუბე აღარ არის. ის სამყარო ისე გაქრა, თითქოს არც კი ყოფილა ოდესმე. ეს ადამისა და ევას მოდგმამ გაფ-რთხილებად უნდა მიიღოს.

– დიახ, ასლან, – თქვა ორივე ბავშვმა. მერე კი პოლიმ დაუმატა: – მაგრამ ჩვენ ისეთივე ცუდი სამყარო ხომ არა ვართ, ასლან?

– არა, ჯერ არა, ევას ასულო. – თქვა მან. – ჯერ არა. მაგრამ თანდათანობით, როგორც ჩანს, ემსგავსებით. დანამდ-ვილებით ვერ იტყვი, რომ თქვენს მოდგმაში ისეთი ვინმე არ გამოჩნდება, ვინც იმ საავალალო სიტყვების საიდუმლოს არ მიაგნებს და ყველა ცოცხალი არსების მოსასპობად არ გამო-იყენებს. და მალე, ძალიან მალე, ვიდრე შენ მოხუცი კაცი გახდები შენ კი მოხუცი ქალი, თქვენი სამყაროს დიდი ერე-ბის მართვის სადავეებს იმისთანა ტირანები არ ჩაიგდებენ, რომელთაც დედოფალ ჯადისზე მეტად არ დაანაღვლებთ ხალხის

სიხარული, სამართალი და წყალობა. მოერიდოს ამას, თქვენი სამყარო. ეს, რაც შეეხება გაფრთხილებას; ახლა ბრძანებაზე გადავიდეთ: როგორც კი თქვენ ამას შეძლებთ, გამოართვით ძიათქვენს მისი ჯადოსნური ბეჭდები და დამარხეთ, რათა სხვამ აღარავინ გამოიყენოს ისინი.

ორივე ბავშვი სახეში შესცქეროდა ლომს, როდესაც ის ამ სიტყვებს ამბობდა. უცებ მათ მოეჩვენათ (ზუსტად როგორ მოხდა ეს ვერასდროს აეხსნათ), რომ ლომის სახე გაავარვარებული ოქროს ზღვა იყო, რომელშიც ისინი დაცურავდნენ და მათზე გადმოდიოდა იმისთანა ნეტარება და ძლევამოსილება, რომ მათ ისეთი გრძნობა დაეუფლათ თითქოს მანამდე არასოდეს ყოფილან ასე ბედნიერი, გონიერი, კეთილი, ცოცხალი და ფხიზელი. ის წუთები სამუდამო მოგონებად გაჰყვათ ორივეს მთელი ცხოვრების მანძილზე. როცა კი დარდი, შიში ან მრისხანება მოეძალებოდათ, ისინი ფიქრით იმ ოქროსფერ სიცეთეს უბრუნდებოდნენ და გრძნობდნენ, რომ ის სულ ახლოს იყო მათთან, სადღაც მოსახვევს მიღმა, ანდა კარს უკან. ის უბრუნდებოდა მათ და არწმუნებდა შინაგანად, რომ ყველაფერი კარგად იყო.

კიდევ ერთი წუთი და სამივე (ძია ენდრიუს ჯერ არ გაელვიძნა) აღმოჩნდა ხმაურში სიცხესა და ლონდონის ბუღში.

ისინი ტროტუარზე იდგნენ ქეთერლების სახლის წინ. ერთი ჯადოქარი, ცხენი და მეეტლეღა აკლდა იქაურობას, თორემ დანარჩენი ყველაფერი ზუსტად ისე დაუხვდათ, როგორც მათ დატოვეს: ლამპიონი, რომელსაც ერთი ჯვარედინი კეტი აგლეჯილი ჰქონდა; დამტვრეული ეტლი; დიდძალი ხალხი. ყველა ისევ გაცხარებული ლაპარაკობდა. ხალხი მუხლზე ეშვებოდა დაზიანებული პოლიციელის გვერდით და ამბობდა: „შედარებით არა უშავს;“ ან: „როგორა გრძნობთ თავს ბერიკაცო?“ ან: „სადაცაა სასწრაფო გამოჩნდება!“

„ხედავ,“– გაიფიქრა დიგორიმ, – „მთელს ჩვენს თავგადასავალში არანაირი დრო არ გასულა.“

ხალხის უმეტესობა გაშმაგებული მზერით ეძებდა ჯადისს და ცხენს. ბავშვებზე არავინ ფიქრობდა, რადგან მათი არც

წასვლა შეუმჩნევია ვინმეს და არც მოსვლა. რაც შეეხება ძია ენდრიუს, ის ამოზუნგლული ტანისამოსისა და სახეზე დასხმული თაფლის გამო ვერავინ იცნო. საბედნიეროდ სახლის წინა კარი ღია იყო. შესასვლელში მოსამსახურე გოგო იდგა და აყალ-მაყალს უყურებდა (კაი გასართობი ნახა იმ დღეს მოსამსახურე გოგომ); ამიტომ იყო, რომ ვიდრე ვინმე რაიმეს კითხვას მოასწრებდა, ბავშვებმა შინ შეათრიეს ძია ენდრიუ. ძია ენდრიუ ბავშვებზე წინ ავარდა კიბეებზე. ჯერ ეგონათ სხვენში ასელას აპირებდა იქ დარჩენილი ბეჭდების გადასამალავად. მაგრამ ტყუილად შეეშინდათ. ერთადერთი, რაზედაც ახლა ის ფიქრობდა ტანსაცმლის კარადაში გადამალული ბოთლი იყო. ძია ენდრიუ თავის საწოლ ოთახში გაუჩინარდა და კარი ჩაიკეტა. როდესაც იქიდან გამოვიდა (მხოლოდ ცოტა ხნით), მას საცვლები ეცვა და პირდაპირ საპირფარეშოსაკენ გაეშურა.

– პოლი, შეგიძლია დანარჩენ ბეჭდებს მიხედო? – თქვა დიგორიმ. – მე დედაჩემს ვნახავ.

– კარგი. ჯერ-ჯერობით, – თქვა პოლიმ და სხვენისკენ მიმავალ კიბეებს აუყვა.

დიგორიმ წუთით შეისვენა და ფეხაკრეფით შეეიდა დედამისის ოთახში. დედა იქ იწვა, ისე როგორც დიგორის არა ერთხელ უნახავს ბალიშებით თავ წამოწეული, იმისთანა გამხდარი და გაფითრებული სახით, რომ მის შემხედვარეს აგეტირებოდათ. დიგორიმ ჯიბიდან სიცოცხლის ვაშლი ამოიღო.

როგორც გრძნეული ჯადისი თავის სამყაროსთან შედარებით ჩვენს სამყაროში სხვანაირად გამოიყურებოდა, ასევე განსხვავებულად გამოიყურებოდა მთის ბაღის ნაყოფიც. რა თქმა უნდა, ოთახში უამრავი ფერად-ფერადი რამ იყო: ფერადი იყო ლოგინის გადასაფარებელი, ფერადი იყო შპალერი, ფანჯრიდან შემოჭრილი მზის შუქი, დედის მშვენიერი ღია ლურჯი შესამოსელი. მაგრამ, როგორც კი დიგორიმ ჯიბიდან ვაშლი ამოიღო, თითქოს ყველაფერმა ფერი დაკარგა. ყველაფერი და, მათ შორის, მზის შუქიც კი ახლა გახუნებულად და უღიმღამოდ გამოიყურებოდა. ვაშლის ბზინვარებამ უცნაურად

გაანათა ჭერი. შესახედად ყველაფერი უვარგისი გახდა: სხვას ვეღარაფერს შესედავდით ახლა. სიჭაბუკის ვაშლმა ისეთი სურნელი დაატრიალა ოთახში, გეგონებოდათ ამ ოთახში გეცის სარკმელი გაისსნაო.

– დიდი მადლობა, ჩემო სიყვარულო, – თქვა დიგორის დედამ.

– ხომ შეჭამ ამას, დედი? გეხვეწები! – თქვა დიგორიმ.

– არ ვიცი, შვილო, ექიმი რას მეტყვის, – თქვა მან, – მაგრამ ვგრძნობ, რომ შემიძლია.

– დიგორიმ გაფცქვნა ვაშლი, დაჭრა და ნაჭერ ნაჭერ შეაჭამა დედას. ჭამა რომ გაათავა, ქალმა გაიღიმა, უკან მიწვა ბალიშზე და ჩაეძინა, ნამდვილი ბუნებრივი მშვიდი ძილით, ყოველგვარი იმ საშინელი წამლების გარეშე.

როგორც დიგორიმ იცოდა, დედამისს დედამიწაზე ყველაზე მეტად ასეთი ძილი ენატრებოდა. ბიჭი დარწმუნებული იყო,

რომ ახლა მისი სახე ოდნავ განსხვავებულად გამოიყურებოდა. ბიჭი დაიხარა, ლოყაზე ნაზად ეამბორა და ოთახიდან აჩქარებული გულისცემით გამოიპარა, თან გამოიყოლა ნაჭამი ვაშლის გული. მთელი დარჩენილი დღის განმავლობაში, როდესაც თავის გარემოს ათვალიერებდა და სედავდა, რომ ყველაფერი ჩვეულებრივი და უბრალო იყო, იმედს კარგავდა, მაგრამ საკმარისი იყო ასლანის სახე წარმოედგინა, რომ კვლავ სასოებით ივსებოდა.

იმ საღამოს დიგორიმ ის ვაშლის გული სახლისუკან ჩაფლა ბაღში.

მეორე დილას, როდესაც ექიმმა ჩვეულებისამებრ მოინახულა პაციენტი, დიგორი ტიხრების უკან იყო მიყურადებული. ბიჭმა საკუთარი ყურით გაიგონა ექიმის სიტყვები, რომლებიც დეიდა ლეტის უთხრა სასტუმრო ოთახში.

– მის კეტერლი, ეს არის ყოვლად დაუჯერებელი შემთხვევა, რაც კი მე მინახავს მთელი ჩემი სამედიცინო კარიერის მანძილზე. ეს არის... ეს არის რაღაც სასწაულის მსგავსი. თქვენს ადგილას ჯერ-ჯერობით მაინც არაფერს ვეტყოდი ამის შესახებ ბიჭს. რა საჭიროა ცრუ იმედი! მაგრამ, ჩემის აზრით... – ექიმმა ხმას ისე დაუწია, რომ შეუძლებელი იყო მისი სიტყვების გარჩევა.

ნაშუადღევს დიგორი ბაღში შევიდა და დაუსტვინა პოლის გამოსახმობად, რაც მათი საიდუმლო ნიშანი (პოლი წინა დღეს ვეღარ გამოვიდა) იყო.

– საიმედო არის რამე? – იკითხა პოლიმ და სახლის კედელს ახედა. – დედაშენზე გეკითხები.

– მე მგონი... მე მგონი, ყველაფერი კარგად იქნება, – თქვა დიგორიმ. – მაგრამ, თუ არ გეწყინება, მოდი, ახლა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ბეჭდებს რა უყავი?

– ყველა აქა მაქვს, – თქვა პოლიმ. – აი, ნახე. ნუ გეშინია, ხელთათმანები მაცვია. წამო ახლა, ესენი დავმარხოთ.

– წამო! მე მონიშნული მაქვს ის ადგილი სადაც ვაშლის გული ჩავფალი გუშინ. პოლი ღობეზე გადაძვრა და ორივე მონიშნული ადგილისაკენ გაეშურა. მაგრამ, როგორც გამოჩნ-

და, თურმე სულაც არ ყოფილა საჭირო იმ ადგილის მონიშვნა. რაღაც ხე უკვე ამოდიოდა იმ ადგილას; მართალია, ის ისე თვალსა და ხელს შუა არ იზრდებოდა, როგორც ნარნიაში ხდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც კარგა დიდად ამოზრდილიყო მიწიდან.

ბავშვებს ხელთ თოხი ჰქონდათ და ამ თოხით ხის გარშემო ყველა ჯადოსნური ბეჭედი დამარხეს, მათ შორის ისინიც, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ.

ერთ კვირაში უკვე აშკარა იყო, რომ დიგორის დედის ჯანმრთელობა უმჯობესდებოდა. ორი კვირის შემდეგ ქალს უკვე შეეძლო ბაღში ჩასულიყო დასაჯდომად. ერთ თვეში მთელმა სახლმა იცვალა ფერი. რასაც დედა მოისურვებდა, დეიდა ლეტი ყველაფერს უსრულებდა. ფანჯრები ღია იყო, მზის ფარდები – გადაწეული, რათა ოთახებში მეტი მზე შესულიყო. სახლი ყვავილებით აივსო. კარგ-კარგი საჭმელები მზადდებოდა. ძველი პიანინო ააწყვეს და დედამ კვლავ დაიწყო სიმღერა. მერე დიგორისა და პოლის იმისთანა თამაშებში აჰყვა, რომ დეიდა ლეტი ეტყოდა ხოლმე:

– მეიბელ, ამ სამში ყველაზე პატარა ბავშვი შენა ხარ.

ერთი თუ უკან წავიდა საქმე, ყველაფერი უკუღმა მიდის, მაგრამ როდესაც გამოსწორების გზას შეუდგება, მაშინ საქმე სულ უმჯობესდება და უმჯობესდება:

ამ სიამტკბილობით ცხოვრების ექვსი კვირის თავზე ინდოეთიდან მოვიდა მამის წერილი. მამა კარგ ამბებს იწერებოდა. საბრალო მოხუცი, ძია კირკე, გარდაცვლილიყო, რაც, იმას ნიშნავდა, რომ მამა მდიდარი კაცი გახდა. ის სამსახურიდან გათავისუფლებას და სამუდამოდ შინ დაბრუნებას აპირებდა. ამიერიდან ის სოფლის დიდი მამული, რომელზეც დიგორის ბევრი სმენოდა, ოღონდ არ ენახა, ახლა უკვე მათი სახლი ხდებოდა. დიდი სახლი ძველებური საჭურელით სავსე, თავისი თაველით, საძაღლით, მდინარით, პარკით, მარნით, ტყეებით და მთებით. დიგორი დარწმუნებული იყო, რომ ამიერიდან ისინი ბედნიერად იცხოვრებდნენ. აი, ჩვენი ისტორიის ბედნიერი დასასრულიც. გარდა ამისა, თქვენ, ალბათ, კიდევ ერთი-

ორი სხვა რამაც გაინტერესებთ, რასაც მე შემდგომში აუცილებლად მოგითხრობთ

პოლი და დიგორი ბოლომდე დიდ მეგობრებად დარჩნენ. პოლი თითქმის ყოველთვის არდადეგებს დიგორის ოჯახში ატარებდა, მათს ლამაზ სახლში, რომელიც სოფლად მდებარეობდა. სწორედ აქ ისწავლა მან ცხენის ტარება, ცურვა, ძროხის წველა, პურის ცხობა და კლდეზე ცოცვა.

ნარნიაში ცხოველები მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ასწლეულების მანძილზე ეს მშვენიერი ქვეყანა არც გრძნეულს შეუწუხებია და არც სხვა მტერს. მეფე ფრანკი, დედოფალი ელენე და მათი შვილები ბედნიერად ცხოვრობდნენ ნარნიაში. მათი მეორე ვაჟი არქენლანდის მეფე გახდა. მათმა ვაჟებმა ნიმფები შეირთეს ცოლებად, ხოლო მათი ასულები ტყისღმერთუკებსა და მდინარისღმერთუკებს გაჰყვნენ ცოლებად. ის ლამპიონი რომელიც გრძნეულმა დარგო (შეუგნებლად) დღე დაღამე ანათებდა ნარნიის ტყეში. იმ ადგილას ლანცერ ვეისტს (ფლანგია მანათობელი) უწოდებდნენ და მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი სამყაროდან ერთ თოვლიან ღამეს ერთი გოგონა მოსვდა ნარნიაში, მას ეს ლამპიონი ანთებული დახვდა. სხვათა შორის, ის თავგადასავალი დაკავშირებულია იმ ამბებთან, რომლებიც მე ეს-ესაა გიამბეთ.

ეს ამბავი ასე მოხდა: ის ხე რომელიც დიგორის მიერ სახლის უკან დარგული ვაშლის გულიდან გაიზარდა, მშვენიერ ხე-მცენარედ იქცა, რაკი მას ფესვები ჩვენი სამყაროს მიწაში ჰქონდა გადგმული, სადაც არც ასლანის ხმა ისმოდა და არც ნარნიის სუფთა ჰაერი იყო. ის არ ისხამდა იმისთანა ნაყოფს, რომ, დიგორის დედის მსგავსად, მომაკვდავი ადამიანი სააქაოსკენ მოებრუნებინა. მიუხედავად ამისა, ხე იმისთანა ნაყოფს ისხამდა, მთელ ინგლისში რომ ვერ ნახავდით მის მსგავსს. ყველაფრით კარგი იყო ნაყოფი, ოღონდ მთლად ჯადოსნური არ იყო. ამ ხეს შინაგანად, გულისგულში, არასდროს დავიწყებია ნარნიის ის ხე, რომლის თესლზედაც ის აღმოცენდა. ზოგჯერ ასეთი რამ ხდებოდა: არსად ქარი არ იყო მაგრამ ხე ირხეოდა და ფოთლები უშრიალებდა. მე ვფიქ-

რობ, ეს მაშინ ხდებდა, როცა ნარნიაში დიდი ქარი ამოვარ-დებოდა ხოლმე და ინგლისის მიწაზე ამოსულ მხოლოდ ამ ხეს არყევდა და აქანავებდა სამხრეთ-დასავლეთის ის ძლიე-რი ქარი. ასეა თუ ისეა, როგორც ეს მოგვიანებით გამოჩნდა, ვაშლის ხეს შენარჩუნებული ჰქონდა თავისი წინაპრის სასწა-ულთმოქმედი ძალა.

როდესაც დიგორიმ უკვე საშუალო ასაკს მიაღწია (ის ნას-წავლი კაცი იყო, ცნობილი პროფესორი და თავისი დროის დიდი მოგზაური) და კეტერლების ძველი სახლი მას დარჩა, სამხრეთ ინგლისში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რომელ-მაც ვაშლის ხე გადაამტვრია. დიგორიმ ვერ გაიმეტა, რომ ბუხარში შესაყეთებლად დაეჩეხა ხე, ამიტომ ვაშლის მორისა-გან ტანსაცმლის კარადა გააკეთებინა და სოფელში რომ დიდი სახლი ჰქონდა იქ დადგა. მართალია თავად დიგორიმ ვერ აღმოაჩინა კარადის სასწაულთმოქმედი ძალა, მაგრამ სამაგი-ეროდ სხვა ვინმემ აღმოაჩინა. სწორედ ამით დაიწყო ნარნი-ასა და ჩვენს სამყაროს შორის დიდი მისვლა-მოსვლა, რის შესახებაც თქვენ მომდევნო წიგნებში ამოვიკითხავთ.

როდესაც დიგორი და მისიანები საცხოვრებლად სოფლის დიდ სახლში გადავიდნენ, მათ თან წაიყვანეს ძია ენდრიუ, რადგან დიგორის მამამ თქვა:

– ჩვენ უნდა ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ეს ბერიკაცი რაიმე შარში არ გაეხვეს. თანაც დეიდა ლეტიც ცოდვაა, რომ ერთთავად მაგის მოვლაში იყოს.

ძია ენდრიუს ცხოვრებაში აღარ უცდია ჯადოქრობა. მან ჭკუა ისწავლა და, ასაკში რომ შევიდა, ბევრად უფრო სასია-მოვნო და ამპარტავნებისგან სრულიად თავისუფალი კაცი გახდა. მაგრამ ერთი რამ მაინც უყვარდა: საბილიარდოში დაიმარ-ტოვებდა სტუმრებს და უამბობდა ამბებს მისტიურ ქალბა-ტონზე, უცხო სამეფო ოჯახის წარმომადგენელზე, რომელთან ერთადაც მთელი ლონდონი ჰქონდა მოვლილი.

– ეშმას ტემპერამენტი ჰქონდა იმ ქალს, – იტყოდა ხოლმე ის, – მაგრამ შესანიშნავი ქალი იყო, სერ, მართლა შესანიშ-ნავი ქალი.

***

„ნარნიის ქრონიკების“ ნაკითხვისთანავე გამიჩნდა სურვილი, რომ ამ მშვენიერ ზღაპარს ქართველი ბავშვები გასცნობოდნენ. დიდი იყო ჩემი სიხარული, როდესაც შევიტყვე, რომ ჩემმა მეგობარმა, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტმა, მალხაზ სონღულაშვილმა თარგმნა და გამოსცა „ლომი, ჯადოქარი და ტანსაცმლის კარადა“. წინამდებარე წიგნით იგი განაგრძობს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს, რითაც საშუალებას აძლევს ქართველ ბავშვებსა და უფროსებსაც, აღმოაჩინონ და შეიყვარონ ლუისის მშვენიერი და ზღაპრული და, ამავდროულად, ღრმად ქრისტიანული და სახარებისეული ჭეშმარიტებებით გაჟღენთილი სამყარო.

ყოველთვის, როდესაც ბავშვებს მაცხოვრის შესახებ ვუყვებოდი, ვანყდებოდი სახარების ღრმა სიბრძნის ადაპტირებულად მიწოდების სირთულეს. სირთულე კი ის იყო, რომ გამარტივებისას რაიმე არ გაუფასურებულიყო. „ნარნიის ქრონიკებში“ არაფერი არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ზღაპრის გმირი ბავშვები თანაბრად არიან ჩვენი შვილების თანატოლებიც და მაცხოვრის მოციქულებიც. „ქრონიკები" ისეა გაჯერებული დაწვრილებით აღწერილი პასაჟებით, გამდიდრებული ყოფითი დეტალებით, რომ ჩემი შვილების წარმოსახვაში ეს მისტიური და ჯადოსნური ნარნია საკმაოდ ბუნებრივად და რეალურად ისახებოდა. ბავშვები თითქოს ცხადად ხედავდნენ გარემოსა და ვითარებას და თავადაც იოლად ხდებოდნენ ამ დაძაბული ამბის თვითმხილველნი და თანამონაწილენი. სიუჟეტის ზოგიერთ სიმძიმეს კი არაჩვეულებრივი იუმორით ნაზავი თხრობა ამსუბუქებდა (რად ღირს თუნდაც მისის თახვი, რომელიც კრიტიკულ წუთებში თავისი საკერავი მანქანის უსაფრთხოებაზე დარდობს).

ნარნიასა და მიწიერ სამყაროში დროის სხვადასხვა განზომილებებია; იმავდროულად მარადიული ღირებულებები მაინც რჩება: რწმენა, სიმართლე, ერთგულება, სიკეთე, სინანული, ღირსება, სიმშვიდე, შებრალება, გონიერება და სიმამაცე. ზღაპარი სწორედ იმაში დაგვეხმარება, რომ ამ ქრისტიანული თვისებებით აღვზარდოთ ნორჩი თაობა და შევამზადოთ ბავშვები სახარების ღრმა სიბრძნის უშუალოდ მისაღებად. „ნარნიის ქრონიკების“ მთავარი გმირია ლომი ასლანი – ზღაპრული ქვეყნის მეუფე. მთელი ნაწარმოები მის გარშემო არის აგებული. ასლანი არის ისტორიაში და ისტორიის გარეთაც, არის დრამის პერსონაჟიც და, რაც მთავარია,

ქრისტეს სიმბოლო. იგი არის ვაჟი „ზღვისიქეთა“ იმპერატორისა, რომლის ნებასაც იგი აღასრულებს. ზღვის იქით არის ასლანის ქვეყანა, ანუ ზეციური სასუფეველი, საიდანაც იგი მოვიდა და სადაც ყველაფერი დაბრუნდება, როდესაც მოვალს ჟამი. ზღაპრების მთელი დრამატული სიმძიმე, ტვირთი, ასლანის – ნარნიის ალფასა და ომეგას – მხრებზე ძევს. ასლანი მეუფებს ნარნიის ისტორიაზე და ლუისი მკვეთრად წარმოაჩენს როგორც მის ტრანსცენდეტურობას, ასევე მის მყოფობას ისტორიაში, რაც მეტყველებს ზეციური და შექმნილი სამყაროების დრამატულ ურთიერთობაზე, რისი მეშვეობითაც მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, ნათლად დაინახოს ცხოვნებისაკენ მიმავალი კაცობრიობის ისტორია. ლუისის ხედვა არის აპოკალიპტური და ესქატოლოგიური.

„ნარნიის ქრონიკების“ ციკლი ერთდროულად სწორხაზოვანიცაა და წრიულიც. სწორხაზოვანი, რადგან მივყავართ ნარნიის შექმნიდან მის აპოკალიფსამდე და ახალ სამყაროში შესვლამდე; წრიული, რადგან ყველაფერი გამუდმებით თანხვდება და მიემართება ასლანისაკენ.

„ქრონიკების“ შვიდივე ზღაპარი წარმოადგენს აპოკალიფსის შვიდ მომენტს: დასაწყისშივე ვხედავთ ესქატოლოგიურ ბრძოლებს და თხრობა მთავრდება კრავი-ლომის უცილობელი გამარჯვებითა და ზეციურ იერუსალიმში შესვლით.

„ლომი, ჯადოქარი და ტანსაცმლის კარადა“ წარმოგვიჩენს მუდმივ ზამთარში გაყინულ ნარნიას, რომელიც თეთრ ჯადოქარს დაუპყრია. ნარნია ჩაფლულია მნუხარებაში, ცოდვასა და ღალატში: ფავნ თამნასს სურს, თეთრ ჯადოქარს მიჰგვაროს პატარა გოგონა, ედმუნდი კი მიდის ჯადოქრის სასახლეში, რათა ასლანის მოსვლის საიდუმლო გასცეს. ლუისი წარმოაჩენს ცოდვის მონობაში მყოფი კაცობრიობის სახეს. ამ უკუნეთში მხოლოდ ერთი იმედი ბჟუტავს: ასლანი მოვა და გვიხსნის! სწორედ ასლანი გაანადგურებს სიძულვილს, დაადგენს სიყვარულის კანონს. იგი მსხვერპლად იქნება შენირული ქვის მაგიდაზე და ეს გააცამტვერებს თეთრი ჯადოქრის ძალაუფლებას და იხსნის ედმუნდს მისი ცოდვისაგან. ამ მსხვერპლშენირვამ და ასლანის გაცოცხლებამ, რაც ქრისტეს ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე ალეგორიებს წარმოადგენენ, მოიყვანეს გაზაფხული ნარნიაში.

„უფლისწული კასპიანი“ მოგვითხრობს ნარნიის ქვეყანაზე ასლანის მოსვლიდან მრავალი ათასი წლის შემდეგ. ნარნია ტელმარინებს აქვთ დაპყრობილი და ნარნიელები ტყეებში ცხოვრობენ. ნებაყოფლობითაა დავიწყებული ყველაფერი ღვთიური და ტრანს-

ცენდენტური. ბატონობს ძალადობა და ბარბაროსობა. ბოროტმა ნებამ და უსულო რაციონალიზმმა ყველაფერი მშვენიერი, ზღაპრული და ზებუნებრივი შორს განაგდეს. ტელმარინებმა აკრძალეს ძველი ისტორია, იგავები, მითები, ზღაპრები და დატოვეს მხოლოდ მათი რასის უახლესი ისტორია. ტყეებში მცხოვრებ ნარნიელებში რამდენიმე ფენა იკვეთება. ჯუჯების ერთ ნაწილს აღარა აქვს ზებუნებრივის რწმენა და მხოლოდ პოლიტიკური გზით სურს თავისუფლების მოპოვება. მეორე ნაწილს კი მხოლოდ თავისი გონებისა სჯერა და მის დასაკმაყოფილებლად რეალურ არგუმენტებს ეძებს. ჯუჯები გაორებულნი არიან და თავისი მიზნების მისაღწევად ზებუნებრივის მაგიურ გამოყენებას ცდილობენ. დათვებმა, ციყვებმა და სხვა ცხოველებმა შეინარჩუნეს ასლანის ხსოვნა. ისინი მოთმინებით ელიან მის მოსვლას და ნარნიის გათავისუფლებას. ფავნები, სატირები, დრიადები და სხვა მითიური არსებები ბუნების ძალების ალეგორიებად წარმოჩნდებიან. ისინი განასახიერებენ ადამიანის, როგორც ბუნების შვილის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას, რომელიც ასლანისადმი თავდადებულ ერთგულებას განაპირობებს. სწორედ ამ ალეგორიულად წარმოდგენილ ადამიანურ რეალობაში მოხდება გადამწყვეტი ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ და ტელმარინების რაციონალიზმი დამარცხდება. ბრძოლა არის ერთდროულად შინაგანი, რომელიც აღადგენს დაცემულ სულს და გარეგანი: ესქატოლოგიური ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის, რომელიც უკვე დაწყებულია ჩვენს დროში. ასლანი ისევ მოვა ამ ბრძოლისათვის და წარმართავს ყველაფერს, როგორც ბუნების კანონების შემოქმედი. იგი არის განმწმედი და გამაერთიანებელი.

„'ცისკრის დამთრგუნველის' მოგზაურობა" ღრმად მისტიური ძღაპარია. სამყაროს ლტოლვა გადარჩენისაკენ, ზეციური სასუფევლისაკენ მის მთავარ იდეას წარმოადგენს. სულიერი ძიება გამოხატულია მოგზაურობაში, რომელიც გმირებს მიიყვანს ნარნიის უკიდურეს საზღვრებამდე, რომელთა შემდეგაც იწყება ასლანის ქვეყანა, ანუ ზეციური სასუფეველი. ზღაპრის გმირი – წრუწუნა რიპიჩიპი დაბადებიდან ოცნებობს ასლანის ქვეყანაში მოხვედრაზე, ამ ქვეყანასთან, ანუ ასლანთან შერწყმაზე. მართლაც, მხოლოდ ის აღარ დაბრუნდება ნარნიაში. ზრაპრის გმირებს აღავსებს მადლი და ისინი განმართლდებიან, რადგანაც ყოველი მათგანი იხილავს ასლანს: ბავშვები – კრავისა და ლომის სახით; კასპიანი – შეიძლება ითქვას, სინდისის სახით; რიპიჩიპი – მისტიურ მდგომარეობაში ჩაძირვის სახით. კასპიანის შემთხვევა წარმოადგენს ქრისტესთან შეხვედრის ბრწყინვალე ალეგორიას, რომელიც არის ცხოვნების

სასოება და ცოდვათაგან განწმედა. ერთი პატარა ბიჭის – სკრუბის თავგადასავლით, რომელიც ურჩხულად გადაიქცა და ასლანის წყალობით ახალი ადამიანი გახდება, ლუისი მკაფიოდ ნარმოაჩენს გულისა და გონების რწმენისაკენ მოქცევის პროცესს.

„ვერცხლის ტახტში" მოქმედება ინყება და მთავრდება ნარნიის გარეთ, ასლანის ქვეყანაში. როგორ მოხვდნენ აქ ჩვენი გმირები? მათ არავითარი დაბრკოლება არ გადაულახავთ, არ გაუვლიათ ასკეტური გზა, არც თავისი სარწმონოებისა თუ კეთილი საქმეების გამო აღმოჩენილან აქ, რადგან მათ თან საკუთარი ცოდვები მოაქვთ. ზღაპრის დასაწყისში, ერთ წვიმიან დილას, ისინი ჯადოქრულ ხერხს მიმართავენ, რათა ასლანის ქვეყანაში მოხვდნენ. მაგრამ ჩვენი გმირები თვითონ ასლანის მიერ გახდებიან მონოდებულნი და მისი მადლითა და უანგარო წყალობით აღმოჩნდებიან ასლანის ქვეყანაში. ეს ქვეყანა აგრეთვე ქრისტეს მისტიურ სხეულს ნარმოადგენს, მის ეკლესიას, სადაც ბავშვები ეწაფებიან ასლანთან ყოფნას და განიწმიდებიან ყოველგვარი ბოროტებისაგან. შემდეგ ისინი ნარნიაში იგზავნებიან, როგორც მოციქულები. მრავალი თავგადასავლის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, ასლანი მათ თავის ძალით შემოსავს და ამიერიდან მათი ცხოვრება ლომის სიყვარულს გამოასხივებს. ამ ზღაპარშიც ლუისი წინ წამოსწევს სარწმუნოებაზე მოქცევის, შინაგანი ფერისცვალების, ღვთისაკენ დაბრუნების თემას. ეს განსაკუთრებით რელიეფურია კასპიანის ფერისცვალებაში, წიგნის ბოლოს.

„ბედაური და მისი ბიჭი" აღწერს ნარნიის ოქროს ხანას, სადაც ბავშვები მეფეები და დედოფლები არიან და არც ფიქრობენ ნამდვილ სამყაროში დაბრუნებაზე. აქ ნარმოჩნდება დაპირისპირება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ნარნია და მის სამხრეთით მდებარე ქვეყანა კალორმენი უდაბნოთი არიან გაყოფილი, მაგრამ მათ შორის დაძაბულობა მატულობს. ზღაპარში ნარნია იმარჯვებს და უფლისწული რაბადაში, რომელსაც მისი დაპყრობა სურდა, სამარცხვინოდ მარცხდება. მაგრამ მტრობა რჩება. ეს არის ანტიქრისტეს მოსვლის ალეგორია, ანტიქრისტესი, რომელიც გარკვეული დროით გაიმარჯვებს ქრისტიანებზე. ზღაპარი აძლიერებს „ნარნიის ქრონიკების" აპოკალიპტურ სტრუქტურას და გვიჩვენებს, რომ ნარნიის ისტორიის დასაწყისში არის მისი აღსასრულის ჩანასახი და, იმავდროულად, დასაწყისი სხვა, ნამდვილი, ასლანისეული ნარნიისა.

„ჯადოქრის დისწული" მოგვითხრობს ნარნიის შექმნის შესახებ, თუ როგორ შექმნა ასლანმა ეს სამყარო თავისი სიმღერითა და

სულის შებერვით. ნარნიის შექმნის ამბავში არის რაღაც დრამატული. ასლანის სიმღერაში ჩანს განყოფის, არსებობის წყაროსაგან განშორების იდეა. ნარნიის შექმნიდან ძალიან მოკლე დროში იქ შედის ბოროტება, მაგრამ ასლანი მოუწოდებს თავის მეგობრებს, არ დამწუხრდნენ, რადგან ყველა სიმძიმეს თვითონ იტვირთავს. შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისიდანვე ნარნიის სამყაროს ჩამოყალიბება ხდება ესქატოლოგიური ბრძოლით.

„უკანასკნელი ბრძოლა" კი წარმოგვიდგენს ნარნიის აპოკალიფსსა და მის შესვლას ახალ სამყაროში. ამჯერად ბოროტება წარმოდგენილია წარმართული ქვეყნის სახით, რომელსაც ჰყავს საშინელი ღმერთი– ტაში (მას აგრეთვე ტაშლანსაც უწოდებენ). ტაში – მეორეხარისხოვანი დემონია, მისი ბატონი ტექსტში არაა მითითებული, მაგრამ მკითხველი ხვდება, რომ მას თეთრი ჯადოქარი წარმოადგენს. „ქრონიკების" ბოლოს ბოროტი ძალები თითქოს საბოლოოდ იმარჯვებენ და ამკვიდრებენ უსულო რაციონალიზმს, უზნეობასა და ურწმუნოებას. ბავშვები და უფლისწული ტირანი ტაშლანის ტყვეები არიან. ტაშლანი სიმბოლურად იმყოფება ერთ ბორცვზე მდებარე გომურში. ეს ბორცვი გოლგოთას მოგვაგონებს. ნარნიელების დამარცხება მხოლოდ მოჩვენებითია. ასლანის წყალობით ეს დამარცხება ტრიუმფად იქცევა. ყველა ნარნიელი გომურში მოიყრის თავს და მისი კარის უკან აღმოჩნდება არა საშინელი ტაშლანის უკუნეთი, არამედ ასლანის ბრწყინვალე ქვეყანა. კარი კი თვითონ ასლანია – ყველაფრის დასაწყისი და დასასრული. „მე ვარ ანი და ჰოე, – იტყვის უფალი ღმერთი, – რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი" (გამოცხადება 1:8).

დეკანოზი ბასილ კობახიძე
14 იანვარი 2002, ქ. ათენი